საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
16 - 22 იანვარი, 2013
№1 (188)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «კლანური ოცნება» ნეპოტიზმი ახალ ხელისუფლებაში 6



8

«ჩემი მიზანია, რომ ის ისტერია, რომელიც არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ გრძელდება საზოგადოებაში, დაბალანსდეს და უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობა. უნდა მოვახერხოთ ყველაზე დიდი პრობლემის მოგვარება, სამუშაო ადგილების შექმნა, რომ თითოეულ ოჯახს ღირსეულად ცხოვრების საშუალება შეექმნას»

ბიძინა ივანიშვილი:

# მიუხედავად, აშშ-ის პოლიტიკოსების თუ ევროპელების დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, მე და ჩემს გუნდს პრინციპული პოზიცია გვექირა

## თბილისში ჩამოტყუებული და ამერიკაში გატაცებული ირანელი ბიზნესმენის ისტორია 10

## თბილისში პარლამენტის შენობის გაპარტახებასთან დაკავშირებით ბაქრაძემ და მისმა აპარატმა უნდა აგონ პასუხი 14

## სომხეთის ხელისუფლებაში სედრაქიანი თუ მოვა, დიდი ალბათობით, აქ 1918 წლის დეკემბრის მოვლენები განმეორდება 15

## სააკაშვილი კავკასიის პოლ პოტია 5

## 74 წლის ავადმყოფ ქალს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ნასვამ მუშას – 7 წლით, მერაბიშვილის ბიძას — გირაო და თავისუფლება! 12

## ავლაბრის რეზიდენცია მავზოლეუმი არაა, რომ იქ სააკაშვილის პოლიტიკური გვამი ბიუჯეტის ხარჯზე ინახებოდეს! 18

## არ გავყიდოთ მიწა! 20

„საჭიროა, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში წარმოდგენილი იყოს ადამიანი, რომელიც თავის მხრივ გაანეიტრალებს სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ გავლენას სამეგრელოში, შეძლებს აფხაზებთან მიმართებაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას და მოახერხებს რუსეთთან პრაქტიკული, პერსპექტიული დიალოგის წარმართვას“.



# რა უნდა სააკაშვილს სამეგრელოში და რა კრიტერიუმებით უნდა შევარჩიოთ პრეზიდენტობის კანდიდატი 3

# ღია წერილი ქსელის ვირთხებს 7

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სააკაშვილი, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელისუფლების რღვევის დაწყებიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, ვითარება ქვეყანაში პრინციპულად შეიცვალა და „ძველი დროის დაბრუნება“, ფრანგების თქმის არ იყოს, „ანსიენ რეჟიმის“ აღდგენა, უბრალოდ, არ გამოვა.**

# სააკაშვილი სამეგრელოში პროვოკაციას გეგმავს?

**„მათ ვერაფერი ისწავლეს და არაფერი დაივიწყეს“, — მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში, ალბათ, არ მოიძებნება სიტყვები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელ მდგომარეობას უკეთ აღწერს. ამ ფრაზას ბურბონების რესტავრაციის პერიოდს (1814-1830) უკავშირებენ და ხშირად ტალეირანს ან ნაპოლეონს მიაწერენ. არადა, ეს შეფასება ჯერ კიდევ 1796 წელს გაკეთდა და ფრანგული ფლოტის ოფიცერ შარლ ლუი ეტიენ დე პანას ეკუთვნის. ის რესტავრაციაზე მეოცნებე, რეალობას მოწყვეტილ ფრანგ ემიგრანტებზე წერდა. თავდაპირველად, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამად გადაიქცეოდა, ეს ფრაზა ასე ჟღერდა: „ყველა გამოუსწორებელია, არავის არაფრის დაივიწყება და სწავლა არ ძალუძს“.**



**ამ ადამიანის გამო, რომელმაც არაფერი დაივიწყა და ვერაფერი ისწავლა, არც ერთი წვეთი სისხლი აღარ უნდა დაიღვაროს**

ძველად რომ იტყოდნენ, „მთელი მუღამი იმაშია“, რომ მისი შეფასება წარმოადგენს არა 1814 წლის შემდეგ შექმნილი ვითარების ენამოსწრებულ აღწერას, როდესაც ანტინაპოლეონურმა კოალიციამ ლუდოვიკო XVIII-ს გვირგვინი დაუბრუნა და მისმა გარემოცვამ სცადა, ემართა სრულიად შეცვლილი საფრანგეთი იმ არარეალისტური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, რომლებიც ემიგრაციაში ჩამოუყალიბდათ (რამაც საბოლოოდ დინასტიას სავალალო შედეგი მოუტანა); შევალიე დე პანამ წინმსწრებად, 18 წლით ადრე, ზედმიწევნით ზუსტად დაახასიათა ადამიანები, რომლებიც 1814-ში ქვეყნის მართვას შეუდგნენ; მათ მართლაც არაფერი დაივიწყეს და ვერაფერი ისწავლეს.

სააკაშვილის შედარება ლუი XVIII-სთან ნამდვილად არ გამოგვივა, თუნდაც იმიტომ, რომ საფრანგეთის ბედკრულ მეფეს ესმოდა, რომ ქვეყანა შეიცვალა და ყოვლისმომცველი „დაბრუნება წარსულში“ ვერ მოხერხდებოდა, თუმცა თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებასა და ახალი რეალობის მიმართ ადაპტირებაში რბილი და დამთმობი ხასიათი და გარემოცვის უკიდურესად რევანშისტული განწყობა უშლიდა ხელს. **სააკაშვილი კი, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელისუფლების რღვევის დაწყებიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, ვითარება ქვეყანაში პრინციპულად შეიცვალა და „ძველი დროის დაბრუნება“, ფრანგების თქმის არ იყოს, „ანსიენ რეჟიმის“ აღდგენა, უბრალოდ, არ გამოვა.** ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როდესაც ძველი, დრომოჭმული რეჟიმის რეანიმირება (თუნდაც მას, თავის დროზე, გარკვეული წარმატებებისთვის მიეღწია), შეუძლებელი და წარმოუდგენელი ხდება.

სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პერსპექტივა უფრო ოპტიმისტური, ალბათ, იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუ ისინი გამოაცხადებდნენ „ახალ კურსს“, გააკრიტიკებდნენ „ცალკეულ შეცდომებს“, იტყოდნენ, რომ „ჭეშმარიტი ლენინიზმის“, უკაცრავად, „ნამდვილი მიშიზმის“ კალაპოტში ბრუნდებიან და აუდიტორიას შესთავაზებდნენ, რაღაც ისეთს, რასაც თუნდაც თეორიულად, შეიძლება ეწოდოს „სააკაშვილის რეჟიმი ადამიანური სახით“. მაგრამ **სააკაშვილი დღეს პარტიული აღმშენებლობითა და „ნაცმოძრაობის“ რეალური რებრედინგით თავს დიდად არ იწუხებს და ახალი მთავრობის პოზიციების შესასუსტებლად მის ხელთდარჩენილ ბერკეტებს იყენებს. ყოველივე ამის უკან იგრძნობა მხოლოდ ძველი დროის დაბრუნების უპერსპექტივო სურვილი და რაღაც წარმოუდგენელი, ლამის ზოოლოგიური ზიზღი, რომელსაც სააკაშვილი ოპონენტების მისამართით აფრქვევს. ის ადამიანებიც კი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ სკეპტიკურად უყურებენ (დასკვნა არაერთ არაფორმალურ საუბარს ეფუძნება) ცალსახად აცხადებენ, რომ სააკაშვილის დაბრუნება ხელისუფლებაში ასეთი განწყობითა და რევანშის წყურვილით ქვეყანას უბედურების გარდა არაფერს მოუტანს, ამიტომ ამის დაშვება არ შეიძლება.**

საკაშვილის ბოლო განცხადებები ნათლად ადასტურებს, რომ ის არაფერს ივიწყებს და არც სწავლის დაწყებას აპირებს. **არაერთი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ, შესაძლოა, ის არჩევნების შედეგების გადახაზვას და ხელისუფლების უზურპაციას გეგმავს**. მისი ნაბიჯები სულ უფრო უცნაური ხდება. საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება მისდამი დუღილის სტადიას უახლოვდება; ყველაზე კარგად ამ ადამიანების განწყობას ციცერონის ცნობილი ფრაზა გადმოსცემს: **„როდემდე უნდა ისარგებლო ჩვენი მოთმინებით?“.**

მისმა ბოლო განცხადებებმა არაერთი კომენტატორი ფრიად ნეგატიურ სცენარებზე დააფიქრა. „რეზონანსის“ ცნობით, სამეგრელოში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, მან განაცხადა, რომ სამუშაოდ ზუგდიდის რეზიდენციაში გადავა; სააკაშვილის პრესსამსახურში ეს ინფორმაცია არც დაადასტურეს, არც უარყვეს. რეგიონის ახალი გუბერნატორის, თენგიზ გუნავას, წარდგენისას კი, სააკაშვილმა დაახასიათა ის არა იმდენად როგორც კარგი მენეჯერი, არამედ როგორც წარმატებული დივერსანტი და ერთგული მეთაური: **„გუნავამ 2008 წელს ოკუპანტ რუსებს აუფეთქა საჰაერო დანადგარები, რომლებიც მათ საქართველოდან, როგორც სამხედრო ნადავლი, გაჰქონდათ, ეს ძალიან რთული ოპერაცია იყო. მან გადაარჩინა ჩვენი კატარღები ფოთში. მე კარგად მახსოვს, როცა ფოთში ჩავედი და რუსები ჩემს დასაკავებლად გამოემართნენ, ის გადაელობა თავისი მცირე შენაერთით მათ და დიდი რუსული კოლონა დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა გაჩერებული, ვიდრე გამოსვლა არ დავამთავრე“.** აგვისტოს ომის არც ერთ მატიანეში, ქართული იქნება ის თუ უცხოური, ამ ეპიზოდების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა მთავარია ის, რომ სააკაშვილის ამ განცხადებამ, რომელიც კონფლიქტის ზონის უშუალო სიახლოვეს გაკეთდა, ფრიად ავისმომასწავებლად გაიჟღერა.

წამით წარმოვიდგინოთ, რომ ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთში რუსული ჯარების სარდლად დანიშნა გენერალი, რომლის წარდგენისას პათეტიკურად ისაუბრა მის დივერსიულ რეიდებსა და სხვა წარმატებულ ოპერაციებზე აგვისტოს ომის დროს; ჩვენთვის ეს ცალსახად ნეგატიური სიგნალი გახდებოდა და ამ გენერლის მოქმედებას, სავარაუდოდ, ყურადღებით დავაკვირდებოდით, ხოლო თუ მისი დანიშვნიდან მალევე ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დივერსია მოხდებოდა, აუცილებლად გაჩნდებოდა ვერსია, რომ ის სწორედ იმ გენერალმა დაგეგმა. ყოველივე ამის წარმოდგენა დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რა რეაქცია შეიძლებოდა ჰქონდათ რუსებს სააკაშვილის მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად გუნავას წარდგენაზე იმ მილიტარისტულ სტილში, როგორშიც მან ეს გააკეთა. გამორიცხული არაა, რომ ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სააკაშვილი დიდ პროვოკაციას ამზადებს; იგივე ვარაუდი ზოგიერთმა ქართველმა კომენტატორმაც გამოთქვა.

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ 10 თვის წინანდელი სკანდალი საეჭვო შეირაღებული ფორმირებების შექმნის გარშემო, რომელიც ირაკლი ალასანიას ცნობილ განცხადებას მოჰყვა. ჟურნალ „ღია ბოქლომის“ მთავარმა რედაქტორმა ილია ჩაჩიბაიამ, რომელიც ამ ფორმირებების შექმნის პროცესს თვეების განმავლობაში აკვირდებოდა, მაშინ ასეთი კომენტარი გააკეთა: **„სააკაშვილი ხედავს, რომ პროცესები მის საწინააღმდეგოდ ვითარდება. მისი გეგმა ასეთია: როცა ხალხის პროტესტი პიკს მიაღწევს და მის ჩამოშორებას შეეცდებიან, თავს სამეგრელოს შეაფარებს და პრეზიდენტის სავარძლის დასაბრუნებლად სამეგრელოდან იბრძოლებს. უკანონო ბანდფორმირებებს სწორედ ამ მიზნით ქმნის“.** გამორიცხული არაა, რომ ამ პროგნოზს აქტუალობა არ დაუკარგავს.

იქნებ, სააკაშვილმა უძილობისას წაიკითხა წიგნი იოანე მრისხანეზე და მასაც სურს, დედაქალაქი დატოვოს და ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე „ერთიანი ნაციონალური ოპრიჩნინა“ დააფუძნოს? თუმცა ხუმრობა იქით იყოს, ორიოდე სიტყვა, ალბათ, ყველაზე ცუდ ვარიანტებზეც უნდა ვთქვათ.

**ფორმალურად სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — გადააყენოს მთავრობა და პარლამენტს ახალი კაბინეტი წარუდგინოს, თანაც დღეს მოქმედი ნორმებით** (რომელიც მალე შეიცვლება). ამის შემდეგ სამინისტროები ახალმა მინისტრებმა უნდა გააკონტროლონ, ვიდრე პარალმენტი ახალ მთავრობას უნდობლობას სამჯერ არ გამოუცხადებს, რის შემდეგაც სააკაშვილს შესაძლებლობა მიეცემა, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს. ამ უფლებების პრაქტიკული გამოყენება დღეს წარმოუდგენელი ჩანს, რადგან სააკაშვილის მიერ მსგავსი განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე საათში დემონსტრანტების უზარმაზარი მასა ავლაბრის რეზიდენციას, სავარაუდოდ, მიწასთან გაასწორებს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სააკაშვილი გარემოცვასთან ერთად ზუგდიდში გადაბარგდა და განცხადება მთავრობის დათხოვნის თაობაზე იქიდან გააკეთა. ვინაიდან სამეგრელოში „ნაცმოძრაობის“ პოზიციები ჯერ კიდევ მყარია, მასობრივი პროტესტის გამოვლენას იქ არ უნდა ველოდოთ, ხოლო მცირერიცხოვან გამოსვლებს ადგილობრივი ხელისუფლება, სავარაუდოდ, ჩაახშობს.

**სამეგრელოში, მარტივად რომ ვთქვათ, თითქმის არ იგრძნობა, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა. რამდენიმე წყაროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებმა სააკაშვილის განხილული განცხადების შემდეგ დაიწყეს საუბარი მოსახლეობასთან იმაზე, რომ ივანიშვილი გაბრაზებულია მათზე, იმის გამო, რომ მისმა ბლოკმა სამეგრელოში შედარებით ცოტა ხმა მიიღო, რომ მას რეგიონის წარმომადგენლების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა არ სურს და ა.შ. ალბათ, „ქართული ოცნების“ ინტერესებშია მსგავსი სიგნალების გადამოწმება და, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, პოლიტიკური კონტრზომების მიღება, რადგან ყოველივე ეს საკმაოდ სახიფათო თამაშის დაწყებას ჰგავს.**

შეიძლება შეიქმნას ძალიან ცუდი სიტუაცია, როდესაც ერთ მხარეს იდგებიან განრისხებული თბილისელები, რომლებიც სააკაშვილის გადაწყვეტილებას მთავრობის გადაყენების თაობაზე, 99%-იანი ალბათობით, არ ცნობენ, მეორე მხარეს კი — ზუგდიდში კონცენტრირებული „ნაციონალები“ (რომელთა მოქმედებას ამ მომენტში ზურგს, პარადოქსულად, კონსტიტუცია გაუმაგრებს), ხოლო „მესამე მხარეს“ — სრულ გაურკვევლობაში მყოფი სხვა რეგიონები. ყოველივე ეს შეიძლება სისხლისღვრითაც კი დასრულდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს არ აქვს არც პოლიტიკური და არც სამხედრო რესურსი ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად და მოსაგებად და რომ ის, ამ სცენარის ფარგლებში, ზუგდიდიდან, სავარაუდოდ, მალევე საზღვარგარეთ გაიქცევა (სადაც, ალბათ, იტყვის, რომ „ოცნებამ“ ის ხელისუფლებას ძალისმიერი, ანტიკონსტიტუციური გზით ჩამოაშორა), იმის იმედით, რომ თენგიზ გუნავა მის მადევარ „დიდ კოლონებს“ შეაკავებს, სიტუაციის მიყვანა ესოდენ დრამატულ ფინალამდე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. **ამ ადამიანის გამო, რომელმაც არაფერი დაივიწყა და ვერაფერი ისწავლა, არც ერთი წვეთი სისხლი აღარ უნდა დაიღვაროს.**

მთავრობამ, ალბათ, გარკვეული პრევენციული ზომები უნდა მიიღოს, რათა სააკაშვილმა ყოველივე ამის გაკეთება აზრადაც არ გაივლოს; ამასთანავე, „ზუგდიდურ მანევრთან“ დაკავშირებით ამერიკელ პარტნიორებს მიმართოს (როგორც ეს უკანონო „ნაცფორმირებების“ შექმნასთან დაკავშირებით მოხდა), რადგან სააკაშვილი, საბოლოო ჯამში, ვაშინგტონის კრეატურაა (მერე რა, რომ ბუშის ადმინისტრაციის?), ხოლო თითოეული ჩვენგანი, ძია სემის ჩათვლით, სენტ-ეგზიუპერის თქმის არ იყოს, „აგებს პასუხს მათზე, ვინც მოიშინაურა“, მათ შორის სააკაშვილზე და მის გარემოცვაზეც. **კარგი იქნება, თუ ამერიკელები დაინტერესდებიან, რატომ გადაწყვიტა მათმა ყოფილმა ფავორიტმა ზუგდიდში დასახლება, ხომ არ სურს მას საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივება ისევე დაუოკებლად, როგორც ნერონს რომის გადაწვა სწყუროდა.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა უკვე დაიწყეს სამეგრელოში იმ აზრის გაღვივება, რომ ამ კუთხის წარმომადგენლები არ არიან წარმოდგენილნი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში და ეს იმიტომ ხდება, რომ ივანიშვილი რეგიონში არჩევნების წაგების გამო იძიებს შურს.**

ავი მესიჯი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა უნდა სააკაშვილს სამეგრელოში და რა კრიტერიუმებით უნდა შევარჩიოთ პრეზიდენტობის კანდიდატი

**„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ — კითხულობდა XIX საუკუნის მიწურულს დიდი ილია და ეს კითხვა, სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალურია, რადგან საფიქრალ-საზრუნავი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე გულის დასაარხეინებელი.**

1 ოქტომბრის შემდეგ საქართველო აღარ არის პოლიციური სახელმწიფო, უფრო სწორად, პოლიციური რეჟიმი ჯერ კიდევ 18 სექტემბერს, ციხის კადრების გასაჯაროებისთანავე გადატყდა ხერხემალში და ნაცბანდის რეჟიმის დასასრული ოფიციალურად 1 ოქტომბერს გაფორმდა. მას შემდეგ, ხატოვნად თუ ვიტყვით, „თავისუფლად ვსუნთქავთ“, აღარ გვეშინია, რომ ან ჩვენ, ან ჩვენ გამო ჩვენს ახლობლებს გლდანის საციხე-საცოცხოდ რაიმეს „გაგვიიმასქნებენ“ და განა ეს ცოტაა? — აი, ის ერთადერთი და უდავო, რაც მართლაც მისალოცია!..

სხვაფრივ, როგორც დიდი რუსი მეიგავე კრილოვი იტყოდა, „А ВОЗ И НЫНЧЕ ТАМ“ და აქ ნამდვილად არ ვგულისხმობ „ქართული ოცნების“ წინა საარჩევნო დაპირებების ე.წ. სოციალურ პაკეტს, რადგანაც, ჯერ ერთი, კარგად მესმის, რომ „სოფლის შენებას რა უნდა“ სიმღერაშია ადვილი და მეორეც, ოღონდაც ის ცოცხები აღარ განმეორდეს საქართველოში და პირადად მე მზად ვარ, სიცოცხლის ბოლომდე გავუძლო მატერიალურ გაჭირვებას!

აქედან გამომდინარე კი, ქართველი კაცი ვერაფრით ეგუება იმას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რბილად თუ ვიტყვით, აშკარად შეფერხდა — წლების მანძილზე ჩვენს მტანჯველთაგან ერთადერთი, ვინც დააპატიმრეს, ბაჩანა ახალაიაა და ისიც პრაქტიკულად საკუთარი ნებით ჩაბარდა, რადგანაც, როგორც „ბოროტი ენები ამბობენ“, ბაჩოს იქ, ციხეში ურჩევნია დაემალოს მავანთა მხრიდან სამართლიან შურისძიებას, ვიდრე საკუთარ სადარბაზოში შესვლისა ეშინოდეს!

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილს, მან ახალი წლის მოლოცვაც კი გაგვიბედა და, ამას გარდა, კიდევ ერთი შეურაცხყოფაც მოგვაყენა აბსურდული 5-პუნქტიანი კოაბიტაციის გეგმის სახით. აბსურდული, რადგანაც, როგორც ხშირად სჩვევია, შერისგების გეგმას სრულიად გამომრიცხავი რამეები მოაყოლა — თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის, ხოლო ანდრო ბარნოვი და ხათუნა ოჩიაური, შესაბამისად, შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის გუბერნატორებად დანიშნა. ეგეც არ იკმარა ამ მართლა იმბეცილმა და, როგორც ამბობენ (ჯერ ოფიციალურად არ დასტურდება), „სამეფო ტახტის“ ზუგდიდის რეზიდენციაში გადატანასა და საპრეზიდენტო მმართველობის განხორციელებას სამეგრელოდან აპირებს.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ზოგიერთმა კომენტატორმა — თბილისი ეზიზღება და 20 იანვრიდან, როდესაც, სავარაუდოდ, დედაქალაქში უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, ამ პროცესებს უნდა გაერიდოს ზუგდიდშიო.

ნეტავ, მართლა ასე უბრალოდ იყოს საქმე!...სამეგრელო ერთობ სპეციფიკური რეგიონია, უფრო მეტიც: ეს უმშვენიერესი კუთხე იყო და არის ისტორიულად საქართველოს ხერხემალი და არა თუნდაც „დიდი“ ივანე მერაბიშვილი!

ისიც ფაქტია, ოღონდაც ამჯერად სამწუხარო, რომ **ნაცბანდამ თუ სადმე ალალად მიიღო ხმები 1 ოქტომბერს, ეს სამეგრელოა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოჩანს მიშას იმედი, რომ სამეგრელოში შედარებით არხეინად იქნება.**

გასული დროის მანძილზე „ქართული ოცნების“ რეიტინგი ისედაც ეცემა, რადგან ეს ყველა არჩევნების შემდგომი ობიექტური თანმდევი პროცესია. ხოლო სააკაშვილის მიერ მითვისებული ვადის ამოწურვამდე, „მეოცნებეთა“ რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს სწორედ იმიტომ, რომ „შეგნებულების“ რაოდენობა, რომლებისთვისაც უმთავრესი, პოლიციური რეჟიმის გაქრობა იყო და იქნება, სულ უფრო შემცირდება, ანუ, რაც დრო გავა, კუჭის ფილოსოფია სულ უფრო მეტად სძლევს მაღალ იდეალებს!

**„ოცნების“ რეიტინგის ობიექტური ვარდნა, არ ნიშნავს „ნაცების“ რეიტინგის ზრდას და არც მომავალში იქნება საფრთხე ამისა — „ნაცებს“ მართლაც არავითარ „რასკლადში“ არ ემუქრებათ პოლიტიკური რეანიმაცია!**

ჰოდა, სააკაშვილის მიერ მეგრული ბანქოს გათამაშების მცდელობა შეიძლება ამ „უსამართლობის“ აღმოფხვრასაც ისახავდეს მიზნად — თუ რა სიკეთე მოუტანა საქართველოს გასული საუკუნის 90-იანებში მსგავსმა „პასიანსმა“, ყველას კარგად გვახსოვს!..



მითუმეტეს ახლა გვმართებს გონიერება, რადგანაც იმდენად არაპროგნოზირებად პიროვნებასთან გვაქვს საქმე, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლებაში დარჩენის მანიაკალურმა სურვილმა იქნებ საქართველოს ორად გაყოფის გეგმებიც დაალაგოს მიშა სააკაშვილის ავადმყოფურ წარმოდგენაში! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სამეგრელო უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს, ანუ ამ მიმართულებითაც არ არის გამორიცხული პროვოკაციების მცდელობები შეურაცხადი სააკაშვილის მხრიდან!..

როგორც უკვე გითხარით, სამეგრელო **„ოცნებისთვის“ პრობლემური რეგიონია და „ნაციონალური მოძრაობა“ ამით ბოროტად სარგებლობს. ამდენად, გაბუტვას, რომ აი, ამ რეგიონში მე არჩევნები ვერ მოვიგე და კისერიც უტეხიათ, სჯობია, პრაგმატულად მივუდგეთ საკითხს და სააკაშვილს ეს პლაცდარმიც გამოვაცალოთ.**

პრობლემა კომპლექსურია, სამეგრელოში არსებული ვითარება პირდაპირ უკავშირდება აფხაზეთს, აფხაზეთის საკითხი კი სრულად არის დამოკიდებული რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე.

მოკლედ რომ ვთქვა, საჭიროა, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში წარმოდგენილი იყოს ადამიანი, რომელიც თავის მხრივ გაანეიტრალებს სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ გავლენას სამეგრელოში, შეძლებს აფხაზებთან მიმართებაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას და მოახერხებს რუსეთთან პრაქტიკული, პერსპექტიული დიალოგის წარმართვას.

ფაქტია, რომ სააკაშვილს ნაკლებად ადარდებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სიამოვნებით დაანთებს სამეგრელოში სეპარატიზმის ხანძარს, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. **„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა უკვე დაიწყეს სამეგრელოში იმ აზრის გაღვივება, რომ ამ კუთხის წარმომადგენლები არ არიან წარმოდგენილნი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში და ეს იმიტომ ხდება, რომ ივანიშვილი რეგიონში არჩევნების წაგების გამო იძიებს შურს.**

ვახტანგ ხმალაძის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, ვინაიდან სამი ძირითადი უმაღლესი თანამდებობიდან პარლამენტის თავმჯდომარე რესპუბლიკელების წარმომადგენელი უსუფაშვილია, პრემიერის პოსტი თავად ივანიშვილს უჭირავს, იქნებ ჯობდეს, რომ მომავალ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად არა რესპუბლიკელი ხმალაძე, არამედ ისეთი ფიგურა განიხილებოდეს, რომელიც ზემოჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას კომპლექსურად შეძლებს, ანუ გაანეიტრალებს სამეგრელოში „ნაციონალებს“ და წარმართავს სათანადო მუშაობას როგორც აფხაზეთის მიმართულებით, ასევე რუსეთთან პერსპექტიული დიალოგის გამართვის თვალსაზრისით.

ფაქტია, რომ, მიუხედავად სააკაშვილის არჩევნებში დამარცხებისა, არც სოხუმი და არც მოსკოვი ჯერჯერობით ახალ ხელისუფლებას ჩოხის კალთებს არ ახევს და, როგორც ზაქარეიშვილის მუშაობა აფხაზეთის მიმართულებით, ასევე ბატონ აბაშიძის ძალისხმევა რუსეთთან დაკავშირებით უკეთესის სურვილს ტოვებს.

წლეულს ოქტომბერში არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება ისეა განსაზღვრული, რომ, ძალაუფლების თვალსაზრისით, ის ვერანაირად ვერ იქნება პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის კონკურენტი. ამდენად, **თუკი მომავალი პრეზიდენტის, ასე ვთქვათ, „სამუშაო პრიორიტეტებს“ ჩამოვაყალიბებთ, მან უნდა იმუშაოს იმ მიმართულებებზე, იმ საკითხებზე, რომელთა დარეგულირება პრემიერისა და პარლამენტის სპიკერისთვის სირთულეს წარმოადგენს.** ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტის რანგში ჩამოთვლილ გამოწვევებთან გამკლავება შეუძლია მხოლოდ ისეთ ფიგურას, რომელიც არ იქნება გამაღიზიანებელი აფხაზებისა და ოსებისთვის და შეუძლია სამეგრელოს შემობრუნება ცენტრალური ხელისუფლებისკენ, ასევე „ნაცმოძრაობის“ დესტრუქციული ქვენა გრძნობების განეიტრალება რეგიონში და, რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელთანაც სასაუბროდ დასხდებიან რუსები.

სადღეისოდ სწორედ ამ კრიტერიუმების შესაბამისად უნდა ხდებოდეს პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის შერჩევა, რადგან სწორედ ეს კრიტერიუმებია ძირითადი იმ მოთხოვნებიდან, რომელთაც საზოგადოება ხელისუფლებას უყენებს.

**პარლამენტის თავმჯდომარე კი არ გახლავთ ის ფიგურა, რომელიც ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მას, შესაძლოა, კარგად გამოსდის ამერიკელებთან საუბარი, მაგრამ სხვა გამოწვევების მოგვარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, არ ძალუძს.**

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულება ურთულეს აუცილებლობას წარმოადგენს და ნებისმიერი ხელმოცარვა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად დააზარალებს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგს, გამოიწვევს იმედგაცრუებას მოსახლეობაში, ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პასუხისმგებლობის გადანაწილება, ანუ, თუკი ხსენებულ მიმართულებაზე სწორი კრიტერიუმებით შერჩეული და, რა თქმა უნდა, გამარჯვებული პრეზიდენტობის კანდიდატი მიაღწევს წარმატებებს, ეს, რა თქმა უნდა, იქნება „ქართული ოცნების“ დამსახურება, წარუმატებლობის შემთხვევაში კი, პრეზიდენტი, როგორც მაღალი პოლიტიკური ფიგურა, თვითონ იღებს ამ პასუხისმგებლობას და „ქართულ ოცნებას“, მის რეიტინგს და პოლიტიკურ წონას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგება.

ყოველდღიურად ვართ მოწმენი რეგიონებში გამგეობების შენობების პიკეტირების. მოსახლეობას არ სურს „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ნაშთთან შეგუება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებაშია ფესვგადგმული და თავის პროტესტს ღიად გამოხატავს. შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი აცხადებს, რომ ისინი, ვინც გამგეობების ბლოკირებას ახდენენ, უმკაცრესად დაისჯებიან!

მინდა მჯეროდეს, რომ მინისტრმა ეს განცხადება, განცხადებისთვის გააკეთა და ღმერთმა ნუ ქნას, ვცდებოდე, თორემ, თუ ახალ მინისტრს „დუბინკისკენ“ წასცდა ხელი, მაშინ ის ერთადერთი საფუძველიც გამოეცლება „ქართულ ოცნებას“, რის გამოც ამდენ შეგნებულ თუ შეუგნებელ „გაუგებრობებს“ გაგებით ეკიდება „ნაცების“ 9-წლიანი დიქტატურით განაწამებული მოსახლეობა!

ყველა ყველა და პოლიციური რეჟიმის რეანიმაციის უმცირეს სიმპტომებსაც კი ცოცხების საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილი ქართველი კაცი არავის აპატიებს!

**დავით მხეიძე**

**P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საპატრიარქოში გამართული კოაბიტაციის კადრები ვიხილე. კაცი ვერ ვნახე ჩემს ახლო-მახლო, ვინც ბატონი ბიძინას და ქართველი ხალხის სისხლით თუ ცრემლით მართლაც გაუმაძღარი პრეზიდენტის კურკურს მოიწონებდა. ვისი და რისი სიყვარულის წლად გამოაცხადა 2013 წელი ბიძინა ივანიშვილმა? იმ პირსისხლიანი მიშასი და მისი ნაცბანდის, რომელთაც ასეულობით პოლიტპატიმარი ჰყავდათ? მათი სიყვარულის, ვინც ცოცხებით გვაუპატიურებდა, ქუჩებში გვხვრეტდა, ეკლესიებს გვინგრევდა, სარწმუნოებას გვიგინებდა, ეროვნულ მენტალიტეტში გვაფურთხებდა?**

**იქნება ისინი უნდა გვიყვარდეს, ვინაც საქართველოს ტერიტორიების 20%, სამუდამოდ თუ არა, დიდი, ძალიან დიდი ხნით დაგვაკარგვინეს?**

**საამისო მანდატი არავისთვის მიუცია ქართველ ხალხს...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013-ში, სავარაუდოდ, დაიწყება იმ ერთიანი ფრონტის დაშლა, რომელიც ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ შეკრა, ეს პროცესი „ნაციონალების“ დასუსტების პარალელურად გაძლიერდება და საბოლოოდ გაფორმდება მაშინ, როდესაც ცხადი გახდება, რომ სააკაშვილის ჯგუფი განიარაღებულია და რეალურ საფრთხეს ქვეყნის სტაბილურობას ველარ შეუქმნის.**

# რა გველის «შავი გველის წელიწადში»?

**2013 „გველის წელიწადი“, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ასტროლოგიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც იქნება. სისინი და გესლი ქართულ პოლიტიკას, პრინციპში, არც არასოდეს აკლდა, თუმცა, მოსალოდნელი ზეინტენსიური პოლიტიკური ბრძოლიდან გამომდინარე, „შავი გველის წელიწადი“ ამ მხრივ საქართველოს უახლესი ისტორიის მატიანეში, ალბათ, მაინც გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. რა გველოდება 2013-ში? მიუახლოვდება თუ არა ქვეყანა გამთლიანებას, დემოკრატიასა და კეთილდღეობას თუ პირიქით — დაშორდება მათ?**



**2013-ში აშშ და საქართველო, სავარაუდოდ, მოახერხებენ ორმხრივი ურთიერთობების გაწმენდას იმ არაჯანსაღი სულისკვეთებისგან, რომელიც მასში სააკაშვილმა შეიტანა**

## გადამწყვეტი რაუნდი

ისევე, როგორც შარშან, 2013-ში მთავარი თემა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირება იქნება და ეს, როგორც მინიმუმი, გაგრძელდება მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილი თანამდებობას არ დატოვებს. ამ ბრძოლაში დიდი დრო და ენერგია დაიხარჯება, რომლის გამოყენება, იდეაში, უფრო ამბიციური მიზნების მიღწევისთვის შეიძლებოდა. მაგალითად, დღეს დეპუტატები მსჯელობენ საკონსტიტუციო ცვლილებებზე (მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნის პროცედურებთან დაკავშირებით), რომელთა მეშვეობით სააკაშვილის „საკანონმდებლო განიარაღებას“ მოახდენენ. ამ ახალ ნორმებს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება ოქტომბერში, როდესაც ძალაში 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები შევა, ხოლო სააკაშვილი სავარძელს დაემშვიდობება (იმ შემთხვევაში, თუ პოსტზე შემოდგომამდე დარჩება, რაც სათუოა). „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ცვლილებების შეტანა ძირითად კანონში აუცილებელია იმ უმწვავესი პოლიტიკური კრიზისის პრევენციისთვის, რომლის პროვოცირება შეიძლება სააკაშვილის ჯგუფმა მოახდინოს. ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, რომ პარლამენტარებს მრავალტანჯულ კონსტიტუციაში, სხვა, პრინციპული ხასიათის ცვლილებების შეტანაზე ემუშავათ, რომლებიც ქვეყნის სტაბილურობას და დემოკრატიულ განვითარებას სტრატეგიულ პერსპექტივაში უზრუნველყოფდნენ, თუმცა დღეს მათ, მარტივად რომ ვთქვათ, „ამისთვის არ სცალიათ“, რადგან ტაქტიკურ, ბრძოლის ლოგიკით ნაკარნახევ გადაწყვეტილებებს იღებენ; იმავეს თქმა მთელ რიგ სხვა საკანონმდებლო ცვლილებებთან, ბრძანებულებებთან თუ დადგენილებებთან დაკავშირებითაც შეიძლება. **ასე გაგრძელდება მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომელიც შარშან, 1 ოქტომბერს დაიწყო და სააკაშვილის პოსტიდან წასვლამდე არ დასრულდება.** მართალია, ამის შემდეგ „ოცნება“, სავარაუდოდ, მიიტანს იერიშს „ნაციონალების“ უკანასკნელ ციტადელზე, თბილისის მერიაზე, მაგრამ ამ ბრძოლას, ალბათ, მაინც ლოკალური ხასიათი ექნება და ის, სავარაუდოდ, სწრაფად დასრულდება, თბილისელების მკვეთრად „ანტინაციონალური“ განწყობის გამო.

**ამ დაპირისპირების ტრანსფორმირება ცივილურ პოლიტიკურ ბრძოლად ორპარტიული მოდელის ფარგლებში პრაქტიკულად წამოუდგენელი ჩანს. მხარეები, 99%-იანი ალბათობით, ვერ მიაღწევენ გრძელვადიან შეთანხმებას თამაშის წესების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რას ურჩევენ უცხოელი პარტნიორები, და შეეცდებიან, მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას მიაღწიონ.** ეს პროცესი, ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდება. **2013 წელი კი, როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური აგონიისა და საბოლოო „ჩამოშლის“ წელი გახდება.**

ყოველივე ეს საინტერესო საყურებელი კი იქნება, თუმცა საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ ამ პერიოდში „ბრძოლის ლოგიკა“ ერთგვარ პოლიტიკურ ინდულგენციად არ იქცეს და მისი გამოყენებით ანტიდემოკრატიული ნაბიჯების გამართლება არ მოხდეს.

დღეს არაერთი კომენტატორი ცდილობს, დაადგინოს, ვიხილავთ თუ არა 2013-ში სააკაშვილის ჯგუფის უკანასკნელ გაბრძოლებას და გადატრიალების მცდელობას. ერთი შეხედვით, ობიექტური წინაპირობები ამისთვის არ არსებობს; მის ხელთ არსებული რესურსი და „ნაციონალების“ რეიტინგი შარშანდელი თოვლივით დნება. მართალია, **ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილი, მენტალური მდგომარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ რეალობას ადეკვატურად არ აღიქვამს და შეიძლება ესკალაციაზე წავიდეს, თუმცა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ის არ მოქმედებს ვაკუუმში და მის გარშემო იმყოფებიან მეტნაკლებად პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები „ნაციონალების“ ზედა და საშუალო რგოლიდან, რომელთა ნაწილმა (დაუზუსტებელი ინფორმაციით) 1 ოქტომბრის შემდეგ ახალი ხელისუფლების ინფორმატორის როლი შეითავსა.** ასე რომ, ცნობები სააკაშვილის რადიკალური გეგმების შესახებ, დიდი ალბათობით, მათ რეალიზებამდე გაცილებით ადრე გაჟონავს, თანაც მას, სავარაუდოდ, გაუჭირდება საკმარისი რაოდენობის „ერთიანი ნაციონალური კამიკაძეების“ მობილიზება, რომელთაც დასაკარგი არაფერი აქვთ და „ბოლომდე გაჰყვებიან“.

**2013-ში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ეს თითქოსდა მეტად დრამატული შეჯიბრი უნდა იქნეს, თუმცა ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით „ქართული ოცნების“ საშუალო კანდიდატიც კი, სავარაუდოდ, უპრობლემოდ დაამარცხებს „ნაციონალების“ ნებისმიერ, მათ შორის საუკეთესო, კანდიდატს, რადგან არჩევნების ჩატარების მომენტისთვის „ოცნების“ მხარდამჭერთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, ივანიშვილის გუნდს ზურგს არ შეაქცევს და მათ დაემატებიან ის ამომრჩევლებიც, რომლებიც ხმას ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლებას აძლევენ.** ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ სპეცეფექტებით დატვირთულ შოუს ვიხილავთ, **რეალური ბრძოლა საპრეზიდენტო პოსტისთვის, სავარაუდოდ, არ გაიმართება და „ოცნების“ კანდიდატი თითქმის უპრობლემოდ გაიმარჯვებს.** ეს არჩევნები საინტერესო იმ შემთხვევაში გახდება, თუ ასპარეზზე მესამე ძლიერი კანდიდატი გამოჩნდება, ეს კამპანიას უფრო სახალისოს გახდის და ამავე დროს ახალი ოპოზიციის ახალი ლიდერის ერთგვარ პრეზენტაციას მოახდენს.

თუმცა ის, რომ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს, ძალიან დიდი ალბათობით, მოიგებს, სულაც არ ნიშნავს, რომ ურთიერთობა მასა და მის ამომრჩევლებს შორის „შავი გველის წელიწადში“ უპრობლემო იქნება. ეს თემა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია და მასზე საუბარს, ალბათ, გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ.

## დაშლასა და არეულობას შორის

„ნაციონალები“ დღემდე თვლიან, რომ „ოცნების“ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი სოციალურ დაპირებებს დახარბდა და პრაქტიკულად არ საუბრობენ მათზე, ვისთვისაც მთავარი საარჩევნო უბანზე მისვლის მომენტში სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და სამართლიანობის აღდგენა იყო. ყველაზე მეტად, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, სწორედ ეს ადამიანები სძულთ, რადგან თავის დროზე ვერც მათი ნების გატეხა, ვერც მოტყუება მოახერხეს. მომავალ წელს „ქართულ ოცნებას“ მოუწევს იმაზე ზრუნვა, რომ მათი ნდობა არ დაკარგოს, ისევე, როგორც იმ მხარდამჭერებთან მუშაობა, რომელთა არჩევანის უკან მეტწილად მერკანტილური გათვლები იდგა.

საბოლოო ჯამში, **არც ისე ბევრმა ამომრჩეველმა მისცა ხმა „მხოლოდ კეთილდღეობას“ ან „მხოლოდ სამართლიანობას“; როგორც წესი, საარჩევნო უბანზე მიღებული გადაწყვეტილების უკან ამ მოტივების კომბინაცია იდგა. მათ დიდ ნაწილს სჭირდება ერთიც და მეორეც, თანაც, ქართული ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, სწრაფად და მაქსიმალური დოზით.**

„ნაციონალების“ იმედი, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა ნაწილი უკვე გაზაფხულზე დაუპირისპირდება მთავრობას სოციალურ-ეკონომიკური დაპირებების შეუსრულებლობის გამო, ერთობ გულუბრყვილო ჩანს. ჯერ ერთი, უკმაყოფილების აკუმულირება ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოში გაცილებით ნელა ხდება, თანაც ნდობის ლიმიტი, რომელიც ივანიშვილის მთავრობას ამოწურული არ აქვს და ის მცირე, მაგრამ სასიამოვნო შეღავათები (ბენზინის გაიაფება, ტარიფის თუნდაც სიმბოლური დაწევა) „ქართული ოცნებისთვის“ ერთგვარ „უსაფრთხოების ბალიშს“ ქმნის და ნაკლებად მოსალოდნელია მას მომავალი 1,5-2 წლის განმავლობაში ამ მხრივ რამდენადმე საგრძნობი სირთულეები შეექმნას. გაცილებით პრობლემური მისთვის ამომრჩევლების მეორე, სამართლიანობის აღდგენაზე ორიენტირებული ნაწილი იქნება.

ეს ადამიანები უხერხულ კითხვებს სვამენ. დაახლოებით ასეთს: **თუ სააკაშვილს ორასამდე პოლიტპატიმარი ჰყავდა, რატომ არ ისჯება ის ხალხი, რომლებმაც ისინი ციხეში ჩასვეს? რატომ მუშაობენ შსს-ში ის პოლიციელები, რომლებიც 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევებში მონაწილეობდნენ, სცემდნენ და აშინებდნენ ოპოზიციონერებს?** რატომ... ასეთი „რატომ“ ძალიან ბევრია და მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ ამ ადამიანების გაღიზიანება იზრდება და მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამას გრძნობენ. ეს ცნობილი პოსტრევოლუციური სინდრომია; რეჟიმთან მებრძოლები ეკრანზე ხედავენ ყოფილი მოწინააღმდეგეების კმაყოფილ და ერთობ ცინიკურ სახეებს და კითხულობენ: „რისთვის ვიბრძოდით?“. მათ ნაკლებად აინტერესებთ ის, რომ გამოძიების პროცესში აუცილებელია ყველა პროცედურის დაცვა, ხოლო ამისთვის საჭიროა დრო (თანაც საკმაოდ ბევრი), რომ უცხოელი პარტნიორები კოაბიტაციისკენ მოგვიწოდებენ (ეს სიტყვა ამომრჩევლების ამ კატეგორიას, უბრალოდ, სძულს) და ა.შ. **ფარული კონფლიქტი ამ ამომრჩევლებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის 2013-ში, სავარაუდოდ, ღია ხასიათს მიიღებს და ისინი ახალ, უფრო რადიკალურად განწყობილ ლიდერებს იპოვიან, რომლებიც „რევოლუციის ბოლომდე მიყვანას“ დაჰპირდებიან.** მსგავსი რამ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში არაერთგზის მომხდარა და ძალიან საინტერესოა, რომელი პოლიტიკოსი მოიგებს საზოგადოების ამ, სამართლიანობაზე (ხანდახან კი რევანშზე) ორიენტირებული რადიკალურად განწყობილი ნაწილის გულს.

**2013-ში, სავარაუდოდ, დაიწყება იმ ერთიანი ფრონტის დაშლა, რომელიც ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ შეკრა, ეს პროცესი „ნაციონალების“ დასუსტების პარალელურად გაძლიერდება და საბოლოოდ გაფორმდება მაშინ, როდესაც ცხადი გახდება, რომ სააკაშვილის ჯგუფი განიარაღებულია და რეალურ საფრთხეს ქვეყნის სტაბილურობას ველარ შეუქმნის.** ამ მომენტიდან ერთიანი ფრონტის ხელოვნური შენარჩუნება მიზანშეწონილი აღარ იქნება, რადგან ის ფრიად განსხვავებული შეხედულებებისა და მისწრაფებების ადამიანებს აერთიანებს, რომელთა ერთად ყოფნა „ნაციონალების“ ჩამოშლის შემდეგ ერთობ

**2013 წელი, როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილისა და «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკური აგონიისა და საბოლოო «ჩამოშლის» წელი გახდება**

„მიხეილ სააკაშვილმა თავისი მილიტარისტული გამონათქვამებითა და არაკომპეტენტური პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ქვეყანა ომამდე მიიყვანა. ეს არის მთავარი. ის, რომ ქართველი ხალხი ამ კერპისგან გათავისუფლდა, ქართული დემოკრატიის განვითარებაში მთავარი გარღვევაა. ეს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების წინაპირობაა.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არაბუნებრივი იქნება. პოლიტიკური სივრცის ეს ახალი გადაფორმატება 2013 წლის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცევა.

## არწივები და მშვიდობის მტრედი

**იმაზე, რომ 2013 რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის წელი იქნება, დღეს პრაქტიკულად არავინ დავობს.** მოვლენათა განვითარების დინამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არაა, რომ წელიწადის პირველ ნახევარში მოხდება პირველი, სავარაუდოდ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ორი ქვეყნის უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს შორის, ხოლო მთელი რიგი (უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული) პრობლემები, სავარაუდოდ, უმტკივნეულოდ მოგვარდება.

ამავე დროს, **2013-ში აშშ და საქართველო, სავარაუდოდ, მოახერხებენ ორმხრივი ურთიერთობების გაწმენდას იმ არაჯანსაღი სულისკვეთებისგან, რომელიც მასში სააკაშვილმა შეიტანა.** განსაკუთრებით საგულისხმო ამ მხრივ მისი მმართველობის ბოლო პერიოდი იყო, როდესაც ის პრაქტიკულად თეთრი სახლის დაშანტაჟების გზას დაადგა (და რაც მოიმკო, ყველამ ერთად ვნახეთ).

**2013-ში საქართველოში, სავარაუდოდ, დაიწყება სააკაშვილის მმართველობის წლებში, ფაქტობრივად, აკრძალული დისკუსია თემაზე „ნატოში არ გვიღებენ და რა ვქნათ?“.** ერთმანეთს ხმაურიანად დაუპირისპირდება ორი მხარე, რომელთაგან **ერთის პოზიცია** დაახლოებით ასეთი იქნება **„ნატო — ნებისმიერ ფასად“**, ხოლო **მეორის — „რუსეთის მოკავშირეები უნდა გავხდეთ“.** ხოლო მაქსიმალურ ამონაგებს ამ ორი მხარის დაპირისპირებისგან, სავარაუდოდ, **მესამე მხარე** მიიღებს, რომელიც რუსეთთან ურთიერთობებში ფინური პოლიტიკიდან გადმოღებული და კავკასიური რეალიების მიმართ პაასიკივი-კეკონენის ხაზის გატარების მომხრეა, რომელიც (ამ ეტაპზე ნატოში შესვლისა და რუსეთთან კავშირის პრაქტიკული შეუძლებლობიდან გამომდინარე) **„იძულებით ნეიტრალიტეტს“ და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ფრთხილ და შეძლებისდაგვარად ღიმილიან ლავირებას ითვალისწინებს.**

2013 წელს, რა თქმა უნდა, იქნება ბევრი საინტერესო ეპიზოდი, რომელიც ცალკეული პოლიტიკოსების კარიერის მელოდრამატულ დასასრულს დაუკავშირდება, სავარაუდოდ, **ჩვენ ვიხილავთ ბევრ ხმაურიან დაპატიმრებას და სასამართლო პროცესს, თუმცა ისტორიისა და დიდი პოლიტიკის გადასახედიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანამ 2013 წელს ხანგრძლივი მშვიდობისკენ და სტაბილური განვითარებისკენ პირველი, თუნდაც მოკრძალებული ნაბიჯები გადადგას.** მოხდება თუ არა ეს, არა მხოლოდ პოლიტიკოსებზე, არამედ თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, კერძოდ კი იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად გააკონტროლებს ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურ ელიტას.

**დიმიტრი მონიავა**

### ვახტანგ მაისაია:

# სააკაშვილი კავკასიის პოლ პოტია

**საქართველოში პოლიტპატიმართა ამნისტია ძალაში შევიდა. გათავისუფლებულთა შორის არის ვახტანგ მაისაია — დიპლომატი, პოლიტოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. „გოლოს როსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ყვება, როგორ შეუთითხნეს ბრალდება და ქართულ ციხეს საკონცეტრაციო ბანაკს ადარებს.**



2009 წელი



2013 წელი

**— რისთვის დაგაკავეს და რაში დაგდეს ბრალი?**

— მე შპიონაჟში და სამხედრო შპიონაჟში დამადანაშაულეს, ანუ ორი მუხლით წამიყენეს ბრალი. ბრალი დამდეს როგორც ნატოს, ასევე რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების სასარგებლოდ ჯაშუშობაში, რაც თავისთავად პარადოქსია. ასეთ ბრალს უყენებდნენ ქართული ოპოზიციის არაკეთილსაიმედო წარმომადგენლებს. თუმცა **რეალურად მოტივი პოლიტიკური იყო — მე თავს უფლებას ვაძლევდი, სააკაშვილის რეჟიმის მიმართ კრიტიკული აზრი გამომეთქვა. მე მას ომის დროს ჩადენილი მოქმედებებისთვის ვაკრიტიკებდი, იმისთვის, რომ მშვიდობიანი ცხინვალი დაბომბა და როგორც მთავარსარდალი, ულირსად მოიქცა.** ჩემი საქმე ძალიან მოცულობითია — ხუთ ტომს მოიცავს. წარმოგიდგენიათ? შეთითხნილი მასალების ხუთი ტომია!

**— მართალია, რომ წიგნი დაწერეთ?**

— წიგნი ინგლისურ ენაზე დავწერე და იგი 2009 წლის ბოლოს უნდა გამოსულიყო. პირადად ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს ლონდონსა და ბრატისლავაში, რომ წიგნი გამომეცა. იგი 2008 წლის აგვისტოს ომის სრულ სამხედრო-პოლიტიკურ ანალიზს წარმოადგენდა.

**— მოგვიყევით თქვენი გათავისუფლების შესახებ. როგორ მოხდა ეს და რა იყო საბაბი?**

— მე პოლიტიკური ამნისტიით გამათავისუფლეს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ოქტომბრის ბოლოს მიიღო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა ვეტო დაძლია. აი, ამ ამნისტიით გავთავისუფლდი და, რაც მთავარია, პარლამენტის დადგენილებით, სხვა 190 პირთან ერთად პოლიტპატიმრის სტატუსი მომაკუთვნეს.

**— როგორ გესახებათ გამოსავალი რუსეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ჩიხიდან?**

— რთულია რაიმეს თქმა ამ ეტაპზე. მაგრამ ის ნაბიჯები, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გადადგა... ალბათ, ამ ნაბიჯებს შეუძლია შეარბილოს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული რთული ურთიერთობები. ვფიქრობ, საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას პოლიტიკური კურსი აბსოლუტურად სწორი მიმართულებით მიყავს. ეკონომიკური, კულტურული კავშირები უნდა აღდგეს. შემდეგ კი პოლიტიკური ურთიერთობებიც უნდა მოწესრიგდეს, თუმცა, ბუნებრივია, კონსენსუსი ორივე მხარეს შორის აუცილებელია.

**— რას ფიქრობთ საქართველოში ხელისუფლების შეცვლაზე? რა ცვლილებები გველის? რა იმედები გაქვთ?**

— დიდი ცვლილებები გველის. სააკაშვილის ტოტალიტარული რეჟიმი მოუსავლეთში მიდის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. საპარლამენტო არჩევნებმა ნიადაგი მოამზადა იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაინგრეს. ამ მიმართულებით უკვე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს ქართული დემოკრატიის დიდი წარმატებაა. ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ სრული უფლება აქვს იმ თავისუფლებისა, რომელსაც იმსახურებს.

**«ქართული ციხე, ციხე კი არა, საკონცენტრაციო ბანაკია. ეს ქართული გულაგი იყო, რომელიც სააკაშვილმა საკუთარი ხალხის ძვლებზე ააშენა»**

**— სააკაშვილის რომელ ძირითად შეცდომებს გამოყოფდით რუსეთთან ურთიერთობაში და საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციონირების თვალსაზრისით?**

— მიხეილ სააკაშვილის ყველა ნაბიჯი საქართველოს შიდა პოლიტიკაში იყო აბსოლუტურად მცდარი, იმიტომ, რომ მან რეპრესიული სისტემა დაამკვიდრა. ეს იყო „კავკასიელი პოლ პოტის“ რეჟიმი. ერთ-ერთ ჩემს პუბლიკაციაში სააკაშვილს კავკასიელი პოლ პოტი ვუწოდე. ის ავანტიურული პოლიტიკაც, რომელსაც სააკაშვილი საერთაშორისო დონეზე ეწეოდა, სწორედ ამას ამტკიცებს. **მიხეილ სააკაშვილმა თავისი მილიტარისტული გამონათქვამებითა და არაკომპეტენტური პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ქვეყანა ომამდე მიიყვანა. ეს არის მთავარი. ის, რომ ქართველი ხალხი ამ კერპისგან გათავისუფლდა, ქართული დემოკრატიის განვითარებაში მთავარი გარღვევაა. ეს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების წინაპირობაა.**

**— გათავისუფლების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

— გათავისუფლება ჩემთვის მეორედ დაბადებაა; ყოველდღიურად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიდექი, რადგან **ქართული ციხე, ციხე კი არა, საკონცენტრაციო ბანაკია. ეს ქართული გულაგი იყო, რომელიც სააკაშვილმა საკუთარი ხალხის ძვლებზე ააშენა.** ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა ამ გულაგში, ბევრი კი დღესაც იქ ზის.

**„საქართველო და მსოფლიო“ გულითადად ულოცავს ვახტანგ მაისაიას და ყველა პოლიტპატიმარს პატიმრობიდან გათავისუფლებას და წარმატებებს უსურვებს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.**

## «ბორჯომს» რუსეთში დაბრუნებაზე პასუხი ონიშჩენკოსგან ამ დრომდე არ მიუღია

**საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერობის აღდგენაზე გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, „აიდიეს ბორჯომი“ რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესახებ პასუხს „როს-პოტრებ-ნადზორისგან“ ამ დრომდე ელოდება.**




„ბორჯომის“ სათაო ოფისში რადიო „კომერსანტს“ განუმარტეს, რომ კომპანიამ რუსეთის მთავარ სანიტარს დოკუმენტები უკვე გადაუგზავნა და ამჟამად უწყებიდან პასუხის ელიან.

„აიდიეს ბორჯომის“ პრესსამსახურის ცნობით, რუსულ ბაზარზე პროდუქციის დაბრუნებამდე რუსეთიდან საქართველოს რუსი ექსპერტები უნდა ეწვიონ და ბორჯომის ხარისხი ადგილზე შეამოწმონ. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი, პირველი ასეთი შეხვედრა, შესაძლოა, იანვრის ბოლოს შედგეს.

## აკაკი ბობოხიძეს ზუგდიდში კვერცხი ესროლეს

**ზუგდიდში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ინციდენტი მოხდა. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვის დასრულების შემდეგ, შეხვედრის მონაწილე მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ შენობას არ დაატოვებინებენ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს.**



საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მოქალაქეებს სთხოვეს, რომ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებისთვის შენობის დატოვების უფლება მიეცათ. იგივე თხოვნით მიმართეს მათ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც.

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე შენობის დატოვებას საპატრულო პოლიციის დახმარებით, ცდილობდა. მას მოქალაქეების ნაწილმა კვერცხი ესროლა და ცდილობდნენ, მისთვის ცოცხი ჩაერტყათ. მოგვიანებით, აკაკი ბობოხიძემ საპატრულო პოლიციის დახმარებით მიმდებარე ტერიტორია დატოვა.

შენც, ბრუტუს?!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ კლანურ მმართველობას ბოლოს მოუღებდნენ და ღირსეულ პროფესიონალებს გაუკაფავდნენ გზას სახელმწიფო სამსახურისკენ. როგორც ვხედავთ, მმართველი პარტია ამ დაპირებას ჯერჯერობით ვერ ასრულებს...**

# «კლანური ოცნება»

## ნეპოტიზმი ახალ ხელისუფლებაში

**„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ ხელისუფლებაში ფართოდ გაუღეს კარი საკუთარ ნათესავებსა და მეგობრებს, ნეპოტიზმი მმართველობის განუყოფელ ნაწილად იქცა და ცხადია, ამან ხელისუფლებაში გზა გადაუღობა იმ პროფესიონალ და კვალიფიციურ კადრებს, რომელთაც მმართველ გუნდში პატრონი არ ჰყავდათ. ოპოზიცია ეფექტურად მანიპულირებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ამ მანკიერი საკადრო პოლიტიკით და, სადაც საჭირო იყო, იქ დაახვედრეს ხელისუფლებას იგი კომპრომატად.**



წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ უსაყვარლესი თემა იყო „ნეპოტიზმი სააკაშვილის ხელისუფლებაში“ და „კლანური მმართველობა ნაციონალურად“. ცხადია, ხალხი იმედოვნებდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, ნათესავ-მეგობრობის ნიშნით, ხელისუფლების საკვანძო პოსტებზე მაინც შეწყდებოდა ხალხის დანიშვნა, თუმცა ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს — **„ქართული ოცნება“ წარმატებით აგრძელებს ნეპოტისტურ საკადრო პოლიტიკას, ძველ კლანებს ნელ-ნელა ახალი ენაცვლება.**

**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ გიორგი თუშურიშვილი დაინიშნა — საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის უფროსი ვაჟი.** სამინისტროს ამ თანამდებობაზე კონკურსი არ გამოუცხადებია — წყაროს ინფორმაციით, ერთმა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ, მეორე მინისტრს, კახი კალაძეს, სთხოვა შვილის დასაქმება და პრობლემაც ამით ამოიწურა. მართალია, გიორგი თუშურიშვილს ევროპული განათლება აქვს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის ერთადერთი და შეუცვლელი კადრია ამ პოსტზე, რადგან ამ პროფილით მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია.

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა, საკუთარი ბიძაშვილი, მირზა სუბელიანი, სამინისტროში გენერალური ინსპექციის უფროსად ისე დანიშნა, რომ ამ პოსტზე სხვა კანდიდატურები არც კი განხილულა.** განმარტებისთვის — ბატონი სოზარი სულ რამდენიმე წლის წინ სუბელიანი იყო გვარად, მერე გვარი გამოიცვალა, სუბარი გახდა და ამით, როგორც თავად აცხადებს, წინაპართა გვარი დაიბრუნა.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის პოსტი არჩილ ხაბაძეს ჩააბარეს.** მართალია, ხაბაძეს აჭარაში წესიერ ადამიანად იცნობენ, მაგრამ მას მნიშვნელოვან პოლიტიკური ან ჩინოვნიკურ პოსტზე მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. ხაბაძე ივანიშვილის ბანკის — **„ქართუს“ აჭარის ფილიალის მმართველად მუშაობდა** და მისი იქ დანიშვნის მთავარი კრიტერიუმი პრემიერისადმი ერთგულება გახლდათ, ნაგრამ აჭარაში უამრავი ადამიანი და მათ შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პოლიტიკურად აბსოლუტურად გამოუცდელი ხაბაძისთვის ესოდენ დიდი და რთული რეგიონის ჩაბარება ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. **თავის მხრივ, არჩილ ხაბაძემ, დაინიშნა თუ არა, საკუთარი ნათესავი დააწინაურა — აჭარის შს სამინისტროს უშიშროების სამსახურის უფროსად თემურ პატარიძე დანიშნა**. ბიძინა ივანიშვილის ნათესავი, მაკა ივანიშვილი, არჩილ ხაბაძის თანაშემწე გახდა, არჩევნებამდე ის „ქართული ოცნების“ ბათუმის ოფისში მუშაობდა მედიასთან ურთიერთობის განხრით. წყაროს ინფორმაციით, ბანკ „ქართუს“ კიდევ ერთ თანამშრომელს, ცხადია, ივანიშვილისადმი ერთგულების ნიშნით მალე დანიშნავენ სოლიდურ თანამდებობაზე — **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად. ამ პოსტზე გიორგი ტომარაძეს ამზადებენ, რომელიც პროფესიონალი ფინანსისტია**, ბანკის გარდა არსად უმუშავნია, სპეცსამსახურებში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს და ქვეყნის უმაღლესი პირებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებებისა და ობიექტების უსაფრთხოების დაცვის გარანტად უნდა იქცეს.

**ქვეყნის მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის, ნათესაობა დაეხმარა დავით კოჭლამაზაშვილს კარიერულ წინსვლაში. ის თბილისის პროკურორად კბილაშვილმა დანიშნა.** წყაროს ინფორმაციით კბილაშვილი მისი შვილის ნათლიაა. კბილაშვილი და კოჭლამაზაშვილი კურსელებიც არიან. **შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მამა, ტარიელ ღარიბაშვილი თეთრიწყაროს რაიონის მუნიციპალიტეტის, სოფელ თეთრიწყაროს რწმუნებული გახდა არჩევნების შემდეგ.** სოფელში არავინ ეჭვობს, რომ მინისტრის მამობა იყო ტარიელ ღარიბაშვილის რწმუნებულის პოსტზე დანიშვნის გადამწყვეტი მიზეზი და მინისტრი შვილის შიშით, მას კონკურენციის გაწევაც ვერავინ გაუბედა.

არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, საქართველოს რამდენიმე რაიონში ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ხელმძღვანელობა შეიცვალა — „ნაციონალური მოძრაობის“ კადრები გამარჯვებული კოალიციის წარმომადგენლებმა ჩაანაცვლეს. ხშირ შემთხვევაში კი ახალი კადრების შერჩევა „ქართული ოცნების“ გავლენიანი ფიგურების მეგობრობისა და ნათესაობის ნიშნით მოხდა. **ახმეტის რაიონს ახალი, „მეოცნებე“ გამგებელი ჰყავს — 25 წლის ბექა ბაიდაური. ახალბედა გამგებელი ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის უახლოესი მეგობარია** და ის არც მალავს ამ ფაქტს. ზვიადაური კი, მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატია ახმეტიდან. შეიძლება ითქვას, **არჩევნებიდან 3 თვის შემდეგ ახმეტას ზვიადაურის კლანი აკონტროლებს. ბექა ბაიდაურმა თანაშემწედ საკუთარი ცოლის და — მაგდა ლაგაზური დაინიშნა. ბაიდაურის მოადგილე ბერდია ზვიადაური გახდა — ის ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილია. ბერდია ზვიადაურის მეუღლე, ლელა ახმეტელი კი ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაქრო ქინქლაძის თანაშემწე გახდა. „ქართული ოცნების“ დეპუტატის კიდევ ერთი ბიძაშვილი, მერაბ ზვიადაური, რაიონის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დაინიშნა. ამ დღეებში ზურაბ ზვიადაურის კიდევ ერთი ნათესავი — ზაზა მებაღიშვილი "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" ახმეტის სერვისცენტრის უფროსი გახდა. ზაზა მებაღიშვილის შვილი ზურაბ ზვიადაურის დისშვილის ცოლია.**

ცაგერის რაიონსაც ახალი გამგებელი ჰყავს — მამუკა ჩაჩხიანი. ლეჩხუმში ყველამ კარგად იცის, რომ მამუკა ჩაჩხიანი პრემიერ-მინისტრის ძმის, ალეკო ივანიშვილის, უახლოესი მეგობარია, მათ საერთო ღვინის ბიზნესიც ჰქონდათ და ამ ფაქტს ჩაჩხიანი არც მალავს მედიასთან.

**პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ზვიად ძიძიგურის მეგობარი, ბესო ხითარიშვილი ახალციხის გამგებლად დაინიშნა**. თავის დროზე, ხითარიშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ი) მეოთხე სამმართველოს უფროსად მუშაობდა, პოლიტიკური ოპონენტების ფარულ ვიდეოგადაღებებს ხელმძღვანელობდა. ის შს მინისტრის მოადგილის, ამირან მესხელის, თანამოაზრედ, მისი დავალებების უსიტყვო შემსრულებლად ითვლებოდა და კუდ-შიც სწორედ მესხელის რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა. **ცხადია, ახალციხელებს არაფრად ეპიტნავებოდათ ისეთი კაცის გამგებლად დანიშვნა, რომელიც თავის დროზე, ოპოზიციის დევნა-შევიწროებაში მონაწილეობდა, მაგრამ ზვიად ძიძიგურმა თავისი გაიტანა და ხითარიშვილი გამგებელი გახდა.** ხითარიშვილის დანიშვნაში რომ ძიძიგურთან მეგობრობა აღმოჩნდა გადამწყვეტი მიზეზი, ამას არც ახალციხის „ქართული ოცნების“ ოფისში უარყოფენ. ამ ფაქტს, ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე — ოლეგ სანდროშვილიც ადასტურებს — მას და საკრებულოს რამდენიმე წევრს პირადად დაურეკა ზვიად ძიძიგურმა და კატეგორიულად მოსთხოვა მისი მეგობრის, ბესო ხითარიშვილის, გამგებლად დანიშვნა. ამგვარი ზეწოლის შემდეგ, საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრებსა და თავმჯდომარეს არჩევანის საშუალება აღარ დაუტოვეს.

„ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ **დეპუტატ გიგა ბუკიას მეგობრობის წყალობით გახდა ხობის გამგებელი გოგა ღურწკაია**. ხობის გამგებლობის სხვა მსურველები ბუკიამ განზე გასწია და მისი მეგობარი ხობის საკრებულომ უპრობლემოდ დაამტკიცა რაიონის პირველ კაცად.

სამცხე-ჯავახეთის ფინანსური პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსად **გელა ლეკიშვილი** მეგობრის წყალობით დაინიშნა — **შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძე მისი დიდი ხნის მეგობარია.** ხვედელიძე მინისტრის მიადგილეობამდე „ქართული ოცნების“ რეგიონული მდივანი იყო და სოლიდური გავლენით სარგებლობს ივანიშვილის კარზე. ლეკიშვილის გარდა, **ხვედელიძემ კიდევ ერთ მეგობარს გაუკაფა კარიერული გზა — სამცხე-ჯავახეთის პოლიციის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილედ ვეფხია მაღრაძე დანიშნა**. გელა ხვედელიძეს იმხელა გავლენა აღმოაჩნდა, რომ ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ნათესავი, გიორგი მერაბიშვილიც სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციაში მაღალ პოსტზე დანიშნა. მერაბიშვილი მანამდე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო და არჩევნების მერე უმუშევარი დარჩა. **„ქართული ოცნების“ კულუარებში საუბრობენ, რომ გელა ხვედელიძეს სამინისტროში საკუთარი კლანის შექმნა სურს და საამისოდ ვანო მერაბიშვილის კადრებსაც წარმატებით იყენებს. ამ შემთხვევაში ნათესაური არა, მაგრამ კლანური მმართველობის ნიშნები აშკარად იკვეთება.**

ბიძინა ივანიშვილის კარის „რუხ კარდინალად“ ცნობილმა გია ხუხაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკის ფორმირებაში. მან არაერთ მნიშვნელოვან პოსტზე მოახერხა საკუთარი მეგობრების დანიშვნა, თუმცა გამორჩეულ წარმატებას რკინიგზაში მიაღწია — **„საქართველოს რკინიგზაში“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ სწორედ ხუხაშვილის ძალისხმევით დაინიშნა ოლეგ ბიჭაშვილი.** ის ძველი კადრია, როცა თავად ხუხაშვილი იყო „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბიჭაშვილი ხუხაშვილის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ კი ხუხაშვილმა მეგობარი რკინიგზაში მეორე კაცად აქცია.

ქვეყანაში უამრავი პროფესიონალია დაუსაქმებელი, მათ შორის ისეთებიც არიან, სახელმწიფო სამსახურში მუშაობის გამოცდილება რომ აქვთ და წლების მანძილზე უმწიკვლოდ მსახურობდნენ. **„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ კლანურ მმართველობას ბოლოს მოუღებდნენ და ღირსეულ პროფესიონალებს გაუკაფავდნენ გზას სახელმწიფო სამსახურისკენ.** როგორც ვხედავთ, მმართველი პარტია ამ დაპირებას ჯერჯერობით ვერ ასრულებს...

**ლევან ჯავახიშვილი**

ვარ თუ არა „საქართველოს სახელმწიფოს მტერი“? ნამდვილად ვარ! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ სახელმწიფოს, რომელსაც სააკაშვილი აშენებდა, არაფერი აქვს საერთო ჩემს სამშობლოსთან; მეორეც, იგი არ არის ქართული სახელმწიფო (აკი „საქართველოს სახელმწიფოო“, — თავად წერენ!); მესამეც, სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ხალხს და მის ისტორიას ომს უცხადებს, სახელმწიფო აღარ არის, იგი ბანდაა.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია წერილი ქსელის ვირთხებს

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მედიის განვითარებაზე ზრუნვისთვის მოიცალა, ერთი მეორის მიყოლებით ჩნდება ინტერნეტსივრცეში ახალი, ინოვაციური პროექტები. რა ქნან, 800 ათასს ათვისება ხომ უნდა! ერთი ასეთი, ჭეშმარიტად „ნაციონალური“ სულისკვეთების სახელით გასკდა ფეისბუქზე „საქართველოს სახელმწიფოს მტრები“. ვითომ საქართველოს მტრები ან სახელმწიფოს მტრები ნაკლები უბედურება იყოს, აქ ორივე ერთად მოაქუჩეს — საქართველოც და სახელმწიფოც! ეს არც არის გასაკვირი; მათ საქართველო მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა უჭირთ, ახლა კი, 1 ოქტომბრის შემდეგ, მართლაც გაუჭირდათ.**




თუ ადრე სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულებიდან იღებდნენ ხელფასს სოციალური ქსელების დაბინძურებაში (ამბობენ, რომ უშიშროების საბჭოს გასაიდუმლოებული მრავალმილიონიანი ბიუჯეტიდან კარგა გვარიანი ნაწილი სწორედ ქსელის ვირთხების მოღვაწეობაზე იხარჯებოდა), ახლა ზოგი დაითხოვეს ამ ფიქტიური სამსახურებიდან, ზოგი კი ქსელში სამუშაოდ გადააფორმატეს და ისინიც „პოლიტიკურ დევნაზე“ აყვირდნენ. თუმცა პოლიტიკური დევნა ხომ მათი მოგონილია და ისინი ისევ ისე აგრძელებენ იარლიყების მიწებებას, როგორც მაშინ, ხელისუფლებაში რომ იყვნენ გათქვეფილნი.

**მე მათ ქსელის „კოორდინატორებს“ ვუწოდებდი,** რადგან ისინი ისეთივე მენტალიტეტისა და გაქანების არსებები არიან, როგორც „ნაციონალთა“ უბნის კოორდინატორები, ოღონდ **მათი „უბანი“ ინტერნეტია.** იგესლებიან, მტრებისა და მოღალატეების ძიებაში არიან, რადგან არჩევნებში მარცხს ხალხის ღალატს აბრალებენ და არა საკუთარ დანაშაულებს. **პატივი მერგო, „საქართველოს სახელმწიფოს მტრების“ სიაში მეც მოვხვედრილიყავი. სიმბოლურია, მაგრამ სწორედ ის ფოტო დაუდევთ, რომელიც სახალხომართლმადიდებლური მოძრაობის დროშის ფონზეა გადაღებული.**

ამ მოძრაობის წევრები ქსელის „კოორდინატორების“ უფროსებმა რამდენიმე წლით ციხეში მხოლოდ იმიტომ გამოკეტეს, რომ ისინი მართლმადიდებლობას იცავდნენ. **მათი უდანაშაულობა იმთავითვე ცნობილი იყო – ამაზე ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელებმა სასამართლო პროცესზეც დაადასტურეს, მაგრამ მართლმადიდებლებს მაინც ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს.** მაშინ ამას პოლიტიკური დევნა კი არა, „კანონის უზენაესობა“ ერქვა. ამ „უზენაესობის“ წყალობით სანდრო გირგვლიანის მკვლელების კამერა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომერს დაამსგავსეს, ხოლო სამ წელიწადში დამნაშავეები საერთოდაც გაათავისუფლეს.

ისევ ფეისბუქს მივუბრუნდეთ; ყველამ კარგად იცის, რომ სოციალურ ქსელებში არ ვარ, მეტისმეტად დიდი დრო მიაქვს ამ ვირტუალურ ურთიერთობებს, რომელიც ცოცხალ კონტაქტს უნდა მოაკლო. ამ ქსელის „კოორდინატორებმა“ კი (როგორც ჩანს, დაფინანსების შემცირების გამო) საქმე მიაფუჩეჩეს და საზოგადოებას რამდენიმე წლის წინანდელი სულელური ჭორი შეასაღეს: **„ნანა დევდარიანი — ცნობილი შევარდნაძისდროინდელი პუტჩისტი, რომელიც რუსული აგენტურის წევრია და ფორუმ.ჯი-ზე ცნობილია ნიკით tserovanis meri“.** ამ „წეროვანის მერის“ საკითხი ორი წლის წინ ამოიწურა, მაგრამ, როცა ფული შემოგაკლდება, ძველ ჭორებსაც ამოიღებ, რომ პატრონს მჩქეფარე მოღვაწეობის ილუზია შეუქმნა.

პუტჩისტობაზე აღარ შევჩერდები, რადგან ამ საქმით სწორედ ის ადამიანები იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც დღეს გამსახურდიას უპრინციპო მომხრეების გვერდით არიან „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოკალათებულნი, „შევარდნაძისდროინდელი“ სააკაშვილი მოიკითხონ თბილად (მას დაჰყვებოდა არჩევნებზე სააგიტაციოდ შევარდნაძე და არა მე!), ხოლო სოციალურ ქსელებს და ფორუმებს რაც შეეხება, ჩემი იქ არყოფნით, როგორც ჩანს, მეტისმეტად კომფორტული მდგომარეობა შევუქმენი ქსელის ვირთხებს და ამ დანაკლისს, ნამდვილად ვპირდები, უახლოეს მომავალში შევუვსებ.

**უვიცების ამ მეხუთე კოლონას ჰგონია, რომ კომპიუტერის კლავიატურაზე დაკაკუნება დიდი მეცნიერებაა, ხოლო უწმაწური ლექსიკით ვინმეს ლანძღვა – მათი კეთილშობილების უტყუარი საბუთი. სამაგიეროდ, არ იციან, რომ, ხმამაღალი სახელების მიუხედავად, მათი ვინაობის დადგენა არც ისე რთულია.**

ხელისუფლებიდან მათი პატრონების გამობუნძულებით მოგვრილ კაეშანს ისინი ქსელში ცელქობით იქარვებენ, მაგრამ ამ ონავრობაში ისეთ შეცდომებს უშვებენ, რომლებიც მათივე სისხლისსამართლებრივი დევნის პირდაპირ საფუძველს წარმოადგენს.

შორს რომ არ წავიდეთ, ფეისბუქის იმავე გვერდზე გამოქვეყნებულ თვითაღიარებას ჩავხედოთ: **„ამ იატაკქვეშა სტამბაში რუსეთუმეები ფსბ-ს დავალებით ბეჭდავდნენ ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებს, ნაციონალური ურთიერთშუღლის გაღვივების ლიტერატურას და ეწეოდნენ ფარულ აგიტაცია/პროპაგანდას, რათა პრორუსული გავლენა მოეხდინათ მოსახლეობაზე. ჩვენმა სპეცსამსახურებმა გაშიფრეს ეს იატაკქვეშა სტამბა და დედაბუდიანად გაანადგურეს! ამ სტამბის გამხსნელია მოღალატე ტარიელ გაგნიძე, რომელიც რუსებზე მუშაობს დიდი ხანია და მას აბარია ე.წ. ფსბ-ს „ისტორიჩესკოე ნასლედიეს“ პროექტი“.**




**დანაშაული, რომელიც, უკვე ოთხი წელია, გაუხსნელია, ქსელის „კოორდინატორების“ აღიარებითი ჩვენების მიხედვით, ქართული სპეცსამსახურების ჩადენილი ყოფილა! მთავარ პროკურორს შევახსენებ, რომ დანაშაულის ნიშნების შემცველი პუბლიკაციის კვალდაკვალ პროკურატურა უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება. ამ აღიარებითი ჩვენების ავტორის დადგენა კი სრულიად უპრობლემოდ შეიძლება.** ქსელის ვირთხებო! ნუ ეცემით ახლა Delete-ს ღილაკს ინფორმაციის გასაქრობად; თქვენი ნაცოდვილარი და IP-მისამართები საიმედოდ არის დაარქივებული!

შეგახსენებთ: **გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია 2009 წელს 9 თვის განმავლობაში ორჯერ დაარბიეს, მოიპარეს კომპიუტერები, ორგტექნიკა და, რაც მთავარია, „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემული წიგნის „უუფლებობის ზონა“ მთელი ტირაჟი. ამ წიგნში თავმოყრილი იყო ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ დროისთვის არსებული ფაქტები და მისი გავრცელება ქართულ და ინგლისურ ენაზე სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ყელის გამოჭრა იქნებოდა. ერთადერთი, რაც „უუფლებობის ზონაში“ არ მოხვდა, ცოცხებისა და „ყველაზე ჰუმანური ნაციონალური ციხის“ ეპიზოდები იყო, რამაც, საბოლოო ჯამში, გადაიყოლა კიდეც სააკაშვილის რეჟიმი.**

ისინი კი არ ცხრებიან. „პოლიტიკურ დევნაზე“ გაჰყვირიან პოლიტიკური დევნის ოსტატები და აპოლოგეტები. „საქართველოს სახელმწიფოს მტრების“ სიებს აქვეყნებენ. ეს სია უკვე იმდენად ვრცელია, რომ მისმა შემდგენლებმა, წესით, საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ: **თუ ამდენი მტერი გყავს, შენ თვითონ რაღას წარმოადგენ?**

ისინი ხომ სახელმწიფოსთან მხოლოდ საკუთარ თავს აიგივებენ!

დათა თუთაშხია გრაფ სეგედისთან საუბრისას, როდესაც მის შემორიგებაზე მსჯელობენ, კითხვაზე, არის თუ არ იგი საშიში სახელმწიფოსთვის, ამბობს: **„დავაკვირდი ჩემს საქციელს და იმ ხალხსაც, მე რომ გამოვადექი რამეში — შველა იყო, დაცვა იყო თუ ხსნა. ზოგმა ბოროტებით გადამიხადა, სხვამ იმაზე უარესი ჩაიდინა, რასაც ავაცდინე, ვიღაც თვითონ გახდა მოძალადე და ჯალათი, ღონე რომ მოიკრიბა ჩემი წყალობით, იმის მერე. არ ღირს ლაპარაკად! შევაქციე ზურგი ყველაფერს, აღარ ჩავერიე სხვის საქმეში, ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად-მეთქი! მაშინ ყველამ დაივიწყა, რაც სიკეთე მქონდა გაკეთებული, ცუდი კაცების ჭორებს აყვა ხალხი, ზურგი შემაქცია თვითონაც. დავრჩი მარტოდმარტო და მივხვდი, არ მოვიქეცი სწორად, მაგრამ მომავალში რა მეკეთებინა და როგორ მეცხოვრა, ვერც ამის გავიგე რამე. სახელმწიფოს იმ კაცის არ უნდა ეშინოდეს, რომელიც ბოროტების დათრგუნვას და მახეში გაბმული მებრძოლი კაცების დახსნას არ შეეცდება. აღარ ვარ საშიში, ამიტომ აღარ ვარ“!**

არ იფიქროთ, თუთაშხიას ვედრებოდე, მაგრამ ეს სიტყვები ძალიან ბევრი ადამიანის მდგომარეობას ასახავდა „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას. და როცა რეჟიმს ეგონა, რომ საბოლოოდ გაივაკა და მის ძალაუფლებას ვეღარაფერი დაემუქრებოდა, სწორედ მაშინ წამოეწია საკუთარი ცოდვის გორგალი და ციხის ცოცხებით გადახვეტა ისტორიის სანაგვეზე. ახლა რამდენიც არ უნდა იგესლებოდნენ ქსელის „კოორდინატორები“, ამას აღარაფერი უშველის.

**ვარ თუ არა „საქართველოს სახელმწიფოს მტერი“? ნამდვილად ვარ! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ სახელმწიფოს, რომელსაც სააკაშვილი აშენებდა, არაფერი აქვს საერთო ჩემს სამშობლოსთან; მეორეც, იგი არ არის ქართული სახელმწიფო (აკი „საქართველოს სახელმწიფოო“, — თავად წერენ!); მესამეც, სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ხალხს და მის ისტორიას ომს უცხადებს, სახელმწიფო აღარ არის, იგი ბანდაა.**

პატრიარქთან მიღებაზე ბიძინა ივანიშვილმა სადღეგრძელოში 2013 წელი სიყვარულის წლად გამოაცხადა. მაცხოვარი გვასწავლის, გიყვარდეს მტერი შენიო! სააკაშვილთან ერთად მდგომი ივანიშვილი, ალბათ, ყბადაღებულ კოაბიტაციასთან ერთად, მის სიყვარულსაც მოახერხებს, მაგრამ სად პირადი მტერი და სად საზოგადო? მორწმუნე ვარ და საკუთარ მტრებს როგორმე შევიყვარებ, მაგრამ ჩემი სამშობლოს მტრების სიყვარულს ვერავინ დამავალებს. **ვარ თუ არა მათი „სახელმწიფოსთვის“ საშიში? ნამდვილად ვარ.** მათ ეს იციან და ამიტომაც ილანძღებიან. პასუხს არ ელიან და იმედიანად არიან.

ნუ მოდუნდებით!

შეხვედრამდე — სოციალურ ქსელებში!

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთი წლის წინ არც პოზიციას და არც ოპოზიციას, არც ამერიკას და ევროპას არ სჯეროდა, რომ ამ რეჟიმის შეცვლა შეიძლებოდა. ჩემს მოსვლამდე სიტუაცია იყო საერთოდ მკვდარი, როგორ წარმოგიდგენიათ, მე მოვედი ამ ხალხის დახმარებით და სიტუაცია დავალაგე. თუ მე ამდენი მოვახერხე და ეს ხალხი შევადუღაბე, წინააღმდეგობები დავძლიე, რაღაც მე შემძლებია და ამ ფაქტორს კარგავენ. მე არაფრის მტკიცება არ მჭირდება, მაგრამ მე არ ვარ ისეთი მარტივი, რომ ვინმემ მმართოს. თუმცა პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან სულ იყო ინტრიგები“.**

# ბიძინა ივანიშვილი: მიუხედავად აშშ-ის პოლიტიკოსების თუ ევროპელების დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, მე და ჩემს გუნდს პრინციპული პოზიცია გვეჭირა

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელს — ირმა ინაშვილს ესაუბრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი.**





**— ბატონო ბიძინა, გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მომავალთან. ნებისმიერი ჩვენი მოქალაქის აზრს გამოვხატავ, რომ მართლაც შვებით ამოვისუნთქეთ, რაც თქვენი პოლიტიკური ძალა, „ქართული ოცნება“, მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა სირთულეები წინ არის და ამ ნაწილზე გავამახვილოთ ყურადღება. საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ ახსენეთ, პარლამენტში უმრავლესობა სჭირდება. თქვენ მუშაობთ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტაციასთან, რომლის ნაწილიც მხარს გიჭერთ. ეყოლება თუ არა ბიძინა ივანიშვილს საკონსტიტუციო მუდმივი უმრავლესობა პარლამენტში?**

— საკითხები, რომლებიც ახლა განიხილება და ყველაზე აქტუალურია, საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომლებიც პრეზიდენტს დიქტატორულ უფლებებს ჩამოართმევს, მაგრამ ამავე დროს ანიჭებს განუსაზღვრელ და შეუზღუდავ უფლებებს, როცა სურვილი ექნება, დაითხოვოს მთავრობა ან პარლამენტი, თუ იგი არ მოსწონს. ასეთი მუხლი არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში არ დევს, მაგრამ **რამდენადაც სააკაშვილი ბოლო პრეზიდენტია ამ უფლებებით, უმრავლესობამ თავს უფლება მივეცით და გამონაკლისი დავუშვით. ჩვენ მზად ვართ, როცა ექნება ამის სურვილი, ეს უფლება გამოიყენოს, მაგრამ ვუხსნით დიქტატორულ უფლებებს. ეს არის პრინციპული საკითხი და საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც ვერ გაბედავენ, რომ ამის წინააღმდეგ წავიდნენ, რადგან ამ ფაქტით მომავალს გაინადგურებენ.** მათ ვაძლევთ საკონსტიტუციო განუსაზღვრელ უფლებებს, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას შეეფერება, და იმ სიმახინჯეს, რომელიც დიქტატორულ რეჟიმზეა აგებული, ვაუქმებთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არანაირი მუშაობა არ გვაქვს დაგეგმილი და არც ვაპირებთ. კარგი იქნება, თუ ამ ინიციატივას ჟურნალისტები გამოიჩენთ და გახსნილად შეეკითხებით მათ, რა არ მოსწონთ ჩვენს შეთავაზებაში. თუმცა პირველი რეაქცია არ იყო უარყოფითი, რადგან განსახილველად ამ ცვლილებას 104 დეპუტატმა მოაწერა ხელი, ჩვენ კი 100 ხმა გვჭირდება. ისეთი განცდა მაქვს, რომ ვერავინ წავა წინააღმდეგი, რადგან იგი დემოკრატიული კანონია, რომლითაც პრეზიდენტს უფლებებს ვუზრდით, მაგრამ სიმახინჯეებს ვაცლით. რაც შეეხება სხვა კონსტიტუციურ ცვლილებებს, **ძალიან ბევრი ცვლილებაა გასატარებელი: საარჩევნო კოდექსთან, შრომის კოდექსთან, სასამართლოსთან დაკავშირებით და ვიმედოვნებ, რომ არც აქ გვექნება საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების პრობლემები. ეს მთელი საზოგადოებისთვის გასაგებად იქნება წარმოდგენილი და იგი ქვეყნის მომავალსა და სტრატეგიაზე იქნება დაფუძნებული.**

**— ანუ თქვენ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებს აძლევთ თავისუფლებას, გააკეთონ არჩევანი?**

— ამ კანონცვლილებით ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებს ვათავისუფლებთ იმ დიდი გავლენისგან, რომელიც სააკაშვილს ჰქონდა ჩადებული კონსტიტუციაში; ძალიან ბევრმა თავად მიიღო ამ სისტემის აგებაში მონაწილეობა და თავად გახდა ამ სისტემის ტყვე. უმცირესობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ შვებით ამოისუნთქა ამგვარი კანონცვლილების შეტანით. თუ სააკაშვილი ამ ფაქტს გააცნობიერებს, ყველაზე დიდი შეღავათი მისთვის გაკეთდა.

**— საზოგადოებაში გაჩნდა შეხედულება, რომ თითქოს ახალი მთავრობა სრულფასოვნად ვერ ახერხებს დასავლეთის ინფორმირებას, თუ რა დანაშაულები აქვს ჩადენილი სააკაშვილის რეჟიმს. როგორ ფიქრობთ, ეს არის გამოუცდელობის ბრალი ან არასათანადოდ მუშაობენ კონკრეტული პასუხისმგებელი პირები დასავლეთთან თუ ეს კეთდება შეგნებულად, რათა თქვენ მოგეცეთ პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადების საფუძველი?**

— ჩვენი მეგობარი საზღვარგარეთის ქვეყნების ინფორმირებას რაც შეეხება, ძალიან ცოტა დროს ვხარჯავთ ამისთვის, რადგან უფრო პრინციპული სხვა თემებია ჩემთვის. მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს სისტემა. „ნაციონალური მოძრაობა“ ცხრა წლის განმავლობაში აგებდა ამ სისტემას და ამაში ხარჯავდნენ დროის უმეტეს ნაწილს. ძირითადად, ეს პიარი სიცრუეზე იყო აგებული, ამ ქმედებამ არც მათ მოუტანა სარგებელი და არც ჩვენს ქვეყანას. თვითონ კარგად აწვდიან საპირისპირო ინფორმაციას. გუშინ სამი თათბირი მქონდა ამ თემასთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრები მოვისმინე და უმცირესობაშიც აღმოვჩნდი. **ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ დამარწმუნა, რომ ჩვენ რაღაც სისტემები უნდა ავაგოთ იმისთვის, რომ უცხოეთი დავარწმუნოთ ჩვენს სიკარგეში. საელჩოებმა უნდა იმუშაონ ძირითადად და იმ მინიმუმი ინფორმაციის გაჟღერებაც მათით უნდა მოხდეს. ბევრს ჰგონია, რომ საჭიროა, მძლავრი ლობისტები ვიქირაოთ და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა მოვახსენოთ სენატორებს. დღესაც მიმაჩნია, რომ ჩვენ საკუთარი ქმედებით უნდა ვაჩვენოთ წარმატებები და არა იმ ფორმით, რომელიც აქამდე არსებობდა, როდესაც ერთს აკეთებდნენ და მეორის მტკიცებულებები გაჰქონდათ გარეთ, რითაც თითქოსდა ქვეყანას იმიჯს უქმნიდნენ. მე ამგვარი იმიჯი არ მჭირდება, თუ ჩვენ ავაშენებთ კარგ ქვეყანას, რაზეც თავად საუბრობენ, მაშინ ამ ფაქტების დანახვა არ იქნება რთული.**

**— რა კატეგორიას ეხება პოლიტიკური ამნისტირება. იქნება თუ არა შემუშავებული პრინციპები, რადგან აქაც არის გრადაცია. საზოგადოებაში არის მოთხოვნა, რომ დაისაჯონ ამ ბოროტი რეჟიმის შემქმნელები, ორგანიზატორები, კონკრეტული დანაშაულებების ჩამდენები, მაგრამ ჩვენ ვერ მოგიწოდებთ, რომ 50 ათასი ადამიანი დავაპატიმროთ. როგორ აპირებს დღევანდელი მთავრობა ამ ამნისტიის გამოცხადებას და რა კრიტერიუმები იქნება მთავარი?**

— ძალიან რთული შეკითხვაა, რადგან ეს საკითხი ბოლომდე გააზრებული არ მაქვს და არც ვცდილობ, გავიაზრო, რამდენადაც ამას სჭირდება სპეციალისტები, მათ უნდა ჩამოაყალიბონ სტრუქტურა და შემდგომ მეც მივიღებ მონაწილეობას. **დიდი ომი, რასაც ჩვენ ომს ვარქმევდით და არა ოპონირებას, ეს ეტაპი დასრულდა და ამის შემდგომ ჩვენ მორალურად ვალდებულნიც ვართ, რომ ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც მარცხი განიცადეს და პატიება შევძლოთ.** მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს აბსოლუტურად გამჭვირვალე ფორმა და იმ ამნისტიის ფორმირებაში, რომელიც განსახილველად პარლამენტს წარედგინება, საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ის პირები, ვინც მონაწილეობდნენ ამ დანაშაულებრივი სისტემის აგებაში, თავად გახდნენ მისი მსხვერპლნი.

**— დღეს არავინ არ არის დაპატიმრებული და საზოგადოებას ბუნებრივად უჩნდება კითხვა: რატომ ვერ უმტკიცებთ ამ ადამიანებს, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი?**

— რაღაც ნაწილს უკვე პასუხი მოეთხოვა, ნაწილის გამოძიება მიდის. პოლიტიკური განცხადებების შემდგომ, მე შეხვედრა მქონდა ძალოვან მინისტრებთან და ვურჩიე, რომ მოიქცნენ ისე, როგორც კანონი ავალებთ, არ იჩქარონ, მაქსიმალურად კარგად გამოიკვლიონ და პარალელურ რეჟიმში უნდა დაველოდოთ, როგორი შეიძლება იყოს ამნისტია. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ იმ ხალხის დიდი რაოდენობა, რომლებიც ამ სისტემის მსხვერპლნი არიან, გავათავისუფლოთ და ისინი სრულფასოვან მოქალაქეებად დარჩნენ ჩვენს საზოგადოებაში, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი ცხოვრების აგება და განვითარება.

თუ განცხადება შევა კომიტეტში და ვინმეზე საჩივარია, ეს საქმე ვერ გაჩერდება, მიუხედავად ამნისტიისა, მაგრამ ამნისტიამ უნდა დაასწროს და სისხლის სამართლის დევნა უნდა შეწყდეს. თუ რაიმე ფინანსური დარღვევა აქვთ, თანხა უნდა დააბრუნონ, მაგრამ არ უნდა მოხდეს მათი დასჯა. პატიების ფორმები ჩამოყალიბდება, მაგრამ მკვლელობები და მძიმე დანაშაულები ვერ დაექვემდებარება ამნისტიას, მაგრამ დანარჩენი დიდი მასა დაექვემდებარება ამ პატიებას. **ჩემი მიზანია, რომ ის ისტერია, რომელიც არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ გრძელდება საზოგადოებაში, დაბალანსდეს და უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობა. უნდა მოვახერხოთ ყველაზე დიდი პრობლემის მოგვარება, სამუშაო ადგილების შექმნა, რომ თითოეულ ოჯახს ღირსეულად ცხოვრების საშუალება შეექმნას.**

**— ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის და მოქალაქისთვის, აბსოლუტურად გასაგებია და მისაღებია თქვენი ახსნა, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში იმაზეც მსჯელობენ, რომ შეიძლება ეს იყოს შეთქმულება. თითქოს ბიძინა ივანიშვილი პატიობს „ნაციონალურ მოძრაობას“, დასავლეთის თვალში მშვიდობიანი სიტუაცია იხატება და დამნაშავეებიც არ ისჯებიან. შეეხება თუ არა პოლიტიკური ამნისტია სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს — ამ ოდიოზურ პოლიტიკურ სახეებს?**

— საზოგადოებამ არავითარ შეთქმულებაზე არ უნდა იფიქროს, მე არასდროს ვიკადრებ, რომ საზოგადოების ზურგს უკან ვინმეს რამეზე მოველაპარაკო. **მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსების თუ ევროპელების დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, თქვენ ნახეთ, რომ მე და ჩემს გუნდს პრინციპული პოზიცია გვეჭირა და ჩვენ ერთი ნაბიჯითაც არ დაგვიხევია უკან და ეს ახალი სიტყვა „კოაბიტაცია“, რა კუთხითაც მათ გააჩნდათ სურვილი, ჩვენთვის იყო მიუღებელი.**

**— მძიმე იყო ეს ზეწოლა თქვენზე?**

— საკმაოდ ბევრ დროს და ემოციებს ვხარჯავდი, მაგრამ ეს იყო აუცილებელი. ჩვენ მოვახერხეთ და არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხიეთ. ჩვენ დავიცავით სამართალი და გავაგრძელეთ ისე, როგორც შევპირდით საქართველოს მოსახლეობას. ჩემი განმარტებების შემდგომ, რომ ამ ტიპის კოაბიტაცია ჩვენ არ მოვისურვეთ, ყოფილმა ხელისუფლებამ მოახერხა თავის აგებული კავშირებით და პიარით გააკეთეს, რითაც გვემუქრებოდნენ, მაგრამ მეორე რაუნდი კიდევ დარჩათ. საგარეო პრესა და პოლიტიკოსებიც საკმაოდ დაგვიპირისპირეს, მაგრამ აბსოლუტურად გააზრებულად ვმოქმედებდით და გადავიტანეთ ეს ეტაპიც. მეორე ეტაპზე, რაც ჩადებული ჰქონდა კონსტიტუციაში, რაც არადემოკრატიულს ხდიდა ჩვენს კონსტიტუციას, რომ ერთ კაცს შეიძლება ჰქონდეს ყველაფრის უფლება და არჩევნები არაფერ შუაშია, ამ ფაქტის დევალვაციაც მოვახდინეთ. რაც შეეხება გვარებს, რაც თქვენ დაასახელეთ, შეეხება თუ არა მათ ამნისტია, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. **ჩვენი ყველა ნაბიჯი იქნება გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის გასაგები. საზოგადოებიდან მიღებული რეაქციები იქნება გადამწყვეტი. არ არსებობს, რომ მე ზურგს უკან ვინმეს რაიმეზე მოველაპარაკო. არსებობს კონსტიტუცია, პარლამენტი, პრეზიდენტი და გახსნილად, საზოგადოებასთან ერთად უნდა მოვახდინოთ ურთიერთობების დარეგულირება.**

**— პრეტენზიებია კონკრეტული თანამდებობების პირების მისამართით. სხვადასხვა თანამდებობაზე დაინიშნენ ის პიროვნებები, რომლებიც უახლოეს წარსულში აწამებდნენ, აპატიმრებდნენ, უდანაშაულო პირებს ნარკოტიკს უდებდნენ. თქვენ, პრემიერი აკონტროლებთ თუ არა ამ საკადრო პოლიტიკას?**

— ვუპასუხებ თქვენს შეკითხვას და პარალელურად ვუპასუხებ თქვენ მიერ ღიად დასმულ კითხვასაც, როდესაც ეჭვი გამოთქვით, რომ გია ხუხაშვილს გადავეცი თანამდებობა და იგი მართავს საქართველოს. მოდით, თქვენ მიერ დასმულ ძველ, მძიმე კითხვებსაც ვუპასუხოთ, რადგან კითხვები საზოგადოებისთვის უპასუხოდ დარჩა, ამიტომაც დიდი სურვილი მქონდა თქვენთან შეხვედრის. **მე თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ გარკვეულწილად თქვენ მე არ მიცნობთ. გია ხუხაშვილი და ყველა დანარჩენი გუნდის წევრი მე გავიცანი ერთი წლის წინ. პოლიტიკაში შემოსვლამდე რაღაც წარმატებები მქონდა, რომელიც შევძელი მათ გარეშე გამეკეთებინა. ძალიან ძნელია ჩემი მართვა. ჩემს მრჩევლებს აზრს ვეკითხები, მაგრამ მეც მაქვს რაღაცის საშუალება.**

სანამ მე მოვიდოდი საქართველოს პოლიტიკაში, ეს ხალხი მანამდე არსებობდა და აქტიური პოლიტიკოსები იყვნენ. **ერთი წლის წინ არც პოზიციას და არც ოპოზიციას, არც ამერიკას და ევროპას არ სჯეროდა,** ▶

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემთვის ყველა ეს პარტია ძვირფასია და არ შეიძლება, რომ მე მხოლოდ ერთ პარტიაზე გადავერთო და მივიღო კვლავ ახალი ძლიერი მონსტრი პარტია. ძირითადი იმედი, რომ ჩვენ მივიღოთ განვითარებული საზოგადოება, არის მრავალპარტიულობა. ვეცდები, დამოუკიდებელ პარტიებს გავუწიო დახმარება, რათა გაძლიერდნენ და მრავალპარტიული საზოგადოება ჩამოყალიბდეს. საზოგადოებამ უნდა ისწავლოს უარესისა და უკეთესის გარჩევა და კრიტიკა“.**

◀ **რომ ამ რეჟიმის შეცვლა შეიძლებოდა. ჩემს მოსვლამდე სიტუაცია იყო საერთოდ მკვდარი, როგორ წარმოგიდგენიათ, მე მოვედი ამ ხალხის დახმარებით და სიტუაცია დავალაგე. თუ მე ამდენი მოვახერხე და ეს ხალხი შევადუღაბე, წინააღმდეგობები დავძლიე, რაღაც მე შემძლებია და ამ ფაქტორს კარგავენ. მე არაფრის მტკიცება არ მჭირდება, მაგრამ მე არ ვარ ისეთი მარტივი, რომ ვინმემ მმართოს. თუმცა პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან სულ იყო ინტრიგები.** ჩვენი ბევრი პოლიტიკოსი დასვრილი იყო და ამ ინტრიგების გავლენის ქვეშ ექცეოდა. არ დაგიმალავთ და დღესაც არიან გუნდში ასეთი პიროვნებები, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში შეცდომაში ვერ შემიყვანეს. ჩემი გუნდის წევრებზე დიდი ინფორმაციები შემოდიოდა, ძალიან დამაჯერებელი, რომ ის იყო მოღალატე, მართავდა ჯგუფებს, ივანიშვილს, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში შეცდომაში ვერ შემიყვანეს, ყველას იქეთ ვაბალანსებდი და ვერც ერთი გუნდის წევრი ვერ დამაკარგვინეს ამ ინტრიგებით. მოდელი, თითოეულ პიროვნებაზე კარგად მაქვს ჩამოყალიბებული, ამას ძალიან კარგად ვაბალანსებდი და ეს იყო შედეგი იმის, რომ გუნდიდან არც ერთი ადამიანი არ დამიკარგავს. ყველა მათგანს შესატყვისი მიმართულებები მივეცით და საკადრო პოლიტიკაც ამით განიმარტება.

**კრიტიკა ნორმალურია და უნდა არსებობდეს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ჟურნალისტებიც ვერ ახერხებენ კონსტრუქციულ კრიტიკას. იმ რეალობიდან, რაც საქართველოში არსებობდა, ვფიქრობ, რომ რეალური გუნდი მოვიყვანეთ, კარგი საკადრო პოლიტიკა გავატარეთ, კარგი მთავრობა და კარგი პარლამენტია. ჩვენც გვაქვს პრობლემები, არ არის იდეალური მთავრობა, არ გვაქვს იდეალური პარლამენტი, არც ჟურნალისტიკაა იდეალური საქართველოში, სამოქალაქო სექტორიც სუსტია, მაგრამ არსებული რეალობიდან, მე ვთვლი, რომ ჩვენ სერიოზული შეცდომა არ დაგვიშვია.** მცირე შეცდომების გამოსწორებას ვცდილობთ და გამოვასწორეთ ბევრი, მაგრამ მთავრობის ან პარლამენტის დონეზე სერიოზული საკადრო შეცდომა არ ყოფილა. საზოგადოება ასე ვითარდება კითხვა-პასუხის რეჟიმში. ჩვენს გუნდში ყველას აქვს თავისი ფუნქცია. მე ყველა მათგანს აბსოლუტურ თავისუფლებას ვაძლევ, მინიმალურად ვერევი, თუ ვხედავ, რომ ძალიან უჭირს, ვაძლევ დროს, მაგრამ ყველამ კარგად გააცნობიერა, რომ მოთხოვნაც ვიცი.

რაც შეეხება გია ხუხაშვილს, იგი ჩვენი გუნდის წევრი იყო. არჩევნების პროცესში გვეხმარებოდა. გია „საქართველოს განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელია, რომელსაც მე დასაწყისშივე გრანტი გამოვუყავი, გარდა იმისა, რომ იგი საკმაოდ ნიჭიერია, კრეატიული პიროვნებაა და კარგი პოლიტიკური გამოცდილებაც აქვს. გიას სურვილი იყო ინსტიტუტის დირექტორობა და არ სურს იქიდან წამოსვლა. იგი ოდესღაც იყო „რკინიგზის“ დირექტორი. ძალიან წესიერი პიროვნებაა. მას აქვს კარგი გამოცდილება, როდესაც „სოკარში“ პიარკამპანიას ეწეოდა. კარგად იცის ტრანზიტების თემა და შესაბამისად, აზერბაიჯანთან, „სოკართან“ და ტრანზიტებთან დაკავშირებით კონსულტაციებს ხშირად ვღებულობ მისგან.

**საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ მოერიდონ ჩვენი მეზობელი, სტრატეგიული და მეგობარი სახელმწიფოს, აზერბაიჯანის, კრიტიკას და მისი მართვის პრინციპებს. ძალიან ეფექტურად ვითარდება ეს სახელმწიფო და ძალიან ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები აქვს მას. ხშირად პრესაში ისმის, რომ კორუფციაა იქ. ჩვენ მივხედოთ ჩვენს კორუფციას. ჩვენ არ გვაქვს ისეთი სახელმწიფო და დემოკრატია აგებული, რომ სხვა სახელმწიფოს კრიტიკას გადავყვეთ.**

ტრანზიტებს, ბიზნესსა და ბიზნესის კონტროლს რაც შეეხება, რასაც გია ხუხაშვილს მიაწერენ. არ არსებობს, რომ ჩვენ ეს ვიკადროთ და, რასაც ვებრძოდით, იგივე დავაფუძნოთ. ჩვენ არ ვეხებით თავისუფალ ბიზნესს. ტრანზიტები ქვეყნისაა, ყველას ეკუთვნის და ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მისგან შედეგი. ეს რეალურად სახელმწიფოს საკუთრებაა, ამას ვარეგულირებთ და ამ საკითხებშიც გიას ვთხოვე დახმარება. რაც ეკუთვნის სახელმწიფოს, ის არც ერთმა ბიზნესმენმა არ უნდა მიისაკუთროს. **ტრანზიტები სახელმწიფომ უნდა განკარგოს და შედეგიც ბიუჯეტში უნდა შევიდეს. თუ პირდაპირი გზით ვერ მოვახერხებთ, ირიბად მაინც მოვახმართ ან სოფლის მეურნეობას, ან სახელმწიფოს ნებისმიერ მიმართულებას. ეს არ არის ბიზნესი და რკინიგზას არავის გამოვაყენებინებთ სათავისოდ.**

გია არის ძალიან პრინციპული ადამიანი და მე მას ძალიან ვენდობი. ეს სფერო კარგად იცის გია ხუხაშვილმა და ასევე ის ინსტიტუტში აკეთებს სოციოლოგიურ კვლევებს და პიარსამსახური, რომელიც ძალიან სუსტი გვაქვს ჩვენ, იყენებს მათ მონაცემებს. მე დაახლოებით ვიცი, საიდან მოდის ეს ინტრიგა. ამ „პატარა ბავშვების“ მიერ აგებულ „სეთურის სამსახურის“ გავლენის ქვეშ კიდევ რჩებიან გარკვეული პიროვნებები, მაგრამ ისეთ სისტემას ავაგებთ, რომ სისტემა თავად გამორიცხავს ასეთ პიროვნებებს. ამგვარი ჭორებით ჩემზე გავლენას ვერ მოახდენენ.

**— ბატონო ბიძინა, როდესაც მე გასული წლის ივლისის მიწურულს ჩავწერე ინტერვიუ, თქვენ ბრძანეთ, რომ პოლიტიკური სისტემა უნდა იყოს ღია. რამდენად იქნება დაცული ადამიანი ამ სისტემის ფარგლებში? ჩვენ ვსაუბრობდით ფარულ ინტრიგებზე, შავ პიარზე. მთელი სამი თვის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯგუფმა: დავით თარხან-მოურავმა, სოსო მანჯავიძემ, გიორგი ლომიამ მოვიპოვეთ და გავავრცელეთ ეს გახმაურებული ციხის კადრები, არ შეწყვეტილა ჩვენზე იერიში. იყო ბრალდებები, რომ რუსეთის აგენტები, ვანო მერაბიშვილის აგენტები ვიყავით, ავიღეთ ორი მილიონი და ა.შ. ვიგრძენი, რომ ამ ქვეყანაში დაუცველი ვიყავი, როგორც ჟურნალისტი. არაფერი დაგვიშავებია, მხოლოდ სიკეთე გავაკეთეთ ჩვენი ქვეყნისთვის და ვართ დაუცველნი. ყველა დუმს: უფლებადამცველები ჩუმად არიან, კოლეგები თავად იღებენ ამ პროცესებში მონაწილეობას, სისტემა ვერ გვიცავს, კანონი არ არსებობს და ჩვენ ვრჩებით ამ ბრალდებების გარემოცვაში. მე შევხვდი ბატონ გიას, ვისაუბრეთ და დავრწმუნდი, რომ ჩვენ გვებრძვის ერთი და იგივე ძალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხვალ და ზეგ ვიქნებით დაცულნი...**

— რაც შეეხება თქვენს ჯგუფს და თარხან-მოურავს, მე მინდა საჯაროდ მადლობა გადაგიხადოთ. თქვენ ძალიან კარგი როლი ითამაშეთ მთელ იმ პროცესებში, რომლებიც არჩევნების დროს მიმდინარეობდა, ძალიან პრინციპული პოზიცია გეჭირათ. ჟურნალისტები ჩემზეც წერენ ბევრ ინფორმაციას და კრიტიკა კრიტიკისთვის გამოსდით. რა თქმა უნდა, ეს არ მომწონს, მაგრამ, რადგან პოლიტიკაში მოვედი, უნდა ავიტანო. პასუხი და გამოსავალი ჩემს ძირითად ოცნებაშია. **ჩვენ საზოგადოება უნდა განვავითაროთ. როდესაც შემოაგდებენ უხეშ ავანტიურას, ტყუილს, ის საზოგადოებამ უნდა გაფილტროს. ჩვენ არ გვაქვს საკუთარი ქვეყნის მართვის საუკუნოვანი გამოცდილება დემოკრატიის, თავისუფალია პრესის გამოცდილება. როდესაც საზოგადოება განვითარდება, ჟურნალისტებიც ვეღარ გაბედავენ უსაფუძვლო კრიტიკას.** ჩემზე აცხადებენ, ეს კაცი გამოდის, ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს და შემდეგ ბოდიშების მოხდას ვეღარ აუდისო. მთელი ცხოვრება თანმიმდევრულობაზე მაქვს პრეტენზია და ძალიან რთულია, რომ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებში დამიჭირონ. პროცესებს, რასაც ვაფუძნებთ, რომ პრესა იყოს დამოუკიდებელი და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტები არსებობდნენ, სჭირდება დრო, რათა საბოლოო ჯამში მივიღოთ ევროპული ტიპის საზოგადოება.

**— ჩვენ ხშირად იმაში გვადანაშაულებდნენ, რომ ამ ციხის კადრების მოპოვების და გავრცელების ორგანიზატორები თვლით, რომ არჩევნები თქვენ მოიგეთო.**

— ამ კადრებმა საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ეს იყო დიდი პროტესტის ერთ-ერთი ნიშანი. ისინი თვლიან, რომ, თუ არა ეს კადრები, „ნაციონალები“ კვლავ გაიმარჯვებდნენ.

**— ჩვენ მთელი წლის მანძილზე ვატარებდით კვლევებს და თქვენი რეიტინგი იყო 60% მუდმივად. სააკაშვილის რეიტინგი არ აღემატებოდა 14%. ამ კადრების გავრცელებით სააკაშვილმა ვეღარ გაბედა არჩევნების მასშტაბური გაყალბება. ჩვენ, უბრალოდ, დავეხმარეთ ამ პროცესებს.**

— ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ, თქვენც დიდი როლი გქონდათ და ყველას თავისი ადგილი ეკავა ამ გამარჯვებაში. საერთო ჯამში გაიმარჯვეს საქართველოს მოქალაქეებმა, ქართულმა საზოგადოებამ.

**— საჭიროა ჩვენი საზოგადოების ინფორმირება. ძალიან ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადადგა ახალმა ხელისუფლებამ, მთავრობამ, თქვენმა გუნდმა, მაგრამ საზოგადოება სათანადოდ არ იყო ინფორმირებული ამ პოზიტიური ნაბიჯების შესახებ. გაზის ტარიფებზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: რა მიღწევები გვაქვს ამ კუთხით?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ძველი ხელისუფლება კვლავ დომინანტია, მე კიდევ დროს ვერ ვხარჯავ ამაზე და ეს სისტემა ცუდად არის აგებული. ამ ორი თვის განმავლობაში იმდენი კარგი რამ გაკეთდა, რომ მე თვითონ არ ველოდი ამგვარ მიღწევებს. საოცრად კარგი ბიუჯეტი მივიღეთ და დავამტკიცეთ, **ძალიან ბევრი კარგი ცვლილება მოხდა, მაგრამ ინფორმაცია ძალიან ცუდად მიეწოდება და ძირითადად ფარავს დაჭერებისა და შევიწროების შესახებ ხმაური. ჩვენც მოვახერხებთ, რომ სისტემა უახლოეს მომავალში ავამუშაოთ. ელექტროენერგიის საკითხიც გააუბრალოეს. 25%-იანი შეღავათი არ არის ცოტა. გაზზე დღესაც ვაგრძელებთ მუშაობას. 10%-ით შემცირება მიღწეული გვაქვს, მაგრამ მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ აზერბაიჯანულ მხარესთან. გაზის ფასი არ არის ის საწყისი ფასი, რომელსაც აზერბაიჯანის სახელმწიფო გვახდევინებს და ძალიან კარგ ფასებში შევისყიდით.** დისტრიბუციაში არის ძალიან დიდი ნაწილი იმ ფასებისა, რომელსაც მომხმარებელი იხდის. აზერბაიჯანში რამდენიმე დღეში ვუშვებთ ჯგუფს, რომ როგორმე დისტრიბუციაშიც მოვახერხოთ პატარა ეკონომიის გაკეთება. ის, რომ საწყისი ფასი არის კარგი, ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოო ფასიც კარგია. ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ 15%-მდე ავიყვანოთ ეკონომია.

**— ბატონო ბიძინა, საზოგადოებაში არის მოლოდინი, რომ შეიძლება დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ის არჩევნები არ იყო თავისუფალ გარემოში ჩატარებული, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ იყო მთავარი წარმმართველი ძალა, თუმცა ქართველი ხალხის ნებამ და არჩევანმა გაიმარჯვა. მაგრამ მე თქვენ მოგეცით ხმა და არა კოალიციაში შემავალ რამდენიმე პარტიას, რომელთა იდეოლოგიას, სულისკვეთებას და მიზანს არ ვიზიარებ. ექნებათ თუ არა საშუალება სხვა პარტიებს, ახალი საპარლამენტო არჩევნების პირობებში, რომ მოხვდნენ საპარლამენტო სივრცეში, და საერთოდ, რეალურია ამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა?**

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა პრეზიდენტს შეუძლია. კონსტიტუციური ცვლილების შემდგომ, ჩვენ მას ვაძლევთ მექნიზმს და მას ნებისმიერ დროს შეეძლება პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნა, ოღონდ ძველი მთავრობა შეასრულებს ფუნქციას, რაც ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაშია. **პრეზიდენტს ვუზრდით შესაძლებლობას, რომ, როცა მოისურვებს, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი. ჩემი აზრით, იგი ასე არ მოიქცევა, რადგან შედეგად მიიღებს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკიდან წასვლას, რადგან, დიდი ალბათობაა, რომ იგი ვეღარ მოხვდება პარლამენტში.**

კოალიციაში მყოფ პარტიებს ჰქონდათ გაერთიანების მცდელობა, მაგრამ მე პრინციპული პოზიცია მიჭირავს და თავადაც კარგად გაიგეს, რომ ჩვენ არ შეიძლება ახალი უბედურება მივიღოთ. კოალიციას როგორც კი გარე ოპოზიცია არ ეყოლება, აუცილებლად მოხდება ბუნებრივი პროცესი — ყველა პარტია მოახერხებს დამოუკიდებლობას და კოალიციის შიგნით და გარეთ უფრო გააქტიურდებიან, თუ განსხვავებული აზრი აქვთ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან მქონდა შეხვედრა და ვურჩევ, იქნებ მოახერხონ, გარედან გაჩნდნენ როგორც ოპოზიციური ძალა. ძალიან კარგი იქნება, თქვენი პარტია გაძლიერდეს. გუშინ ჩემი პარტიის განვითარებასთან დაკავშირებით მქონდა შეხვედრა, რაღაც ახალი სტრუქტურების დაფუძნება ჩვენც გვინდა, ეს პარტია განვითარებული არ არის, რადგან, ძირითადად, კოალიციის განვითარებაზე ვზრუნავდი, მაგრამ ჩემი დახმარებით ახალ პარტიასაც წამოვწევთ რაღაც დონეზე. ეს არ იქნება ისე, რომ ეს ერთი პარტია გაძლიერდეს და სხვა პარტიებს აღარ მიეცეს განვითარების საშუალება. **ჩემთვის ყველა ეს პარტია ძვირფასია და არ შეიძლება, რომ მე მხოლოდ ერთ პარტიაზე გადავერთო და მივიღო კვლავ ახალი ძლიერი მონსტრი პარტია. ძირითადი იმედი, რომ ჩვენ მივიღოთ განვითარებული საზოგადოება, არის მრავალპარტიულობა. ვეცდები, დამოუკიდებელ პარტიებს გავუწიო დახმარება, რომ გაძლიერდნენ და მრავალპარტიული საზოგადოება ჩამოყალიბდეს. საზოგადოებამ უნდა ისწავლოს უარესის და უკეთესის გარჩევა და კრიტიკა.**

**— „ობიექტივის“ გადაცემებში რეკავენ და გვსაყვედურობენ, ნუ აკრიტიკებთ ბატონ ბიძინასო. ჩვენი პასუხია, რომ ბატონი ბიძინა მოწოდებულია, იყოს ჯანსაღი კრიტიკა და მწვავე შეკითხვები ღიად დაისვას მედიასივრცეში. თქვენი განწყობა დღევანდელ ინტერვიუშიც ვნახეთ, მაგრამ თქვენ, როგორც პრემიერი, როგორ უყურებთ ამ თემას?**

— **კრიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ კრიტიკა კრიტიკისთვის. ვინც კრიტიკას და ოპონენტს არ ეძებს, ის საკუთარი თავის მტერია. კონსტრუქციულ კრიტიკას გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე ქებას. როდესაც საზოგადოება იქნება მზად, ჟურნალისტებიც გაფრთხილდებიან.** ისინი ან ყვითელ პრესაში დარჩებიან, ან უკან დაუბრუნდებათ თავიანთი აგრესია. ამის ერთადერთი ფილტრია საზოგადოება. ჩემს თათბირებზე ყველას აქვს აზრის გამოხატვისა და გაკრიტიკების უფლება. ჩემი წარმატების საწინდარი იყო თათბირზე კამათი. ამისთვის ბიზნესი უფრო მანევრირებადია და ამ შემთხვევაში ამგვარი შერჩევის საშუალება არ მაქვს. როდესაც ჩვენ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით გაგვქონდა რაღაც კანონი, ერთ შემთხვევაში უმცირესობაში დავრჩი, მეორე შემთხვევაში — უმრავლესობაში და ეს ძალიან ნორმალური და ჯანსაღი პროცესია.

**— ბატონო ბიძინა, საპრეზიდენტო კანდიდატურებზეც გავამახვილოთ ყურადღება. თქვენ რამდენიმე ადამიანი დაასახელეთ. მახსოვს, როდესაც შევარდნაძე ასახელებდა პრეზიდენტობის კანდიდატებს, ეს იყო შემდგომ მათთვის ცუდი, რადგან მათ თავს ესხმოდნენ. როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელების პროცესში საზოგადოება უნდა იყოს თუ არა ჩართული, უნდა ჩატარდეს თუ არა პრაიმერი ამ კანდიდატურებზე, რომ ხალხმა დააფიქსიროს საკუთარი სურვილი?**

— თუ საზოგადოების აზრს არ იზიარებ, იმ კანდიდატს ვერ გაიყვან და იგი ვერ გაიმარჯვებს. საზოგადოებაზე მორგებული და მისთვის მისაღები უნდა იყოს ეს კანდიდატი. გარწმუნებთ, ასეთი არჩევნები ჩვენს ქვეყანაში დადგება და უახლოესი არჩევნები ასეთი იქნება. **საპრეზიდენტო კანდიდატებზე ცოტა ადრეა მსჯელობა. როდესაც მე გუნდი დავასახელე, გულწრფელად გამოვყავი ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურა, მაგრამ ეს არ მქონდა გარკვეული კოალიციასთან. თანაც დიდი დროა არჩევნებამდე. ის მოსაზრება დავაფიქსირე იმ წუთში, იმ დროს. ჯერ ადრეა საპრეზიდენტო თემის წამოწევა. როდესაც დრო მოვა, ვიმსჯელებთ შიგნით, კოალიციაში და ღირსეულ კანდიდატს დავასახელებთ.**

**— ბატონო ბიძინა, კიდევ ერთხელ მინდა გისურვოთ წარმატებები. დიდი მადლობა გადაგიხადოთ ამ ინტერვიუსთვის, იმისთვის, რომ დრო დამითმეთ და ჩემს წერილში დაყენებულ პრობლემებზეც ღიად და საჯაროდ ვისაუბრეთ. ეს ძალიან კარგი პრეცედენტია ჩვენი საზოგადოებისთვის და ჟურნალისტური წრეებისთვისაც კარგი მაგალითია.**

— დიდი მადლობა. მე ვალდებული ვიყავი, მკვეთრი განცხადებების შემდგომ შეგხვედროდით, ამის გარეშეც შეიძლებოდა ჩვენი შეხვედრა და ამგვარი შეხვედრები გვექნება მომავალშიც.

**«ჩემი მიზანია, რომ ის ისტერია, რომელიც არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ გრძელდება საზოგადოებაში, დაბალანსდეს და უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობა. უნდა მოვახერხოთ ყველაზე დიდი პრობლემის მოგვარება, სამუშაო ადგილების შექმნა, რომ თითოეულ ოჯახს ღირსეულად ცხოვრების საშუალება შეექმნას»**

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემი გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სამარცხვინო ფურცლად დარჩება საქართველოსა და ამერიკის დიპლომატიაში, რადგან იგი არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა სტანდარტს. უკანონოა, განახორციელო ადამიანის ექსტრადიცია მესამე ქვეყანაში მაშინ, როცა არ არსებობს ექსტრადიციის შესახებ შეთანხმება, ან იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს უამრავი საფრთხე ემუქრება და სადაც წამება მიღებული პრაქტიკაა“.**

# თბილისში ჩამოტყუებული და ამერიკაში გატაცებული ირანელი ბიზნესმენის ისტორია



**ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმ ამერიკის შეერთებული შტატები 4 ირანელის გატაცებისთვის დაადანაშაულა. იგი გაეროს გენერალურ მდივანს შეხვდა და ოთხივე პირის საქმის გამოძიება სთხოვა.**

**გატაცებულთაგან ერთ-ერთი, ამირ ჰოსეინ არდებილი, დაიბადა 1974 წლის 3 ივლისს ქალაქ შირაზში.**

**2007 წლის 2 ოქტომბერს იგი თბილისში, სასტუმრო „მერიოტში“ დააკავეს. 2008 წლის 26 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადირება სპეციალური ავიარეისით გაუკეთეს.**

**თეირანის განცხადებით, ოთხივე პიროვნება ამერიკის სპეცსამსახურის უშუალო ჩარევით გაუჩინარდა. შაჰრამ ამირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს.**

**ირანული მხარე ამერიკასთან ერთად პასუხისმგებლობას იმ სახელმწიფოებსაც აკისრებს, საიდანაც მათი მოქალაქეები გაიტაცეს, ან დაკავების შემდეგ ამერიკას გადასცეს.**

**ამირ ჰოსეინ არდებილის საქართველოდან ამერიკაში ექსტრადირების თაობაზე სასამართლო პროცესი 4 თვეში დასრულდა. 2008 წლის 26 იანვარს ირანის მოქალაქე ამერიკას გადასცეს.**



**ამირ ჰოსეინ არდებილი:**

**ჩემი გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სამარცხვინო ფურცლად დარჩება საქართველოსა და ამერიკის დიპლომატიაში, რადგან იგი არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა სტანდარტს. უკანონოა, განახორციელო ადამიანის ექსტრადიცია მესამე ქვეყანაში მაშინ, როცა არ არსებობს ექსტრადიციის შესახებ შეთანხმება, ან იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს უამრავი საფრთხე ემუქრება (ეს კი ასე იყო, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის იმ დროს არსებულ დაძაბულ არეულობას) და სადაც წამება მიღებული პრაქტიკაა.**

ამირ ჰოსეინ არდებილი თბილისში 2007 წლის 1 ოქტომბერს ჩამოფრინდა. იმავე დღეს საქართველოს პროკურატურასა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტებს შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ სპეციალური ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, ამერიკელმა კოლეგებმა ქართველებს არდებილის დაკავება და მისი ამერიკაში ექსტრადირება მოსთხოვეს. ამირ ჰოსეინი მეორე დღეს სასტუმრო „მერიოტში“ ქართველმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

ამირ არდებილის შესახებ სამიოდე თვის წინ ჩემმა მეგობარმა მიამბო. მითხრა, რომ არდებილს აინტერესებდა, შემეძლო თუ არა მისთვის დახმარება გამეწია ადამიანის უფლებათა საკითხებში. მან საქართველოში დაპატიმრების შემდეგ ხუთი წელი გაატარა ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ ციხეში. იგი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში აშშ-ის სპეციალურ აგენტთან შეხვედრის შემდეგ დააპატიმრეს. აგენტს დაგეგმილი ჰქონდა დამნაშავე კრიმინალების დაკავების ოპერაცია. ეს ამბავი კარგად არის ცნობილი საერთაშორისო დონეზე და ინტერნეტითაც უამრავი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი: როგორც ჩანს, ოპერაცია ამერიკის მთავრობის მიერ იყო ორგანიზებული, რაც მის რეალურ მოტივს ეჭვქვეშ აყენებს. სიმართლე, შესაძლოა, არდებილის ვერსიასთან საკმაოდ ახლოს იყოს. ირანელი განტევების ვაცის როლში აღმოჩნდა.

**ამირ ჰოსეინ არდებილი აწამეს, მას სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუ დანაშაულს არ აღიარებდა. აღიარება კი მას ცოტაოდენ იმედს უტოვებდა, რომ ამერიკის ფედერალური ციხიდან ცოცხალი გააღწევდა. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ადვოკატებთან ელექტრონული ფოსტით განხორციელებული საუბრების თანახმად, სასამართლო პროცესი, რომელიც ირანელმა საქართველოსა და ამერიკაში გაიარა, უბრალოდ, ფარსი იყო, მთლიანად გაყალბებული და ჩატარდა ამერიკის, საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით. ადამიანი მოიტაცეს, ციხეში ჩასვეს, შეურაცხყვეს და ამერიკის კანონმდებლობის შესაბამისად დასაჯეს, როცა მას მანამდე ფეხიც კი არ ჰქონია დადგმული ამერიკის ტერიტორიაზე.**

ჯეფრი სილვერმანი, ადგილობრივი ჟურნალისტი და „საქართველო და მსოფლიო“ პირველად დაუკავშირდნენ არდებილს ენდრიუ ფეინშტეინის საშუალებით, რომელიც წარმოშობით სამხრეთ ამერიკელია და პარლამენტის აფრიკული ნაციონალური კონგრესის წევრი. იგი ამჟამად იკვლევს იარაღით ვაჭრობის საკითხებს. მან გამოსცა წიგნი და სტატიები ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოქვეყნებულია ამ საკითხზე მისი ინტერვიუებიც.

## მოკლე წინაისტორია:

ჯონ შიფმანი, რომელიც მუშაობს „ფილადელფია ინქუაიარერში“, დაწვრილებით აღწერს კრიმინალების დაკავების ოპერაციას, რომლის შედეგიც იყო ამირ ჰოსეინ არდებილის დაკავება, დაპატიმრება და გასამართლება. **ამერიკის მთავრობა ამტკიცებს, რომ არდებილი იყო სამხედრო შეიარაღების ნაწილების „წარმატებული“ კონტრაბანდისტი და რომ იგი მუშაობდა ირანში, რათა ირანელი სამხედროებისთვის მიეწოდებინა მათთვის საჭირო ორმაგი გამოყენების საქონელი.** იგი ამერიკის ემიგრაციისა და საბაჟო სამსახურის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს, რომელშიც ამ სამსახურის აგენტები იარაღის გადამყიდველების როლს ასრულებდნენ. მათ ჩაიტყუეს არდებილი თბილისში, შემდეგ ჩამოიყვანეს ამერიკაში, რათა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე პასპორტის კონტროლის, კონსპირაციისა და ფულის გათეთრების შესახებ თოთხმეტი პუნქტის დარღვევისთვის. **არდებილს ყოველწლიურად ერთი მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების საქონლის ირანში კონტრაბანდული გზით გადატანისთვის ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.** ეს ის ამერიკული საქონელი იყო, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავებსა და რაკეტებზე შეტევისთვის, რაკეტის მართვისა და მისი ხელში ჩაგდების სისტემებისთვის.

თავად არდებილმა ეს ფაქტები ელექტრონული ფოსტით შემდეგნაირად ახსნა:

„2005 წლიდან ამაზე ამერიკის შვიდი სხვადასხვა საიდუმლო სააგენტო მუშაობდა. ისინი მეკონტაქტებოდნენ ელექტრონული ფოსტით და მაგულიანებდნენ, რომ რაიმე ბიზნესი გამეკეთებინა მათთან ერთად; ისინი მახეს მიგებდნენ; ყველანი ერთად მუშაობდნენ, რომ ცოცხალი ირანელი დაეჭირათ. მათთვის უმნიშვნელო იყო, ეს ირანელი ნამდვილად იარაღით მოვაჭრე იქნებოდა თუ არა; მთავარი იყო ვინმეს დაჭერა, რომ გარკვეული ბერკეტები ჰქონოდათ ირანის მთავრობასთან, რათა ბოლო მოღებოდა ირანის ატომური ენერგიის ამბიციებს ან მომხდარიყო ირანის მთავრობის დისკრედიტაცია...

მათ მართლა ეგონათ და იმედი ჰქონდათ, რომ მე ვიღაც „დიდი ღლავი“ ვიყავი. თუმცა ჩემს დაჭერამდე თბილისში ისინი მიხვდნენ, რომ ეს ასე არ იყო. **მე მათ რამდენიმეჯერ ვუთხარი, რომ არ მივიღებდი მონაწილეობას არანაირ ბიზნესში, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა იარაღთან. მათ ეს ჩანაწერები გაანადგურეს და შეინახეს მხოლოდ ის ნაწილები, სადაც მე ვპასუხობდი აგენტების შეკითხვებს აშშ-სა და ირანს შორის შესაძლო ომის შესახებ.** მთლიანობაში, ეს საკმაოდ რთული სიტუაცია იყო ჩემთვის: ის ჟურნალისტიც კი, რომელმაც ჩემგან ინტერვიუ აიღო სომხეთში, ჯონ შიფმანი „ფილადელფია ინქუაიარერიდან“, პოლიციასთან მუშაობდა და ჩემს მოტყუებას ცდილობდა. ჩემი საქმის შესახებ მან ბევრი ტყუილი და არასწორი ინტერპრეტაცია გამოაქვეყნა. იგი თბილისშიც კი წავიდა და სხვებთან ერთად ჩემი ყოფილი ადვოკატებისგან ინტერვიუ აიღო. მოკლედ რომ ვთქვა, მან ყველა ფაქტი არ გამოაქვეყნა. რას იზამ, იგი ხომ ამერიკელია და, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო“, – განაცხადა ამირმა.

**ამირ ჰოსეინ არდებილი გამოიყენეს, როგორც საიდუმლო ოპერაციის ნაწილი, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა, – წერს დასავლური მედია. როგორც ამირი ამბობს, „ამერიკის მთავრობამ შეიმუშავა მახეში გაბმის სამარცხვინო სქემა; მათ უნდა მოეტაცებინათ ირანელი მოქალაქე (ვინც გინდა ყოფილიყო იგი); ის, რაც ტექნიკურად სრულიად ლეგალური ბიზნესი იყო, უნდა წარმოეჩინათ არალეგალურად და გამოეყენებინათ ამერიკის კანონები უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რომელიც საკუთარი სამშობლოდან შორს იმყოფებოდა“.**

ამის შემდეგ დოკუმენტში, რომელიც ამირმა გადაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იგი წერს: „ეს ყველაფერი განახორციელეს მაღალ დონეზე მომზადებულმა უშიშროების სამსახურის აგენტებმა“. იგი ამბობს, რომ განტევების ვაცი აღმოჩნდა და რომ ოპერაცია იყო პოლიტიკურად მოტივირებული, რადგან მედიაში არსებობს საკმაოდ აშკარა მტკიცებულება იმისა, თუ როგორ ცდილობს ამერიკა, აიძულოს ირანი, შეაჩეროს ბირთვული პროგრამა. განსაკუთრებით ეს ეხება სენსაციურ სათაურებს, რომლებიც მას შემდეგ გაჩნდა, რაც ირანმა მშვიდობიანი ბირთვული პროგრამა დაიწყო.

ამირის დაკავება დაემთხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევას, დაეწესებინა სანქციები ირანისთვის ე. წ. შეიარაღების პროგრამის გამო. ასეთ ინიციატივებში შედიოდა ირანელი მეცნიერების მკვლელობები, რომლებიც, ძალზე სავარაუდოა, ისრაელის დაზვერვის სამსახურთან (მოსადი) ახლო თანამშრომლობით განხორციელდა.

ეს საქმე სამართალთან დაკავშირებულ ბევრ კითხვას წარმოშობს როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში. იგი წარმოადგენს იმ საშიშ პრეცედენტს, როცა საზღვრებსა და კანონებს პატივს არ სცემენ და როცა სამართლებრივი პროცესი ირღვევა ბევრ დონეზე. **ამერიკელი აგენტები იყოლიებდნენ ამ ირანელ ბიზნესმენს სხვადასხვა კომერციული წინადადებებით. ეს ისეთი წინადადებები იყო, რომლებზეც დამწყები ბიზნესმენისთვის რთულია უარის თქმა, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. მათი გეგმის ნაწილი იყო ირანელის ქვეყნიდან გაყვანა ბიზნესშეხვედრის საბაბით მესამე, მეგობრულ ქვეყანაში. საქართველო წარმოადგენდა იდეალურ ადგილს მათი მიზნებისთვის, რადგან სააკაშვილის მთავრობა ბედნიერი იქნებოდა, დაეპატიმრებინა ამირი და მოეხდინა მისი ექსტრადირება. ის ფაქტი, რომ საქართველოს ამერიკასთან არ გააჩნდა ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკურ დეტალს წარმოადგენდა.**

როგორც ამირი აღწერს, **„ამერიკელები დაჟინებით ითხოვდნენ პირისპირ შეხვედრას, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მე ნამდვილად საქმის გამკეთებელი ვიყავი და არა გადამგდები. სწორედ ასე მიაღწიეს იმას, რომ დავიწყე ინფორმაციის მოძიება მათი წინადადებების შესახებ. საინტერესოა ისიც, რომ მათ არასოდეს მოუთხოვიათ წინასწარ თანხის გადახდა და ცდილობდნენ, ძალზე ხელსაყრელი პირობები შემოეთავაზებინათ ჩემთვის“**. „იარაღის ვაჭრობაში ბრალდებულმა“ დაასრულა იმით, რომ გაება ისეთი შეთავაზებისთვის, როგორიცაა ელექტრო ნაწილებისა და ფაზების მარეგულირებელი მოწყობილობების შესყიდვა, რისი გაკეთებაც კატალოგიდან გამოწერითაც შეეძლო.

2007 წელს დათქმული იყო შეხვედრა თბილისში. ნაციონალური უსაფრთხოების სპეციალურმა აგენტებმა ფარული კამერა დაამონტაჟეს. **რვა საათის განმავლობაში ისინი ფრთხილად აბამდნენ მახეში არდებილს, განუწყვეტლივ უსვამდნენ კითხვებს, რათა ისეთი პასუხები გამოეტყუებინათ მისგან, როგორიც სურდათ. როგორც ახლა ირკვევა, ამერიკელებმა რედაქტირება გაუკეთეს ჩანაწერებს იმგვარად, რომ ამირის პასუხები მათ მიზანს მორგებოდა.** ▶

**„ჩემი დაპატიმრება ემსახურებოდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ხელმეორედ არჩევას პრეზიდენტის პოსტზე. ის და მისი მთავრობა ცდილობდნენ, დაემსახურებინათ დასავლეთის კეთილგანწყობა იმ იმედით, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა. რაც ყველაზე ცუდია, იყო საიდუმლო გარიგება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, იმედი მაქვს, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გახდება. მე ერთი ადამიანი ვარ, რომლის გაწირვაც მოახერხეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელმა მთავრობებმა“.**

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამჟამად, ხუთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ამირი წერს: „უნდა ვაღიარო, რომ ახალგაზრდა და ძალიან მიამიტი ბიზნესმენი ვიყავი და ვმოგზაურობდი სამოცდათხუთმეტი წლის მამასთან ერთად. ეს იყო ბიზნესთან დაკავშირებული ჩემი პირველი და უკანასკნელი მოგზაურობა ირანის გარეთ. **მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ წავსულიყავი თბილისში მათი საწყობის სანახავად, რომელიც, როგორც თავად ამბობდნენ, სავსე იყო ამუნიციით და სამხედრო აღჭურვილობით, რაც ჩემს ქვეყანას შეეძლო გამოეყენებინა. სპეციალური აგენტები მუდმივად იმეორებდნენ, რომ ისინი მზად იყვნენ, გადაეზიდათ ირანში ყველაფერი, რაც ჩემს ქვეყანას სჭირდებოდა და თანაც ყოველგვარი წინასწარი გადახდის გარეშე. ისინი მეუბნებოდნენ, რომ მე თანხის გადახდა შემეძლო იარაღის გადაყიდვის შემდეგ. ახლა, როცა წარსულზე ვფიქრობ, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჩვენი საუბრების ჩანაწერების ყველა ის ნაწილი, რომლებშიც მე გამუდმებით ვიმეორებდი, რომ არ მივიღებდი მონაწილეობას იმ ბიზნესში, რომელიც ადამიანების სიკვდილის მიზეზი იქნებოდა, გაუჩინარდა...**

როცა ამერიკაში ვიყავი დაპატიმრებული, ბევრჯერ ვცადე იმის მტკიცებულების მოპოვება, თუ როგორ მომატყუეს. მე სისტემაში გავუჩინარდი. **მათ მომცეს გამოგონილი სახელი და გვარი და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომ მიჭირს ასე, მოვიპოვო ის ჩანაწერები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაამტკიცებდა ჩემს უდანაშაულობას და ჩირქს მოწმენდა ჩემს სახელს.** საინტერესოა, რომ ამერიკა ამტკიცებს, თითქოს სხვა სახელი და გვარი ჩემსავე დასაცავად მომცეს. სინამდვილეში ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და მთავრობას ვერ გაეგო ჩემი ადგილსამყოფელი, როცა დახმარება ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ჩემმა ოჯახმაც კი არ იცოდა, სად ვიყავი და არც მე მქონდა კავშირი საკონსულოსთან, რადგან ჩემს ქვეყანას არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკასთან. არავის შეეძლო ჩემი პოვნა. მუდმივი ზეწოლის ქვეშ ვიყავი, რადგან სულ მემუქრებოდნენ. მხოლოდ ერთი გზა მრჩებოდა: უნდა დავთანხმებოდი საპროცესო გარიგებაზე, თუ მინდოდა დამერეკა ჩემი ოჯახისთვის და გამეგებინებინა, რომ ცოცხალი ვიყავი. ნაციონალური უსაფრთხოების საიდუმლო აგენტმა გამაფრთხილა, მეთქვა ჩემი ოჯახისთვის, რომ თარჯიმანი უსმენდა ჩვენს საუბარს და რომ საუბარს გაწყვეტდნენ, თუ ვიტყოდი ისეთ რამეს, რაც მათ არ მოეწონებოდათ. სხვა გზა არ მქონდა, გარდა იმისა, რომ მეღიარებინა თავი დამნაშავედ ყველა პუნქტში. ამერიკელები ისე იქცეოდნენ, თითქოს ისინი კანონზე მაღლა იდგნენ და მათ არც ქართველები ჩამორჩებოდნენ. მაწამებდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, არ მაძლევდნენ ძილის საშუალებას, მატყუებდნენ და იყენებდნენ სხვა ხერხებს, რომ ფსიქოლოგიურად გავმტყდარიყავი და მისულიყავი გაუსაძლის მდგომარეობამდე, როცა მეტის ატანას ველარ შევძლებდი. მე ყველაფერს ვაღიარებდი, რომ დამეტოვებინა ამერიკა და დავბრუნებულიყავი ჩემს საყვარელ მეუღლესთან, ოჯახთან და სამშობლოში. ახლაც კი, საბოლოო გათავისუფლებიდან ოთხი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ მესიზმრება კოშმარები იმაზე, რაც საქართველოსა და ამერიკაში გამიკეთეს და რაც ირიბად ჩემს ოჯახს გაუკეთეს.

**მე პაიკი ვიყავი დიდ თამაშში; ჩვენს ქვეყნებს შორის არის აშკარა და გამოუცხადებელი ომი. არსებობს უამრავი დაგეგმილი პროვოკაცია. ჩემი ადვოკატი, ბატონი ლაიონსიც კი რეალურად არ მოქმედებდა ჩემს დასაცავად. ის იქ იმყოფებოდა, რათა დაეცვა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები და შეექმნა შთაბეჭდილება, რომ გარკვეულად სამართლიანობა დაცული იყო და რომ სასამართლო პროცესი იყო კანონიერი და სამართლიანი.**

მე ვიმყოფებოდი ფილადელფიის ფედერალური დაკავების ცენტრში, რომელსაც სპეციალური საცხოვრებელი სახლი ეწოდება. საათობით მიმდინარეობდა ჩემი მხეცური, აუტანელი დაკითხვები, რომლებსაც ჩემი ადვოკატი არ ესწრებოდა, თუმცა ეს არც არაფერს შეცვლიდა. ჩემთვის სრულიად ცხადი იყო, რომ ის მათ მხარეს იყო და ისეთივე დამნაშავე იყო, როგორც ჩემი ბოროტი და ანტაგონისტურად განწყობილი გამომძიებლები. ერთადერთი არჩევანი იყო, მეღიარებინა დანაშაული ყველა პუნქტში; ისეთიც კი, რომლებზეც არანაირი სამხილი არ არსებობდა. ასეთი შეთანხმება მოხდა ჩემს ეგრეთ წოდებულ ადვოკატთან, რომელმაც, როგორც „ფილადელფია ტრიბუნმა“ აღნიშნა იმ დროს, აღიარა, რომ არ იცოდა არც ერთი მტკიცებულების შესახებ ჩემ წინააღმდეგ. „ეს ერთ-ერთი იმ საქმეთაგანია, რომელთა შესახებ სამართლის ფაკულტეტებზე არაფერს ყვებიან“, — ასეთი იყო მისი ციტატა. **სასამართლოს მიერ დანიშნული ჩემი ადვოკატიც კი ის საშუალება იყო, რომელიც ამერიკის მთავრობამ ჩემ წინააღმდეგ და მახეში გასაბმელად გამოიყენა. ეს სრულიად ცხადი იყო მოსამართლისთვისაც: როცა მან მკითხა იმ პირობების შესახებ, რომელთა ქვეშ მე ვაღიარებდი დანაშაულს, ისიც მითხრა, რომ ჩემთვის არ იქნებოდა კარგი, თუ ვისაუბრებდი იმ ინსტრუქტაჟის მიხედვით, რომელიც ჩემმა ადვოკატმა გამიწია.**

მაგრამ მქონდა კი სხვა არჩევანი? ნებისმიერი რამ შესაძლოა შემმთხვეოდა ამერიკის შეერთებული შტატების ციხეში. ორივე ჩემმა ადვოკატმა და გამომძიებლებმა მირჩიეს, დავთანხმებოდი იმაზე, რასაც მთავაზობდნენ და არ გამომეთქვა პროტესტი... მე ცხადად მახსოვს, როგორ ამიყვანეს თვითმფრინავში თბილისში და მესმოდა ქართველი ოფიციალური პირების საუბრები ამერიკელ აგენტებთან და პროკურორთან, რომლებიც ჩამოვიდნენ, რომ წავეყვანე ამერიკაში და დაეგვირგვინებინათ საკუთარი გამარჯვება. როცა თვითმფრინავში ჩამსვეს, ნაციონალური უსაფრთხოების უფროსმა თქვა: „შენ ვერასოდეს დაბრუნდები სახლში. ჩვენ შეგვიძლია დაგტოვოთ ამერიკაში და შენი მეუღლეც იქ ჩამოვიყვანოთ. სამაგიეროდ, შენ უნდა გააკეთო ყველაფერი, რაც ჩვენ გვინდა, რადგან არავინ იცის, სად იმყოფები და ვერავინ შეძლებს შენს პოვნას, რამე რომ შეგემთხვას“.



**«ამერიკელები ისე იქცეოდნენ, თითქოს ისინი კანონზე მაღლა იდგნენ და მათ არც ქართველები ჩამორჩებოდნენ. მაწამებდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, რომ ფსიქოლოგიურად გავმტყდარიყავი»**

შემდეგ იყო რვასაათიანი ფრენა ამერიკის შეერთებული შტატებისკენ. თვითმფრინავის დაშვებისთანავე, მე სასამართლოში წამიყვანეს. ღამის სამი საათი იყო და მოსამართლე უკვე გველოდა. მოვისმინე პროკურორის მიერ ცხრა პუნქტით წაყენებული ბრალდება. არც კი მესმოდა, რას ნიშნავდა ეს. თარჯიმანი არ იმყოფებოდა სასამართლოში, ხოლო მე უკვე შოკის მდგომარეობაში ვიყავი, სიკვდილამდე შეშინებული. სასოწარკვეთილი ვცდილობდი, გამეგო, რა ხდებოდა ჩემ თავს. **მე ვიყავი, და დღესაც ასე ვფიქრობ, პოლიტიკური პატიმარი. მე არ მქონდა უფლება, კონტაქტი დამემყარებინა გარე სამყაროსთან. გუანტანამო ბეიში გამოკეტილ ტერორისტებსაც კი მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე მე.** მათ, სულ მცირე, ადამიანებთან კონტაქტის საშუალება მაინც აქვთ. ეს იყო ამერიკული ექსპერიმენტი, ენახათ ირანისა და მსოფლიოს რეაქცია ფიზიკური პირის მიერ ჩადენილ ასეთ დანაშაულებებზე მისი ქვეყნის წინააღმდეგ.

„ბიზნესი, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ში ან სხვა ქვეყნებში წარმოებული საქონლის შეძენასთან და რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდეს ორმაგი, სამოქალაქო ან სამხედრო, გამოყენება, თავისთავად არ წარმოადგენს რომელიმე იმ კანონის დარღვევას, რომელთა დაცვაც მე მომეთხოვება. მე არა ვარ ამერიკის მოქალაქე. არასოდეს მქონია ბიზნესი ამერიკაში, ფიზიკურად ან წარმომადგენლების მეშვეობით. ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით თხოვნის გაგზავნა მწარმოებლებთან, რომლებიც თურმე ამერიკაში არიან, და მათ მიერ ჩემი კლიენტებისათვის საქონლის შეთავაზება, არ გვაყენებს მე ან ჩემს კომპანიას ამერიკაში ფიზიკურად ყოფნის აუცილებლობის წინაშე. ჩემი ქმედება, ჩემი ქვეყნის სახელით, არ განისჯება ამერიკის შეერთებული შტატების კანონებით.

ამერიკა ჯერ არ მართავს მთელ მსოფლიოს, თუმცა, როგორც ამ ქვეყნის მიერ განხორციელებული სამარცხვინო ქმედებებიდან ჩანს, მას სჯერა, რომ სწორედ ის განაგებს სამყაროს. მე მივმართავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და საერთაშორისო სასამართლოს, დამეხმარონ, მივიღო კომპენსაცია და მივმართო ასეთი არაჰუმანური ქმედების განმხილველ კომისიას. ასეთი ქმედებები ხდება და თანაც ცდილობენ მათ გამართლებას ამერიკელების შეგნებაში 9/11-ის შემდგომი პერიოდიდან. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მუდმივად აყოვნებს, მიმართოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე, განსაკუთრებით — როცა საქმე ეხება ე. წ. ტერორისტებს.

**პატიმრობის პერიოდში მე არ მქონდა საშუალება, მიმემართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან ნებისმიერი სახელისუფლო შტოსთვის სამართლებრივი მხარდაჭერისთვის. როგორც მუსლიმანს, მაქვს განცდა, რომ ჩვენი თხოვნა და მიმართვა დახმარებისათვის ამაოა. მე მესმოდა ჩემი თანამემამულეების ყვირილი, რომელთა ცხოვრებაც ამერიკის სპეციალურმა აგენტებმა დაანგრიეს. მე მივმართავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ბოლო მოუღოს პროვოკაციულ ქმედებებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებს წლების განმავლობაში და, რომლებიც, როგორც მეჩვენება, არასოდეს დასრულდება.**

ამერიკის სპეციალური აგენტები მეთოდურად და გათვლით მოქმედებენ ანტიტერორისტული მექანიზმების გამოყენების დროს; ისინი ხშირად უგულებელყოფენ პატიმრების უფლებებს და ბოროტად იყენებენ საიდუმლოების დაცვის შესახებ კანონებს — საბრალდებო დოკუმენტებს საიდუმლო გრიფს ადებენ, რაც გამორიცხავს მათ გასაჯაროებას.

ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპარში „იმპერატორის ახალი სამოსი“ ქაოსი, უსარგებლო ომი და სისხლისღვრა სწორედ მაშინ იწყება, როცა ბავშვი წამოიყვირებს, რომ იმპერატორი შიშველია. მე ვისურვებდი, იმ ბავშვივით ვუთხრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და საერთაშორისო სასამართლოს, რომ ეს ეგრეთ წოდებული სამოსი სხვა არაფერია, თუ არა ყურადღების გადატანა და მოვუწოდო მათ მოქმედებისკენ, რადგან ასეთი ფარული ოპერაციები, ძირითადად, მიმართულია უდანაშაულო ადამიანების და არა ნამდვილი ტერორისტების წინააღმდეგ.

მე ვითხოვ კომპენსაციას ყველა იმ ზიანის, ტკივილის, შეურაცხყოფის, დამცირებისა და შეთითხნილი ტყუილების გამო, რაც ამერიკის ხელისუფლებამ გამოიყენა ჩემი და ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ. მე მოვითხოვ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და გადაიხედოს ჩემი და სხვა მსგავსი საქმეები.

ჩემი გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სამარცხვინო ფურცლად დარჩება საქართველოსა და ამერიკის დიპლომატიაში, რადგან იგი არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა სტანდარტს. **უკანონოა, განახორციელო ადამიანის ექსტრადიცია მესამე ქვეყანაში მაშინ, როცა არ არსებობს ექსტრადიციის შესახებ შეთანხმება, ან იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს უამრავი საფრთხე ემუქრება** (ეს კი ასე იყო, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის იმ დროს არსებულ დაძაბულ არეულობას) **და სადაც წამება მიღებული პრაქტიკაა.**

ჩემი დაპატიმრება ემსახურებოდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ხელმეორედ არჩევას პრეზიდენტის პოსტზე. ის და მისი მთავრობა ცდილობდნენ ასეთი ქმედებებით დაემსახურებინათ დასავლეთის კეთილგანწყობა იმ იმედით, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა. **ორივე მხარემ თავის საქმეში გამომიყენა, როგორც ჯიბეში კარგად შენახული კოზირი.**

ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოს მოსახლეობა საპროტესტო მიტინგებს მართავდა და ცვლილებებს ითხოვდა; ეს პროტესტები სისხლისღვრით დამთავრდა საქართველოს მოსახლეობისთვის და ისინი თბილისის ქუჩებში ცემეს. ჩვეულებრივი ქართველების უფლებებიც ისევე დაირღვა, როგორც ჩემი.

**რაც ყველაზე ცუდია, იყო საიდუმლო გარიგება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ორივეს ინტერესში შედიოდა ჩემი დაკავება და ექსტრადიცია. ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, იმედი მაქვს, ეს ინფორმაცია საჯარო გახდება. მე ერთი ადამიანი ვარ, რომლის გაწირვაც მოახერხეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელმა მთავრობებმა. მე გამომიყენეს, როგორც პოლიტიკური ბერკეტი და ამ საქმიდან საქართველომ მიიღო ფული, საქონელი და პოლიტიკური დივიდენდები. ჩემი დაპატიმრებისა და გამოძიების პოლიტიკური ბუნების დამატებით მტკიცებულებად მომყავს 2010 წელს საჯაროდ გაცხადებული ამბავი, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ, ბოდიში მოუხადა ირანს და თქვა, რომ ჩემი დაპატიმრება მოხდა მაშინ, როცა საქართველო იმყოფებოდა რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, ანზორ მაისურაძემ, ასევე მკაცრად გააკრიტიკა მთავრობა ჩემი დაპატიმრების გამო: „მიუხედავად იმისა, რომ არდებილი ბრალდებული იყო ტერორიზმში, მისი ექსტრადიცია არ იყო კარგი იდეა. მისი გასამართლება უნდა მომხდარიყო საქართველოში, ქართული სასამართლოს მიერ, ან უნდა განხორციელებულიყო მისი დეპორტაცია ირანში“.**

ამერიკაში კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ **ეს „ნაბიჯი იყო შუასაუკუნეობრივი ნიშანი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია მოიტაცოს უცხო ქვეყნის მოქალაქე მესამე ქვეყნიდან, ჩამოიყვანოს ამერიკაში, წაიყვანოს სასამართლოში და გამოიყენოს ამერიკის კანონები ქვეყნის გარეთ. წარმოიდგინეთ, რომ „გუგლის“ აღმასრულებელი დირექტორი მოგზაურობდეს ლიბანში, მოიტაცონ ირანელმა აგენტებმა და ჩააგდონ სამარტოო საკანში ირანში“.** კლიფ ბერნსმა, რომელიც არის ვაშინგტონში დაფუძნებული ერთ-ერთი იურიდიული ფირმის ამერიკელი ადვოკატი, აღნიშნა: „ჩვენ საკუთარ გულს უნდა ვუსმინოთ და ვიცოდეთ, რომ ყოველთვის იქნებიან ადამიანები კაპიტოლიუმის მთაზე, რომლებიც ხმლების ქნევას დაიწყებენ და დაგვაშინებენ დაპყრობით..“

„ამერიკა და ამერიკის სასამართლო კონსპირაციულად მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებთან და ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტთან იმაზე, რომ მე არ მღირსებოდა სამართლიანი სასამართლო. ისინი მოტივირებულნი იყვნენ მხოლოდ იმ აზრით, რომ შეექმნათ მაგალითი და პრეცედენტი და გამოეძიებინათ ირანული წარმოშობის ადამიანის საქმე. აქ ორმაგი სტანდარტი იკვეთება. ამერიკული წყაროების მიხედვით, სახაზინო დეპარტამენტმა საშუალება მისცა ზოგიერთ კომპანიასა და ფიზიკურ პირს, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ირანთან არალეგალურ ვაჭრობაში, თავი დაეღწიათ სასჯელისთვის. ცხადი ხდება ისიც, თუ რატომ არ მოჰყვა არანაირი რეაქცია ჩემს თხოვნას დახმარებაზე: ეს გამოააშკარავებდა იმ კომპანიების სახელებს და ცხადყოფდა ამერიკის სამართლებრივი სისტემის ფარისევლობას“.

**ჯეფრი სილვერმანი,**
**მაია ჩუბინიშვილი**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან თუმანიშვილი არამარტო ზემოქმედებას ახდენდა მოწმეებზე, არამედ ე.წ. შავი გაგებით ესაუბრებოდა ერთ-ერთ მოწმეს, რომელსაც ეუბნებოდა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობა „ბოზობაა“ და, თუ ის „იბოზებს“, მის შვილს „ბოზიშვილს“ დაუძახებენ სკოლაში.**

# 74 წლის ავადმყოფ ქალს — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ნასვამ მუშას — 7 წლით, მერაბიშვილის ბიძას — გირაო და თავისუფლება!

**ლევან სტეფანეს ძე თუმანიშვილი (იგივე სტეპანიჩი) ვანო მერაბიშვილის დედის ძმა გახლავთ. იგი წლების განმავლობაში შპს „ტაოს“ ხელმძღვანელი იყო. 2012 წლის 22 ნოემბერს მერაბიშვილს სწორედ ეს ბიძა დაუჭირეს. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2007 წლიდან დღემდე შპს „ტაოს“ მიერ უკანონოდ იქნა გაჩეხილი და განადგურებული ტყის დიდი მასივები ადიგენის რაიონში. უკანონოდ ნიშნავს ლიცენზიის გარეშე, რომ ვითომდა ხეტყის შესყიდვა ხდებოდა ლიცენზიის მქონე ადგილობრივი მოსახლეებისგან. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი აზრზე არ იყვნენ, რა ხეტყე იყიდა მათგან სტეპანიჩმა, 33 დაკითხული მოწმიდან არც ერთს არასოდეს მიუყიდია ხეტყე შპს „ტაოსთვის“ და, რაც მთავარია, შესყიდვის დოკუმენტებზე დატანილი ხელმოწერები მათი არ არის.**



## ვანო მერაბიშვილის ბიძამ ანგარიშფაქტურებიც გააყალბა და საკუთარი ჯანმრთელობის ცნობაც!

ამის შემდეგ იწყება „ბოზიშვილობის“ ისტორია. ვაკონკრეტებთ: როგორც კი ლევან თუმანიშვილმა გაიგო, რომ რეინჯერები იკითხებიან მოწმის სახით, დაიწყო მათზე ზეწოლა და მუქარა, რათა ჩვენება არ მიეცათ. მაგალითად, ერთ-ერთი რეინჯერის — ვეფხია ბაქრაძის განცხადება ასეთია: „რატომ უნდა იყოს ჩემი პატარა შვილი ბოზის შვილი. სტეპანიჩმა მითხრა, იცოდე, შენს შვილს სკოლაში ბოზის შვილს დაუძახებენო“.

მოწმეებზე ზეწოლის ფაქტები სხვაც გამოვლინდა, რომელთა გათვალისწინებით 15 დეკემბერს ლევან თუმანიშვილი დააკავეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. 16 დეკემბერს მან სიმულაცია გაითამაშა. ეს ჩვენი ტერმინი არ არის, სამართალდამცავების ტერმინოლოგიას ვხმარობთ, რაც ადამიანურ ენაზე ნიშნავს წააფერისტებას. კერძოდ, დაკავებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ლევან თუმანიშვილს დაემართა გულყრები, რის შემდეგაც იგი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი თბილისში. იქ ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევები, მაგნიტორეზონანსულის ჩათვლით; დადგინდა, რომ ზვიგენსაც კი არ აქვს ისეთი იმუნიტეტი, როგორიც ლევან თუმანიშვილს თავის ასაკში. ჩვენ გადმოგვცეს ამ გამოკვლევათა შესახებ ყველა ცნობა. ამის შემდეგ ვანოს ბიძა ისევ ახლაციხეში გადააბრძანეს, სრულიად საღსალამათი და რატომღაც კარგ ხასიათზე მყოფი. მალევე გაირკვა მისი კარგი ხასიათის მიზეზი: სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ლევან თუმანიშვილი 18 დეკემბერს გირაოთი გამოუშვა.

**გივი პაპუაშვილი — სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურორი:**

— როდესაც ოლქის საფინანსო პოლიციაში მოპოვებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია შპს „ტაოს“ ხელმძღვანელი პირების მიერ ხეტყის უკანონო ჭრის განხორციელებისა და ხეტყის შესყიდვის ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების თაობაზე, ამავე პოლიციაში დაიწყო გამოძიება. გამოძიების პროცესში შემოწმებული იქნა ტყეკაფი და პარალელურად შპს „ტაოდან“ ამოღებული იქნა საბუღალტრო დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის დათვალიერების შედეგად გაჩნდა ეჭვი, თუ რამდენად სწორად არის ეს დოკუმენტაცია შედგენილი. გამოძიებით გაირკვა, რომ შპს „ტაოს“ ხელმძღვანელების მიერ შედგენილია ყალბი შესყიდვის აქტები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ თითქოს შპს „ტაოს“ სხვადასხვა ფიზიკური პირისგან შეძენილი აქვს ხეტყის მასალა. შესყიდვის დოკუმენტების ხელმოწერის გრაფაში იყო იმ პირების ხელმოწერები. გამოძიება წავიდა მარტივი გზით და პირველ რიგში დაიწყო დოკუმენტებში მითითებული ფიზიკური პირების დაკითხვა. დღეისათვის დაკითხული აბსოლუტურად ყველა პირი აცხადებს, რომ მათ საერთოდ არანაირი ხეტყე არ მიუყიდიათ „ტაოსთვის“ და შესაბამისად არც წარმოდგენილ დოკუმენტებზეა მათი ხელმოწერა. პარალელურად ჩვენ დავკითხეთ შპს „ტაოს“ ხელმძღვანელობა და ბუღალტერი. ძიება ჯერ არ დასრულებულა, გამოძიება გრძელდება, ჩატარდება ხელმოწერების ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც კიდევ ერთხელ დადასტურდება ზემოხსენებული საბუღალტრო დოკუმენტების სიყალბე, ხოლო ამ ეტაპზე, როდესაც 33 კაცი ამბობს, რომ შესყიდვის დოკუმენტში არ არის მისი ხელმოწერა და არანაირი ხეტყე მას არ გაუყიდია, გამოძიებას არანაირი საფუძველი არ აქვს, არ გაიზიაროს მოწმეთა ჩვენებები. მიუხედავად ამისა, ექსპერტიზა მაინც ჩატარდება და ამ ნაწილში კიდევ ერთი, უტყუარი მტკიცებულება დაიდება.

**— თუ ისინი არა, მაშინ ვინ აწერდნენ შესყიდვის დოკუმენტაციას ხელს?**

— მათ მაგივრად, გამოძიების ვარაუდით, ხელს აწერდნენ ლევან თუმანიშვილი, მთავარი ბუღალტერი და ფირმის სხვა თანამშრომლები. ზუსტად ამ შეკითხვაზე პასუხს ექსპერტიზის დასკვნა გასცემს. იცით, როგორ ხდებოდა ეს? მათ ხელთ ჰქონდათ რაიონში მცხოვრები სხვადასხვა პირის დემოგრაფიული მონაცემები. ისინი შესყიდვის დოკუმენტებში უთითებდნენ ამ პირთა მონაცემებს და მათ ნაცვლად აწერდნენ ხელს. ეს ხალხი დაკითხვის დროს თვითონ იყო გაოგნებული, — კი, მაგრამ ჩვენგან რად უნდოდა ხელის მოწერა, ლევან თუმანიშვილს რამდენიც უნდოდა, იმდენ ხეს ჭრიდა?! ჩვენი აზრით, ყალბ დოკუმენტაციას ლევან თუმანიშვილი თავისი უკანონო ქმედებების „გასაპრავებლად“ ამზადებდა. რა თქმა უნდა, ეს სრული სია არაა. დღეისათვის მხოლოდ 33 პირის მიერ ხელმოწერილი 50-60 დოკუმენტია შესწავლილი. კიდევ შესამოწმებელია დაახლოებით 300-400 ანოლოგიური დოკუმენტი. სავარაუდოდ, ისინიც ყალბი აღმოჩნდება, რაც გამოძიებას უკვე საკმაოდ სერიოზულ ციფრზე გაიყვანს. მინდა გითხრათ, რომ ის ბრალდება, რომელიც დღეს აქვს წაყენებული ლ. თუმანიშვილს, არ არის საბოლოო. გამოძიების პროცესში ახალი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე ბრალი, სავარაუდოდ, უფრო დამძიმდება და არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის ნაწილში. არ არის გამორიცხული, ლ. თუმანიშვილის ქმედებაში გამოიკვეთოს სხვა დანაშაულის ნიშნებიც.

**— რა განაცხადა ლევან თუმანიშვილმა დაკითხვაზე?**

— თუმანიშვილმა დაკითხვაზე აბსოლუტურად ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ არც ერთი დოკუმენტი მისი დამზადებული არ არის, რომ მას უკანონოდ არ უწარმოებია არაფერი. ხელმოწერებზე განაცხადა, რომ შუამავლების საშუალებით ახდენდა ხეტყის შეძენას და შესაბამისად დოკუმენტაციას შუამავლები ავსებდნენ, თუმცა გამოძიებით ლ. თუმანიშვილის ეს ვერსია გაბათილდა. შემდგომ ლ. თუმანიშვილმა ნაწილობრივ აღიარა დანაშაული, ვფიქრობ, მან ეს გააკეთა არა იმიტომ, რომ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არამედ იმიტომ, რომ გამოძიების პროცესში მას წარუდგინეს ყალბი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი მისივე ხელით არის შევსებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ აღიარებით არ შემოვიფარგლებით და ხელმოწერებს ექსპერტიზაზე გავუშვებთ. ახლა, რაც შეეხება ხეტყის უკანონო ჭრას, ამ ნაწილში გამოძიებამ დღეისათვის დაადგინა 6000 $м^3$-ზე მეტი ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტი და შესაბამისად 126 ათასი ლარის ზიანი, თუმცა ამ ნაწილში ლევან თუმანიშვილისთვის ბრალდების წაყენება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თუმანიშვილს მიეცა წინადადება, 45 დღის განმავლობაში აანაზღაუროს ზარალი. თუ ამ 45 დღეში მისი ფირმა არ აანაზღაურებს ზარალს, დადგება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სა- ▶

№10/ა-252-11წ

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

**ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე**

27 სექტემბერი, 2011 წელი — ქ. ახალციხე

**ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ თამარ ცინაძის მდივნობით,**

**პროკურორ** – დავით ჯინჭველაძის,

**ბრალდებულ** – რიფსიმე მარქარიანის,

**ადვოკატ** - სიმონ პარუნაშვილის,

**თარჯიმან** - ირინა ტატალიშვილის

მონაწილეობით, ბრალდებულის პირველი წარდგენის ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა ახალციხის რაიონული პროკურორის მოადგილის დავით ჯინჭველაძის შუამდგომლობა, ბრალდებულ რიფსიმე მარქარიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, ასევე წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის საკითხი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №016260911801 საქმე ბრალდებულ რიფსიმე მარქარიანის (დაბადებული 1940 წლის 07 ნოემბერს,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით, მე-20, 93-94-ე, 196-199-ე, 205-208-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურორის მოადგილის დავით ჯინჭველაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ბრალდებულ რიფსიმე მარქარიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს პატიმრობა;

3. ბრალდებულ რიფსიმე მარქარიანის პატიმრობის ვადა აითვალოს მისი დაკავების მომენტიდან 2011 წლის 26 სექტემბერიდან.

4. ბრალდებული რიფსიმე მარქარიანი მოთავსებულ იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

5. განჩინების ასლები გადაეცეთ საქართველოს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ პირებსა და ორგანოებს.

6. წინასასამართლო სხდომა დაინიშნოს 2011 წლის 28 ოქტომბერს 13:00 საათზე ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

7. მხარეებს დაევალოთ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

8. განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ნაწილში შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მისი გამოტანიდან 48 საათის განმავლობაში, ახალციხის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

**მოსამართლე**

**გიორგი ლონდარიძე**

ნაც-რეალობა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ცნობილია, რომ რაიონში ლევან თუმანიშვილის გარეშე ვერავინ შეიტანდა პურს მაღაზიაში. მას ჰქონდა და ახლაც აქვს თავისი საცხობი, რომელშიც ცხვებოდა ე. წ. უდის პური. როდესაც მაღაზიაში სხვა ვინმეს შეჰქონდა პური, იქ ეუბნებოდნენ, რომ სანამ უდის პური არ შემოვა, მანამდე თქვენს პურს ვერ მივიღებთ, ლევან სტეპანიჩს ეწყინებაო.



# იმ ფონზე, რომ წლების მანძილზე «ნაცმოძრაობას» დეკლარირებული ჰქონდა ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლა, აღმოჩნდა, რომ თვითონ ვანო მერაბიშვილის ბიძა «შავობს»

◀კითხი, ანუ ამ რეჟიმში ვართ ახლა. თუმანიშვილს წაყენებული აქვს ბრალი სსკ-ის 210-ე მუხლი მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით — ჯგუფურად, ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადება-გამოყენებისთვის. მინდა ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების პროცესში დადგინდა ლევან თუმანიშვილის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების ფაქტები. ეს კი წარმოადგენს გამოძიებისთვის ხელის შეშლას. უფრო მეტიც, გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან თუმანიშვილი არამარტო ზემოქმედებას ახდენდა მოწმეებზე, არამედ ე.წ. შავი გაგებით ესაუბრებოდა ერთ-ერთ მოწმეს, რომელსაც ეუბნებოდა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობა „ბოზობაა“ და, თუ ის „იბოზებს“, მის შვილს „ბოზიშვილს“ დაუძახებენ სკოლაში. **იმ ფონზე, რომ წლების მანძილზე „ნაცმოძრაობას“ დეკლარირებული ჰქონდა ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლა, აღმოჩნდა, რომ თვითონ ვანო მერაბიშვილის ბიძა „შავობს“.**

ცნობილია, რომ რაიონში ლევან თუმანიშვილის გარეშე ვერავინ შეიტანდა პურს მაღაზიაში. მას ჰქონდა და ახლაც აქვს თავისი საცხობი, რომელშიც ცხვებოდა ე.წ. უდის პური. როდესაც მაღაზიაში სხვა ვინმეს შეჰქონდა პური, იქ ეუბნებოდნენ, რომ, სანამ უდის პური არ შემოვა, მანამდე თქვენს პურს ვერ მივიღებთ, ლევან სტეპანიჩს ეწყინებაო.

**— ვიცი, რომ სტეპანიჩის მხრიდან სიმულაციას ჰქონდა ადგილი...**

— როდესაც ლ. თუმანიშვილი დააკავეს, მოათავსეს დროებითი დაკავების იზოლატორში, ღამის საათებში ისე გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში, რომ გამოძიებისთვის არც კი შეუტყობინებიათ. ამის შესახებ ჩვენ პოსტფაქტუმ გავიგეთ. მივიღეთ გადაწყვეტილება მისი თბილისში გადაყვანის შესახებ და ჩავიყვანეთ თბილისში, იქ შემოწმდა, აღმოჩნდა სავსებით ჯანმრთელი და ჩამოვიყვანეთ უკან — ახალციხეში, ანუ **ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ აზრის დამკვიდრებას, რომ ვანოს ბიძა დაკავების შემდეგ გახდა ავად.** ამ ფაქტზე უკვე დაიწყო გამოძიება და, რამდენადაც ვიცი, ამ ფაქტის გამო დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსი განთავისუფლდა სამსახურიდან.

**— რა სახის აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით მიმართეთ სასამართლოს?**

— აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი გარემოება, რომ გამოძიებას ხელი არავინ შეუშალოს. იმის გამო, რომ ჩვენ მიერ დადგენილ იქნა ფაქტი, რომ ეს პიროვნება ხელს უშლიდა გამოძიებას, სახელდობრ, მოწმეებზე ახდენდა ზემოქმედებას, რათა მათ არ მიეცათ ობიექტური ჩვენება, რაც აღძრავდა საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ ლევან თუმანიშვილი გააგრძელებდა მოწმეებზე ზემოქმედებას, ამიტომ მივმართეთ სასამართლოს შუამდგომლობით ლევან თუმანიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის თაობაზე. იმის ნაცვლად, რომ სასამართლოს ემსჯელა ჩვენს არგუმენტებზე და მხოლოდ ამის გათვალისწინებით მიეღო გადაწყვეტილება, მოსამართლემ საერთოდ გვერდი აუარა ჩვენს დასაბუთებულ არგუმენტებს და ისე მიიღო გადაწყვეტილება; სახელდობრ, მიუთითა, რომ ლევან თუმანიშვილის ასაკი (იგი არის 66 წლის), მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ის არ დაემალება გამოძიებას და ამის გამო მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 50 000 ლარის ოდენობით. **ოჯახის წევრებმა ეს თანხა სულ რაღაც 15 წუთში გადაიხადეს და ლევან თუმანიშვილი გამოიყვანეს ციხიდან. ანუ პირს, რომელსაც უკვე დღეს, პირველადი ბრალის მიხედვით, 100 000 ლარზე მეტი ზარალი აქვს მიყენებული სახელმწიფოსთვის, ამასთან არსებობს დიდი ალბათობა, რომ ზარალის ოდენობა მომავალში გაიზრდება, სასამართლო უშვებს 50 000-ლარიანი გირაოთი, ეს ხომ სასაცილოა.** ამ შემთხვევაში მის მიერ გადახდილი გირაოს თანხა როგორ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზანს, კერძოდ, იმას, რომ ამ თანხის დაკარგვის შიშით ის არ დაემალება გამოძიებას? განგიმარტავთ მარტივად: როდესაც პირს ედავებიან 500 000 ან 1 000 000 ლარის ზარალის მიყენებას, ის დაუფიქრებლად გაიღებს გირაოს სახით შეტანილ სულ რაღაც 50 000 ლარს და მიიმალება. ზუსტად ამიტომ ჩვენ სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება და ვითხოვთ ლევან თუმანიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევას.

„საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა დოკუმენტთა ნუსხა, რომელთა მიხედვით, პირველ რიგში, ლევან თუმანიშვილის საქმეში მონაწილე მოსამართლის — გიორგი ლონდარიძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ესაა განჩინებების ექსკლუზიური ნუსხა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს შემოგთავაზებთ.

მაშ ასე, ვანო **მერაბიშვილის ბიძა მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ გაათავისუფლა შემდეგი მიზეზების გამო:**

**1. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, 2. მისი ხანდაზმული ასაკიდან (66 წელი) გამომდინარე და გირაოს სახით 50 000 ლარი დაუწესა.**

ამჯერად მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჩვენ მიერ მოპოვებულ განჩინებათა ნუსხიდან, საიდანც ჩანს, მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ როგორ მიუსაჯა 74 წლის მოხუც ქალს რაღაც დოკუმენტაციური შეცდომისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა (მისი ავადმყოფობის მიუხედავად), ხოლო მუშას, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდა ავტომანქანას და ავარია მოახდინა (რომლის შედეგად სერიოზულად არავინ დაზიანებულა), 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და გირაოს სახით 30 ათასი ლარის გადახდა შეუფარდა. ამ განჩინებებს უცვლელად გთავაზობთ. აქვე წარმოგიდგენთ ლევან თუმანიშვილის ჯანმრთელობის ცნობას (გამოკვლევები მას მაღალი ტექნოლოგიების ცენტრში ე. წ. ინგოროყვას კლინიკაში ჩაუტარდა), რის შემდეგაც დაისმის კითხვა — რატომ გაათავისუფლეს, შავი გაგებისა და „ბოზიშვილური“ მენტალიტეტის მოყვარული სტეპანიჩი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან — ვანოს ბიძობის გამო?!

ჩვენ შევეცადეთ, დავკავშირებოდით ლევან თუმანიშვილს, მაგრამ, როგორც გაირკვა, იგი კომენტარს არ იძლევა. ამასთან, გახდება თუ არა ლევან თუმანიშვილის დაპატიმრების მიზეზი მისთვის ახალი ბრალდების წარდგენა, მოგვიანებით შევიტყობთ.

**თამარ ნაზღაიძე**




შპს “მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა”

“ HIGHTECNOLOGY MEDICAL CENTER UNIVERSITY CLINIC ” LTD

| პაციენტი | ასაკი | თარიღი | კონტრასტი |
|---|---|---|---|
| თუმანიშვილი ლევანი | 66 წლის. | 17.12.12 | |

ჩატარდა თავის ტვინის კ.ტ. გამოკვლევა.

ტვინის ნივთიერებაში პათოლოგიური სიმკვრივის კერა' არ იქნა ნანახი

შუამდებარე სტრუქტურების ცდომა არ აღინიშნება. პარკუჭები და ცისტერნები ზომიერია, დეფორმაციის და ასიმეტრიის გარეშეა. ვიზუალიზირდება ორმხრივ სილვიის ნაპრალი. ზომიერია ქსელქვეშა სივრცეები კონვექსიტალურად. გაკირულია ეპიფიზი და გვერდით პარკუჭთა სისხლძარღვოვანი წნული. უკანა ფოსოს სტრუქტურები კარგად დიფერენცირდება. IV პარკუჭი შუა ხაზზეა, ზეწოლას არ განიცდის. ღეროს ცისტერნები ისახება ყველა დონეზე. ქაიზმალურ-სელარული მიდამო, ორბიტები და რეტრობულბარული სივრცეები, ქალასარქველის ძვლები – პათოლოგიის გარეშე. პარანაზალური წიაღები და საფეთქლის ძვლის კლდოვანი შემაღლებები პნევმატიზირებულია.

ექიმი რადიოლოგი: თ.მაჭარაშვილი



# მაია ფანჯიკიძის ლიტვაში გაკეთებული განცხადება, რომელიც სკანდალის საფუძვლად იქცა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის ლიტვაში ვიზიტის დროს პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება სკანდალის საფუძვლად იქცა. კერძოდ, საქმე ეხება პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის ელჩის მიერ დასმულ შეკითხვას და მასზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხს.**

არსებული ვიდეომასალის მიხედვით, აზერბაიჯანის ელჩმა მაია ფანჯიკიძეს მიმართა: ,,თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობები თავის მეზობლებთან, ხომ არ შეცვლილა რაიმე საქართველოს აზერბაიჯანისადმი დამოკიდებულებაში?“

საგარეო საქმეთა მინისტრი უპასუხებს, რომ **„საქართველო არ ერთვება სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების ამ საკითხში, თუმცა როგორც მე ეს ბაქოში ვიზიტისას განვაცხადე, საქართველო მხარს უჭერს აზერბაიჯანის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ყველა კონფლიქტი უნიკალურია და გადაწყვეტის თავისებური გზები გააჩნია“,** — უპასუხა მაია ფანჯიკიძემ აზერბაიჯანელ დიპლომატს.

# ოე! პროკურატურა!..

**მთავარი პროკურატურის მიერ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ვიდეომასალასა და მედიასაშუალებებით მის ტირაჟირებას პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენელი გოგა ხაჩიძე საკუთარი facebook-ის გვერდზე ეხმაურება.**

„ანუ, რა ხდება: ბექა გოჩიაშვილს და მის ძმას პოლიციის შენობაში მუქარისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ლანძღვა-გინებით კითხავენ, ხოლო პროკურატურა ამის პარალელურად ვიღაც ადამიანების სექსუალური ურთიერთობების ამსახველ კადრებს ასაჯაროებს... თან გვიცხადებენ, მეგის ქარდავას გადაღებულიაო. სულ რომ პიტერ ჯექსონის გადაღებული იყოს, არ მკიდია!... საჯაროს რატომ ხდით, რა უფლებით?! ოე! პროკურატურა!..“, — წერს ხაჩიძე.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰკითხეთ ბაქრაძეს, გრძნობს თუ არა თავს დამნაშავედ ამ ყველაფერში. ჭკვიანი კაცია და, მგონი, უნდა გრძნობდეს. ან თუ მიაჩნია, რომ მართალია, თქვას, ვინ არის დამნაშავე.**

# კარლო კოპალიანი: თბილისში პარლამენტის შენობის გაპარტახებასთან დაკავშირებით ბაქრაძემ და მისმა აპარატმა უნდა აგონ პასუხი

**ქუთაისში ახალი პარლამენტის ასაშენებლად, გავრცელებული ინფორმაციით, 350 მილიონი ლარი დაიხარჯა, მაგრამ არცთუ ისე ხარისხიანად აგებული შენობის კეთილმოწყობას 20 მილიონამდე კიდევ სჭირდება. ამას ემატება თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის დანგრეული დარბაზების რესტავრაციისთვის გამოყოფილი თანხა, რამაც მთლიანობაში საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად დააზარალა.**
**ვინ უნდა აგოს პასუხი ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალზე, რა მიზნით გადაიტანეს საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში, ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი კარლო კოპალიანი ესაუბრა.**



**— ბატონო კარლო, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დარბაზი დანგრეულია, დაჩეხილი ან გატანილია ავეჯი. რა მიზნით დაანგრიეს პარლამენტის დარბაზები, მითუმეტეს, გავრცელებული ხმების მიუხედავად, ცნობილი გახდა, რომ შენობის პრივატიზება არ განხორციელებულა.**

— დაანგრიეს „პირველი რესპუბლიკის დარბაზი", „ილია ჭავჭავაძის" სახელობის დარბაზი და მთავარი — სხდომათა დარბაზი. ნაომარი გეგონებათ, ისე დაჩეხეს ყველაფერი, მაგრამ რატომ და ვის სჭირდებოდა ამ საოცარი შენობისა და ავეჯის განადგურება, არ ვიცი. **პარლამენტის აპარატის თანამშრომლები კულუარებში საუბრობდნენ, გული გვიკვდებოდა, როცა ამ ყველაფერს ვუყურებდითო. სხვათა შორის, პარლამენტის შენობიდან ავეჯი ღამით გაჰქონდათ. ეზო ტრაილერებით იყო სავსე. სად წაიღეს, ჩვენთვის ესეც უცნობია, მით უფრო, რომ ქუთაისის პარლამენტში ძალიან უხარისხო ავეჯია.**

როდესაც გამოგვიცხადეს, დაგვეტოვებინა პარლამენტის შენობა და პარტიების ოფისებში გაგვეგრძელებინა მუშაობა, ჩვენმა ფრაქციამ კატეგორიული წინააღმდეგობა გასწია. ძალით ვერ გამოგვიყვანეს, რადგან ამის უფლება არ ჰქონდათ და სხვათა შორის, დღესაც ხელუხლებელია ის ოთახები, რომლებშიც ჩვენ ვისხედით. მეტიც, როცა ხმაური ავტეხეთ, პარლამენტის აპარატის უფროსმა მაშინვე უარყო, ჩვენ არავისთვის გვითქვამს, დაცალეთ კაბინეტები, ყველა თავისით წავიდაო.

სავარაუდოდ, შენობას ვითომ აუქციონის წესით გაყიდიდნენ, სინამდვილეში კი, ვფიქრობ, სააკაშვილისა და მისი ოჯახის საკუთრება გახდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ მოასწრეს. საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: თუ პარლამენტის ქუთაისში გადატანას აპირებდნენ, რატომ გაარემონტეს შარშან პარლამენტის შენობა? ფანჯრებიც გამოცვალეს. როგორც ჩანს, მათთვის ესეც ფულის უკანონოდ შოვნის ერთ-ერთი ხერხი იყო.

**— პარლამენტის შენობის პრივატიზების შემთხვევაში, რა ბედი ელოდა იქ განთავსებულ სამლოცველოსა და იუნკრების საფლავებს?**

— ამათთან ქრისტიანობასა და სამლოცველოზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მათი უმრავლესობა ურწმუნოა. 9 წლის მანძილზე ქვეყანა არ ედარდებოდათ და სამლოცველოზე იდარდებდნენ?

**— საუბარია ბიუჯეტისთვის მიყენებულ 350 მილიონამდე ზარალზე. ვინ უნდა აგოს პასუხი ამ ყველაფერზე? თუნდაც ამ დრომდე რატომ არ დაკითხეს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე?**

— პარლამენტის მიმართვის საფუძველზე, პარლამენტის მშენებლობის საკითხს უკვე სწავლობს კონტროლის პალატა. ისინი მუშაობენ და შესაბამის დასკვნას წარმოადგენენ, რის შემდეგაც მოკვლევას პროკურატურა გააგრძელებს. ყველა პასუხს აგებს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. კითხვის ნიშანი არ უნდა დარჩეს, რადგან საზოგადოების მთავარი დაკვეთა ახალი ხელისუფლების მიმართ სწორედ ეს არის. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ან თუნდაც დეპუტატის დაკითხვა არ არის ასე მარტივი, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, დეპუტატებს იმუნიტეტი არ უნდა გვიცავდეს და კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. მე მაქვს ასეთი წინადადება, რომ ყველამ მოვიხსნათ იმუნიტეტი და უმცირესობამაც მხარი დაგვიჭიროს, თუ მართლები არიან, რაში სჭირდებათ იმუნიტეტი?

პარლამენტის თავმჯდომარე მეორე პირია ქვეყანაში და, ბუნებრივია, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში დათო ბაქრაძეს არაფრის შეცვლა არ შეეძლო. მთელი პარტია ერთი კაცის ჭკუაზე დადიოდა. სააკაშვილს რამე მოენდომებინა და ბაქრაძე შეეწინააღმდეგებოდა? 9 წლის მანძილზე ერთ პიროვნებას ვერ დავასახელებთ, რომელიც მას შეწინააღმდეგებია და მერე თანამდებობაზე დარჩენილა.

**— თუმცა ასე ხომ ნებისმიერი თანამდებობის პირის ქმედება შეიძლება გავამართლოთ?**

— როცა კონტროლის პალატა დასკვნას წარმოადგენს, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი, მაგრამ განადგურებულ ავეჯთან დაკავშირებით, და თბილისში პარლამენტის შენობის გაპარტახებასთან დაკავშირებით ბაქრაძემ და მისმა აპარატმა უნდა აგონ პასუხი ან თქვან, ვინ გასცა შენობის დანგრევის ბრძანება.

**ჰკითხეთ ბაქრაძეს, გრძნობს თუ არა თავს დამნაშავედ ამ ყველაფერში. ჭკვიანი კაცია და, მგონი, უნდა გრძნობდეს. ან თუ მიაჩნია, რომ მართალია, თქვას, ვინ არის დამნაშავე.**

პარლამენტი ხალხის მიერ არჩეული ორგანოა და, მხოლოდ ერთი პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე კი არა, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იხელმძღვანელოს. ქუთაისის ყოფილი მერი, აწ უკვე პარლამენტარი გიორგი თევდორაშვილი ხშირად გამოდის პარლამენტის სხდომებზე და ამბობს, რომ ქუთაისს წყალი და ნაგავსაყრელი სჭირდება, მაგრამ სახელმწიფომ რატომ არ იზრუნა იმაზე, რომ ქუთაისს, პარლამენტის შენობის ნაცვლად, გამართული წყალსადენი ჰქონოდა? ასე ქალაქიც უფრო მოიგებდა. 400 მილიონამდე დაიხარჯა, მიუხედავად ამისა, მთელ ქალაქს არ აქვს წყალი. საოცრებაა!

**— კულუარებში პარლამენტის ქუთაისში გადატანის რამდენიმე მიზეზი სახელდება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ: რატომ სურდა ასე ძალიან ყოფილ ხელისუფლებას პარლამენტი ქუთაისში გადაეტანა, რა იყო მათი მიზანი?**

— ეს იყო ერთი კაცის ახირება, რათა ეს უნიკალური შენობა ვიღაცას არაკანონიერი გზით ხელში ჩაეგდო. ამისთვის არ მოერიდნენ უზარმაზარი სახელმწიფო თანხის გაფლანგვას — 400 მილიონამდე გადაყარეს და ქუთაისის ჭაობში ააშენეს უსახური შენობა.

ამას გარდა, ხარჯიც გაიზარდა. ადრე თუ თბილისში 25 დეპუტატისთვის ქირაობდნენ ბინას, ახლა 150-ისთვის უნდა იქირაონ. ამას ემატება პარლამენტის 750 თანამშრომლის ხარჯი. დაამატეთ ამას მგზავრობის ხარჯები. პლუს მთავრობის წევრების დანახარჯები...

პარლამენტის ახალ შენობაში ასევე არ არის უსაფრთხოების ნორმები დაცული. ხან წყალი ჩამოდის, ხან ნათურები ცვივა. მთასვლელები ჰყავთ ახლა ჩამოყვანილი და რას აკეთებენ შენობის სახურავზე, არ ვიცი.

მეორე მიზეზიც არსებობს: სააკაშვილს არ უყვარს თბილისი, რადგან თბილისის მოსახლეობამ მას ყველაზე ადრე უთხრა უარი. პრეზიდენტი ცდილობდა, პოლიტიკური ცენტრების სხვა ქალაქებში გადატანით, საპროტესტო მუხტიც ჩაეკლა. შეიძლება ეს ერთგვარი გაქცევის მცდელობაც იყო, მაგრამ სააკაშვილს ეს არ გამოუვიდა.

**— გაქცევის მცდელობა ახსენეთ, გავრცელებული ინფორმაციით, შეიძლება მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდის სამთავრობო რეზიდენციაში გადავიდეს და იქიდან მართოს ქვეყანა. ესეც გაქცევის მცდელობაა თუ რა მიზანს ემსახურება პრეზიდენტის საქციელი?**

— ეს, ალბათ, მორიგი სისულელე იქნება. დღეს უკვე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სად წავა სააკაშვილი. მისი საპრეზიდენტო ვადა იწურება და ის მალე საერთოდ წავა ქართული პოლიტიკიდან. **საინტერესოა, სააკაშვილი ზუგდიდს ახალ სატახტო ქალაქად აცხადებს თუ რაიმე ავანტიურა აქვს ჩაფიქრებული?** მეგრელი ხალხი ძალიან ჭკვიანია და არჩევნებზე მიღებული ხმები მხოლოდ გაყალბების შედეგი იყო. სამეგრელომაც ისევე უთხრა უარი „ნაციონალურ მოძრაობას", როგორც დანარჩენმა საქართველომ.

**«სააკაშვილი ზუგდიდს ახალ სატახტო ქალაქად აცხადებს თუ რაიმე ავანტიურა აქვს ჩაფიქრებული?»**

ყველაფერზე პასუხი „ნაციონალურმა მოძრაობამ" უნდა აგოს. წინა პარლამენტი იყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო, ერთპარტიული პარლამენტი. ის აკეთებდა ყველაფერს, რაც სურდა 120 კაცს და არა იმას, რაც უნდოდა საქართველოს მოსახლეობას. თუმცა ამ ქვეყანაში პასუხისმგებლობას ვერვინ აიცილებს, ვინაიდან ჩვენ სამართლიანი ქვეყნის აშენებას ვაპირებთ და, თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, ყველამ პასუხი უნდა აგოს.

**— წლებია, გვესმის ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, მაგრამ რატომ არ ჰქონდა პროკურატურას უფრო მყარი არგუმენტები დაპატიმრებული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ?**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჩვენი საზოგადოება ძალიან იოლ დაჭერებს მიაჩვია. ვისაც მოუნდებოდათ, დაიჭერდნენ და მერე შეუთითხნიდნენ საქმეს. ჩვენი ახალი ხელისუფლება კი, თუნდაც დარწმუნებული იყოს ადამიანის დანაშაულში, სანამ რეალური დამამტკიცებელი ფაქტები არ იქნება კონკრეტული დამნაშავის წინააღმდეგ, მანამდე არ იჭერს.

ამას გარდა, ამ ადამიანებს ათავისუფლებს სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი პრეზიდენტის წნეხისგან. ჩვენ სასამართლოზე ზეწოლას ვერ მოვახდენთ. 10 ათასზე მეტი საჩივარია პროკურატურაში შესული და მალე კიდევ ბევრი რამ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

**— საუბრობთ პრეზიდენტის გავლენაზე. მაშინ რატომ არ სვამთ საკითხს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ან „ნაციონალური მოძრაობის" დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების თაობაზე?**

— არსებობს ასეთი გამოთქმა „იჩქარე ნელა". ჩვენ შურისმაძიებლები არ ვართ. ჩემი ინიციატივაა, შეიქმნას პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობის შემსწავლელი კომისია, დაიდოს მათი „საგმირო საქმეები" და საერთოდ აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა". თუმცა, შესაძლოა, არ ჰყავდეს ამ იდეას მხარდამჭერები, რადგან ამ შემთხვევაში ისევ ერთპარტიულ პარლამენტს მივიღებთ.

პრეზიდენტის იმპიჩმენტს კი რა აზრი აქვს? მას არავითარი ძალაუფლება აღარ აქვს. გამოდის და, როგორც ყოველთვის, ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს ტყუილების ლაპარაკს, ხალხს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნის.

**— პრეზიდენტს გავლენა არ აქვს, მაგრამ ნაციონალები" კვლავინდებურად ინიშნებიან თანამდებობებზე და ხელისუფლებაში დასაბრუნებლადაც ემზადებიან...**

— გეთანხმებით, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას" შანსი აღარ აქვს. ჩვენ ისეთ პირობებში მოვუგეთ არჩევნები „ნაციონალებს", როცა ყველაზე მყარად გრძნობდნენ თავს და, თუ ჰგონიათ გუბერნატორისა და გამგებლის დანიშვნით არჩევნებს მოიგებენ, ძალიან ცდებიან. 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავენ ადგილობრივ არჩევნებში. „ნაციონალური მოძრაობა" მალე თოვლივით გაქრება. ეს პროცესი გარდაუვალია. ყოველ დღე იკლებს მათი წევრების რაოდენობა.

**— ხმაური გამოიწვია ამნისტიის შესახებ მიღებულმა კანონმა. ბუნებრივია, უკანონო პატიმრებმა უნდა დატოვონ ციხე, მაგრამ ახალ ხელისუფლებას „ნაციონალები" კრიმინალების გათავისუფლებაში ადანაშაულებენ.**

— საერთოდ ამნისტია ყველაზე ჰუმანური აქტია, რომელიც დამნაშავეს გამოსწორების შანსს აძლევს. ქვეყანაში უამრავი უკანონო პატიმარი იყო. მძიმე დანაშაულში ბრალდებულები არ გათავისუფლებულან, მათ მხოლოდ შეუმცირდათ სასჯელი. ბოლო თვეების მანძილზე თავად სააკაშვილმა გაათავისუფლა ძალიან ბევრი პატიმარი, რომლებსაც 15-18 წელი ჰქონდათ მისჯილი და ნარკოტიკების რეალიზაციასა და სხვა მძიმე დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი, ჩვენი ამნისტიის სიაში ასეთი ხალხი არ არის. ეს „ნაციონალების" პოლიტიკაა — დააბრალონ სხვას ის, რასაც თავად აკეთებენ, მაგრამ ხალხი ასე ადვილად აღარ ტყუვდება.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს სომხეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა კარგად იცის, რომ მათი სასიცოცხლო გზა, არტერია, გადის საქართველოზე, ამიტომ არც ერთი საღად მოაზროვნე მოქალაქე მხარს არ დაუჭერს იმ კანდიდატს, რომელიც ფაქტობრივად ამბობს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ამ სასიცოცხლო არტერიას გადაჭრის.**

**ბონდო არველაძე:**

# სომხეთის ხელისუფლებაში სედრაქიანი თუ მოვა, დიდი ალბათობით, აქ 1918 წლის დეკემბრის მოვლენები განმეორდება

**სომხეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ვარდან სედრაქიანმა რამდენიმე დღის წინ სკანდალური განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ჯავახეთს კი სომხეთს „დაუბრუნებს“ და ამით რუსეთთან საერთო საზღვარს უზრუნველყოფს. სედრაქიანმა ისიც აღნიშნა, რომ აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ისტორიულად ქუთაისი იყო, ამიტომ მისი დამოუკიდებლობა ქუთაისთან ერთად უნდა აღდგეს. შეგახსენებთ, რომ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები 18 თებერვალს ტარდება. ამის ფონზე კი პრეზიდენტობის კანდიდატის ესოდენ მძაფრ განცხადებას საქართველოში, ბუნებრივია, ადეკვატური რეაქცია მოჰყვა...**

**რა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს დღეს რეალურად ვარდან სედრაქიანი და რამდენად საფრთხისშემცველია მისი განცხადება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არმენოლოგი ბონდო არველაძე.**





## «სედრაქიანი არის დაშნაკურ-ნაციონალისტური განწყობილების გამომხატველი ფიგურა, რომლის გონებაშიც დიდი არმენიის იდეა ფსიქოზშია გადასული»

**— ბატონო ბონდო, ვარდან სედრაქიანის სკანდალურმა განცხადებამ, საქართველოს დავაქუცმაცებო, ჩვენი საზოგადოება შეძრა. სანამ მთავარზე გადავალთ, მოდით, ჯერ მკითხველს კარგად გავაგებინოთ: ვინაა და რას წარმოადგენს ეს ადამიანი?**

— როგორც ჩანს, ეს სედრაქიანი ახალი სახეა სომხურ პოლიტიკაში, მის ბიოგრაფიაზე ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ, თვითონ მისი განცხადებიდან გამომდინარე, აშკარად იკვეთება, რომ ეს პიროვნება არის დაშნაკურ-ნაციონალისტური განწყობილების გამომხატველი. ამ განწყობილების მქონე ადამიანები, ვერ ვიტყვი, რომ მნიშვნელოვან ნაწილში, მაგრამ დღევანდელი სომხური საზოგადოების გარკვეულ ფენაში მრავლად არიან. ამას აქვს თავისი ობიექტური ისტორიული მიზეზებიც, რაზეც საუბარი ახლა შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება სედრაქიანს, ეს კაცი, ამ თავისი ერთი კონკრეტული განცხადებით, ჭკუამოკლე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და რატომ: — სომხების უმრავლესობამ კარგად იცის, რომ მათი სასიცოცხლო გზა გადის საქართველოზე. **გავიხსენოთ 2008 წლის მოვლენები, როდესაც აქ ომი ატყდა და სარკინიგზო მიმოსვლა შეფერხდა. ისინი კინაღამ შიმშილით ამოწყდნენ. კიდევ ცოტაც და ოფიციალური ერევანი განგაშს ატეხდა.** ახლა რა გამოდის? **ბატონი სედრაქიანი როდესაც ამბობს, მე თუ მოვალ, ამას და იმას ვიზამო, ამით ის რეალურად თავის სახელმწიფოებრივ ინტერესებს აყენებს საფრთხის ქვეშ,** ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ესაა, ფაქტობრივად, იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ზიხარ. სომხეთის პოლიტიკურ წრეებში არიან ჭკვიანი ადამიანები და ისინი ამას კარგად აცნობიერებენ. რა თქმა უნდა, საგანგაშოა, როცა მეზობელ სახელმწიფოში ასეთი განცხადებები კეთდება, მითუმეტეს პრეზიდენტობის კანდიდატის მხრიდან, მაგრამ, ჩემი აზრით, **ამგვარი შეხედულებების მქონე პიროვნებებს დღევანდელ რეალობაში პოლიტიკურ ასპარეზზე არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.** მათ გამონათქვამებს სერიოზულად არავინ აღიქვამს.

**— გინდათ, თქვათ, რომ არჩევნებში სედრაქიანის გამარჯვების შანსი მინიმალურია?**

— ვიმეორებ: **დღეს სომხეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა კარგად იცის, რომ მათი სასიცოცხლო გზა, არტერია, გადის საქართველოზე, ამიტომ არც ერთი საღად მოაზროვნე მოქალაქე მხარს არ დაუჭერს იმ კანდიდატს, რომელიც ფაქტობრივად ამბობს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ამ სასიცოცხლო არტერიას გადაჭრის.**

**— სედრაქიანი არ ამბობს, რომ სომხეთს ბლოკადაში მოაქცევს, პირიქით, ის პირობას დებს, რომ საქართველოს ტერიტორიებს მიიერთებს და რუსეთთან საერთო საზღვარს უზრუნველყოფს.**

— ესაა ზღაპარი და შეუძლებელია, ამაზე სერიოზულად ვისაუბროთ. ასეთი ზღაპრები ადრეც ბევრი გამიგონია და, რომელ ავადმყოფურ გონებაში იხარშება მსგავსი სისულელეები, კარგად ვიცი. ამას ქადაგებენ სომეხი ვაიპოლიტიკოსები, რომელთა ტვინებშიც დიდი არმენიის იდეა უკვე ფსიქოზშია გადასული.

**— გასაგებია, მაგრამ ის, რომ წინასაარჩევნოდ კანდიდატი ასეთი განცხადებით ცდილობს ქულების დაწერას, გარკვეულწილად, ალბათ, ამომრჩევლის დაკვეთაზეც მიანიშნებს. ცხადია, სედრაქიანის ეს გამოსვლა ელექტორატზე იყო გათვლილი.**

— ამიტომაც აღვნიშნე დასაწყისში, ამ განწყობილების ხალხი არის-მეთქი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არაა უმრავლესობა.

**— გამოდის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ამომრჩევლის უმცირეს სეგმენტზე მუშაობს? მაშინ საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან ამ განცხადებას მძაფრი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. საქართველოში რომ ეთქვა ვინმეს მსგავსი რამ, დარწმუნებული ვარ, ლიბერალები აქციებს აქციებზე გამართავდნენ.**

— საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ლიბერალები, თქვენ რომ ახსენეთ, ყველაფერზე რეაგირებენ, რაც მართლა საყურადღებოა, მაგრამ ძირითადად ეს ხდება ცალმხრივად. რას ვგულისხმობ: მხედველობაში მაქვს ის, რომ, ერთის მხრივ, ისინი კრიჭაში უდგანან გარკვეულ ძალებს; მეორე მხრივ კი, თვალს ხუჭავენ ისეთ მანკიერებებზე, რომლებზეც მთელი მსოფლიო მიგვითითებს. სომხური საზოგადოება, ამ თვალსაზრისით, ცოტა სხვა ტიპისაა — იქ თუ ვინმეს რამე მათთვისვე საზიანო წამოსცდება, ამაზე განგაში არ ტყდება, ანუ, როგორც იტყვიან, თავიანთ მკვდარს თვითონვე მარხავენ. სედრაქიანმა ისედაც კარგად იცის, რომ მისი შანსი პრაქტიკულად ნულია, ამიტომ ის, რომ განცხადებას არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გააკეთებს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**— ამგვარმა განცხადებებმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში?**

— კონკრეტულად ამ განცხადებაზე თუ მეკითხებით, კიდევ გიპასუხებთ, რომ ამ ყველაფერს, როგორც საფრთხეს და საშიშროებას, ისე უნდა შევხედოთ. ჩვენ არ ვიცით, ისტორიის ჩარხი როგორ დატრიალდება, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მართლა რომ მოვიდეს სედრაქიანის კატეგორიის ადამიანი მეზობელი ქვეყნის სათავეში, კატასტროფა გარდაუვალი იქნება — დიდი ალბათობით, შეიძლება განმეორდეს ის, რაც 1918 წლის დეკემბერში მოხდა, როცა დაშნაკური მთავრობა თბილისის ასაღებად წამოვიდა. არ მინდა ვინმემ გადაჭარბებაში ჩამომართვას, მაგრამ ის დაშნაკური სული დღესაც ცოცხალია, შეიძლება მიძინებულია, მაგრამ არსებობს. არ ვიცი, გინახავთ თუ არა, **სომხეთში გამოცემული აქვთ სახელმძღვანელოები, ატლასები, რუკები, რომელთა მიხედვით თურმე მთელი საქართველოს ტერიტორია ლიხის ქედამდე ისტორიულად მათი ყოფილა. სხვათა შორის, ეს რუკები 1919 წელს დაშნაკებმა სტამბულის კონფერენციაზე წარადგინეს და თავიანთი მომხრეების — საფრანგეთის, ინგლისის წარმომადგენლების დახმარებით სცადეს მისი დამტკიცება, როგორც ისტორიული დოკუმენტის.** მაშინ გამოვიდა თურქეთის წარმომადგენელი და ნახევარ საათში გააბითურა მათი რუკები. მან აჩვენა, რა სიყალბე იყო ეს ყველაფერი. ამით რის თქმა მინდა: ის, რაც ახლა გვესმის სედრაქიანისა და მისნაირი ადამიანებისგან, დღეს და გუშინ არ დაწყებულა, ამას ფესვები აქვს ღრმა წარსულში, რაზეც ერთმა ჭკვიანმა კაცმა მოსწრებულად თქვა: **სომხებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთ.** ასე მოვდივართ, საუკუნეებია, ეს ჩვენთვის უცხო ხილი არ არის.

**— ჯავახეთის რეგიონს ბევრი ადარებს დენთით სავსე კასრს, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს. სედრაქიანის ან ამ ტიპის სხვა განცხადებამ რამდენად შეიძლება დეტონატორის ფუნქცია შეასრულოს?**

— ეს უფრო ჩვენზეა დამოკიდებული, ვიდრე გარე ძალაზე. ჯავახეთის საკითხი ძალიან დელიკატურია და ვფიქრობ, ამაზე უფრო საფრთხილო თემა დღეს საქართველოში არ არსებობს, მნიშვნელობა არ აქვს, ექსპერტები რას ფიქრობენ, რა შეფასებები კეთდება, მთავარია, მთავრობა რა ზომებს იღებს და როგორ რეაგირებს, როცა სადმე საფრთხე ჩნდება. ჩვენ არავის უნდა მივცეთ იმის თქმის საფუძველი, რომ ეთნიკურ უმცირესობებს ვერ ვუვლით, მაგრამ არც ისე შეიძლება, უმცირესობები დაიცვა და ამ დროს უმრავლესობას თავზე ჭერი დაამხო...

**— ჯავახეთში ქართული სკოლების ნაკლებობაა. ადგილობრივების მოთხოვნის მიუხედავად, ხელისუფლება ძალიან ნელა მოქმედებს ამ პრობლემების გადასაჭრელად. ეს ყველაფერი ხომ უკვე ქმნის საფუძველს, ეთნიკურმა უმცირესობებმა თავიანთი უფლებების დაცვაზე ისაუბრონ?**

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია, სედრაქიანმა ხომ განაცხადა, ჯავახეთს ავტონომიას მივცემო, მას ვეკითხები: თუ ის ასეთი დემოკრატია, სომხეთში, აპარანის რაიონში რომ 70-90 ათასი ქურთი ცხოვრობს, რატომ არ აქვთ არც ქურთული სკოლა, არც უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე, არც რადიო, ტელევიზია და ა.შ.? უფრო მეტიც, **აღწერის დროს სომხებმა იეშმაკეს და ქურთები და იეზიდები ცალ-ცალკე ჩაწერეს. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ რიცხობრივად ნაკლები გამოჩენილიყვნენ უმცირესობები. აი, რა პოლიტიკას ატარებენ ისინი თავიანთ ქვეყანაში.** ასე რომ, პატივცემულმა სედრაქიანმა ჯერ საკუთარ პრობლემებს მიხედოს და შემდეგ ილაპარაკოს სხვების ავკარგზე.

**— ადრე სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებაზეც იყო საუბარი.**

— სად, რომელ ქვეყანაში ხდება ასეთი რამ, ერთი ანალოგი გვაჩვენონ. ხომ მთელ მსოფლიოში ჰყავთ დიასპორები, სადმე, როდესმე დაუყენებიათ ეს საკითხი?! საფრანგეთში ათეულათასობით სომეხი ცხოვრობს, რატომ იქაც არ ითხოვენ ავტონომიას?! ან კიდევ: ჩვენი საპატრიარქოს მიმართ რომ აქვთ პრეტენზიები, დაგვაფინანსოსო, მაშინ დააფინანსოს ეჩმიაძინმაც იმავე ქურთების სალოცავი, მათი კულტურული ღონისძიებები...

**— თქვენ დასაწყისში თქვით, რომ სედრაქიანის კატეგორიის ადამიანი თუ მოვა მეზობელი სომხეთის სათავეში, ჩვენი ურთიერთობისთვის ეს კატასტროფა იქნება. წამით წარმოვიდგინოთ, რომ ის პრეზიდენტი გახდა, როგორ წარიმართება ჩვენი შემდგომი ურთიერთობები?**

— ეს ზღაპარია. სერდაქიანი ვერ გახდება პრეზიდენტი, მაგრამ, თუ კი მაინცდამაინც დავუშვებთ ამ ალბათობას, ეს რა უბედურებაც ჩვენთვის იქნება, ათი იმდენი უბედურება იქნება სომხებისთვის. მე ნამდვილად არ ვუსურვებ მეზობელ სახელმწიფოს ამგვარ განსაცდელს. საერთოდ, სომხურ პოლიტიკურ რეალობაში ერთი-ორი სედრაქიანი ყოველთვის იყო, მაგრამ მათ, ალბათ, უსასრულოდ მოუწევთ ლოდინი, სანამ მათი აღზევების დრო მოვა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გაკრეფილები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტერმინისაგან „რეჟიმის გასამართლება“ ყველა პოლიტიკოსმა თავი უნდა შეიკავოს...რეჟიმის გასამართლება უმართებულო იქნებოდა და მე ამას ბიძინა ივანიშვილის განცხადებებში, მისი გარემოცვისგან განსხვავებით, ვგრძნობ. ასეთი განცხადებები უფრო ბოლმას ემსახურება, ვიდრე პოლიტიკას.**

# ბაჩუკი ქარდავა: რუსეთთან რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევას ზურაბ აბაშიძე ვერ მოახერხებს

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბევრი პოლიტიკური პარტია არენიდან გაიკრიფა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი მათგანი დიდად არც არჩევნებამდე ჩანდა, უფრო მეტიც, როდესაც რიგითი ამომრჩეველი იგებდა, რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობდნენ, ხშირ შემთხვევაში ლიდერის ვინაობას კითხულობდნენ. ამის მიუხედავად და იმისაც, რომ როგორი პოპულარულიც არ უნდა ყოფილიყავი, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“ ყველა „გადაყლაპა“ და პოლიტიკური სივრცის სრული პოლარიზება მოხდა, რაც ჩვენზე ადრე ევროპელებმა შეამჩნიეს. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა მაინც გადაწყვიტა. გადაწყვიტა და ბევრმა მათგანმა პოლიტიკური კარიერა, სავარაუდოდ, დაასრულა კიდეც. რუბრიკა „გაკრეფილებიც“, რომლის სტუმარი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავაა, სწორედ ასეთი პარტიებისთვის იქნა მოფიქრებული.**



**— ბატონო ბაჩუკი, ჩაიარა თუ არა თქვენმა მატარებელმა-თქო, მინდოდა მეკითხა, მაგრამ, მგონი, თქვენმა მატარებელმა, ახლა კი არა, დიდი ხანია ჩაიარა......**

— წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ხალხთან შეხვედრისას ერთ ამბავს ვიხსენებდი: 2003 წელს სააკაშვილმა თქვა: ჩვენი მატარებელი დაიძრა, ვინც მოასწრებს, ჩაჯდებაო. მაშინ იმ მატარებელში ხიდაშელი, უსუფაშვილი, ძიძიგური, დავითაშვილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ივანიშვილიც კი ისხდნენ და, თუ თქვენ ამ მატარებელს გულისხმობთ, მაშინ ჩაიარა, მაგრამ, თუ ისეთ პარტიას, როგორიც ჩვენია (იდეოლოგიაზე აგებული, რომელიც მხოლოდ არჩევნებისთვის არ არის შექმნილი და უფრო შორსმჭვრეტელი მიზნები აქვს), მაშინ ეს მატარებელი ჩავლილი ვერ იქნება, რადგან ის მე-20 საუკუნის დასაწყისში, ილია ჭავჭავაძის დროს დაიძრა და დღემდე მოძრაობს. **ის, რომ საქართველოში ვერ დადგა დრო ეროვნული თვითშეგნების, რომ საზოგადოებაში ყველაზე წინ სახელმწიფოებრივი ინტერესი იდგეს და არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესები, ეს მარტო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრობლემა არაა, ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა.** თუ საკითხს ასე მივუდგებით, მაშინ ჩვენს მატარებელს კი არ ჩაუვლია, არც ჩამომდგარა და ამისთვის ჩვენ კიდევ ვიბრძვით.

**— ხალხი ასე არ ფიქრობს. თქვენ, მგონი, სულ ისხედით ხელისუფლების მატარებელში. ერთადერთი ის პერიოდი მახსოვს, როდესაც გია ჭანტურია ზვიად გამსახურდიას ოპოზიციაში იყო, თორემ სხვა დროს სულ ხელისუფლების სატელიტები იყავით. მახსენდება ირინა სარიშვილი შევარდნაძეს როგორ უხმოვანებდა ჩანაფიქრებს, როგორ აწია ბარიერი შვიდ პროცენტამდე და ყველანაირი ბარიერის მიღმა დარჩა. მას შემდეგ ასე მოდიხართ. თქვენ საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებთ, მაგრამ ხალხი თქვენსა და ხელისუფლებას შორის სხვაობას ვერ ხედავს.**

— მოხარული ვიქნებოდი, რომ ნამდვილად ვყოფილიყავით ხელისუფლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ყველა ხელისუფლებას და საერთოდ პოლიტიკოსებს აქვთ ასეთი თვისება, რომ ოპოზიციის შავ პიარზე იმუშაონ მაშინ, როდესაც ხელისუფლების რეიტინგი ძალიან დაბალია, არასასურველ კონკურენტს მის სატელიტობას აკერებენ. ხელისუფლების მხარდამჭერი რომ ვყოფილიყავი, მაშინ ვიქნებოდი ხელისუფლებაში და არ მერქმეოდა სატელიტი.

**— თქვენსა და ხელისუფლებას შორის რა განსხვავება იყო?! თქვენ მომხრე იყავით მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის, ასევე იმ უდღეური ეკონომიკის, რომელსაც აწარმოებდა და ა. შ.**

— ვერ დაგეთანხმებით. ჩვენ რადიკალურად განსხვავებული შეხედულება გვქონდა შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც შეეხება ეკონომიკას, დღევანდელი ხელისუფლების ხედვები, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ტარიფების ხელოვნურად დაწევა იგეგმება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხედვები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლების სატელიტობასაც არ დაგვაბრალებენ, მაგრამ ვიცი, ეს მაშინ მოხდება, როდესაც ივანიშვილის რეიტინგი ისეთივე გახდება, როგორიც სააკაშვილის იყო ბოლო პერიოდში.

**— იმ ნაწილში, რომელშიც ხელისუფლებას არ ეთანხმებოდით, ოპონირებას არ უწევდით...**

— ჩვენ მას ოპონირებას ვუწევდით იმაში, რომ მთელი ეკონომიკა რუსეთს არ უნდა ჩაბარებოდა, **ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველები, ვინც მათ საპარლამენტო ტრიბუნიდან უთხრა, რომ ქვეყანაში ელიტარული კორუფციაა,** თუმცა ამას კუდი გამოაბეს და გურამ ჩახვაძეს ტონი დაუწუნეს.

**— ბევრი პარტია თავს ოპოზიციონერობაზე დებდა, მაგრამ არჩევნებმა თითქმის ყველა გააშიშვლა. თუ ასე ხედავდით ხელისუფლების ნაკლსა და შეცდომებს, რატომ მიიღეთ ასეთ პოლარიზებულ ვითარებაში არჩევნებში მონაწილეობა? თქვენ არ ჩანდით არც ერთ რეიტინგში, არც ერთ გამოკითხვაში. ჩნდება ეჭვი: ხომ არ „გაუპრავეთ“ ხელისუფლებას არჩევნები?**

— პარტია ან არის იატაკქვეშეთში, ან ღიად მუშაობს, სამუშაოდ კი ყველაზე კარგი შანსია არჩევნებში მონაწილეობის მიღება. პარტია, რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობს, მართლაც „გაკრეფილი“ და მკვდარია. ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნებშიც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. **ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი კანდიდატი მაინცდამაინც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან იქნება, მაგრამ ჩვენ ჩვენი კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში გვეყოლება.**

**— ქვეყანაში დაპატიმრებები დაიწყო, იძიებენ და იკვლევენ ყველაფერს, ცოტა არ იყოს, ამან ხალხის გაღიზიანება უკვე გამოიწვია, საუბარი დაიწყეს იმაზეც, რომ არა კონკრეტული პირები, არამედ სააკაშვილის რეჟიმი გასამართლდეს. ამასთან დაკავშირებით თქვენ რას ფიქრობთ?**

— ქვეყანაში დაპატიმრებები და გაშვებები დაიწყო და არა მარტო დაპატიმრებები. ტერმინისაგან „რეჟიმის გასამართლება“ ყველა პოლიტიკოსმა თავი უნდა შეიკავოს, ამ სიტყვების შემდეგ შესაძლებელია ისევ თქვან, რომ სატელიტი ვარ, მაგრამ **ის, რაც ხდება ქვეყანაში, არ შეიძლება. უპრეცენდენტო რამ მოხდა — ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა, არჩევნების შემდეგ კი ყველა და ყველაფერი ნადგურდება და ისტორია იწყება იმ ხელისუფლებიდან, რომელიც მოვიდა, ეს ძალიან ცუდია.** რეჟიმის გასამართლება უმართებულო იქნებოდა და მე ამას ბიძინა ივანიშვილის განცხადებებში, მისი გარემოცვისგან განსხვავებით, ვგრძნობ. ასეთი განცხადებები ბოლმას ემსახურება, ვიდრე პოლიტიკას.

**— თქვენ ერთ-ერთი იმ პოლიტიკოსთაგანი ხართ, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, წორედ ისე, როგორც სააკაშვილი. ამ ნაწილშიც შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მისი პოლიტიკის გამტარებელი იყავით.**

— რატომღაც ისე მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელიც ნატოსკენ, ევროკავშირისკენ, ეროპისა და ამერიკისკენ ისწრაფვოდა და სხვა ყველა განზე დარჩა. არადა, ჩვენ თითქმის პირველები ვიყავით ამ საკითხში. თუნდაც ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში, ვიცოდით, რომ წამგებიანი იყო, მაგრამ მაინც ვამბობდით: „არა — რუსეთს“! ადამიანები კი, რომლებსაც „საყველაფრო“ აქვთ დამთავრებული, ამბობდნენ, ამას იმიტომ ლაპარაკობთ, რომ სააკაშვილს აძლევს ხელს, და არა იმიტომ, რომ მთელი ქვეყნისთვის ასე აჯობებს. ასეთი თანხვედრა გახდა იმის მიზეზი, რომ ჩვენ სატელიტებად და თანამოაზრეებად მოგვიხსენიებდნენ. მინდა გითხრათ, რომ, თუ ეს ყველაფერი ამის გამო ხდებოდა, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პოზიციებს არ შეიცვლის.

**— წლებმა დაგვანახა, რომ სწრაფვა ევროპისა და ამერიკისკენ საქართველოსთვის სასარგებლო არ აღმოჩნდა. ოცი წელიწადია, ერთ ადგილს ვტკეპნით. რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებამ ჩვენს ეკონომიკასაც და პოლიტიკასაც შინ თუ გარეთ ძალიან დაარტყა, ახლა ურთიერთობების დარეგულირებას ცდილობენ, ეს ხალხის, ერის ნებაც აღმოჩნდა...**

— **ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე კი არ უნდა იზრუნოს, არამედ რუსეთისგან რაც შეიძლება შორს უნდა დაიჭიროს თავი და ისწრაფვოს დასავლეთისკენ. დღევანდელი რუსეთის ამბიციებს თუ გავითვალისწინებთ, წარმოუდგენელია, სუვერენიტეტი შევინარჩუნოთ. რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები იმდენად დიდია, რომ ამას ძალიან უშლის ხელს საქართველოს სუვერენიტეტი.**

**— სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, ჩვენ სუვერენიტეტი არ გვაქვს...**

— მართალი ხართ. სწორედ ამ ნაწილში არ ვეთანხმებოდით ხელისუფლებას — ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი სუვერენიტეტი, არ გვქონდა ნამდვილი დემოკრატია და შესაბამისად, ვერაფერს მივაღწიეთ. ნატოს კარზე კარგად რომ ვერ აკაკუნებდნენ, ნამდვილი მიზეზი ეგ არ იყო იმისა, რომ ნატოში ვერ შევედით, უბრალოდ, მათ ვერ შეძლეს დემოკრატიული ნაბიჯების გადადგმა. ნატოს კარი ჩვენთვის იმ წამსვე გაიღება, როდესაც ჩვენ გავხდებით დემოკრატიული ქვეყანა. ქვეყანა, რომელშიც არჩევნების გზით იცვლება ხელისუფლება, ქვეყანა, რომელშიც ყოფილ მაღალჩინოსნებს არ აპატიმრებენ. **სანამ ჩვენ დამოუკიდებელი სასამართლო არ გვექნება, არ გვექნება ლიბერალური ეკონომიკა, ნატოს წევრები ვერ გავხდებით.**

**— და მაინც, რომ მოგვარდეს ჩვენსა და რუსეთს შორის ურთიერთობა?**

— თუ ჩვენ ვიტყვით უარს ყარსი-ახალქალაქზე, მაგისტრალებზე, რომლებიც დასავლეთის ინტერესებში შედის, მაშინ ეს, ალბათ, შესაძლებელია.

**— ყველა ქართველის ოცნება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა...**

— ყველა ქართველის ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტია. მთავარია იდეა, რომელიც ერს აქვს, ეს არის ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლება ტერიტორიებთან ერთად და ეს არ იცვლება არც მანდარინში, არც ჩაიში და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მიწაში... რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ილუზიაა და თავს ვიტყუებთ, რადგან მაინც ნატოსკენ მივისწრაფვით.

## «ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი სუვერენიტეტი, არ გვქონდა ნამდვილი დემოკრატია და შესაბამისად, ვერაფერს მივაღწიეთ»

**— სუვერენიტეტსა და თავისუფლებას ამდენი წლებია ვერ ვეღირსეთ, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მთელი ერის სურვილი ყოფილა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, რადგან სწორედ ამან განაპირობა ივანიშვილის გამარჯვება.**

— მე არ მგონია, რომ ეს ქართველი ერის ნება ყოფილიყო. ერი სხვაა, ხალხი სხვაა, მასა სხვაა. იმედია, ახლა ფილოსოფიაზე არ დავიწყებთ საუბარს. ერი ყოველთვის დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვის, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე ხალხს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდა. ეს მოსაზრებები მთელი ამ წლების განმავლობაში ყველა არჩევნების წინ სხვადასხვაგვარი იყო. ვფიქრობ, რომ ერის სურვილი უცვლელია და, თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა ხრიკს რაღაც ფორმით იყენებს, მათი პრობლემაა.

**— ხალხს უჭირს და გამოსავალი არ არის, საქართველო ჩიხშია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში „ნაცმოძრაობის“ ხელში ჩავცვივდით, რუსეთისკენ ყველა ვიწრო და უმნიშვნელო გასასვლელიც კი ჩაიკეტა და ამან მოსახლეობა ძალიან აღაშფოთა. ხომ არ არის ჩვენი სვლა ევროპისკენ მცდარი გეზი?!**

— ანუ ხომ არ არის მცდარი ჩვენი დამოუკიდებლობა?!

**— ჩვენ ვერ გავხდით დამოუკიდებლები და ამის პერსპექტივაც არ ჩანს.**

— ებრაელი ერი მოსემ უდაბნოში ორმოცი წელი ატარა, ჩვენ ძალიან მალე ვიღლებით. რატომ ეგონა ვინმეს, რომ, როცა ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის ვიწყებდით, ეს გზა ვარდებით მოფენილი იქნებოდა. ეს ხომ ბრძოლაა, რომლისთვისაც სისხლია გაღებული და კიდევ ბევრი იქნება გასაკეთებელი, რათა ქართული სახელმწიფო (ტერიტორიების დაბრუნებასთან ერთად) რეალურად დამოუკიდებელი და ძლიერი გახდეს.

**— ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას არ ეთანხმებით?**

— მე მათი პოლიტიკური ხედვები ჯერ არ ვიცი. ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ, ჩვენგან განსხვავებით, განაცხადა, რომ ტაიმაუტი აიღეს. ჩვენ, უბრალოდ, განცხადებებისგან თავს ვიკავებთ, რადგან ზუსტად გვინდა გავიგოთ, რა პოლიტიკურ კურსს ირჩევს „ქართული ოცნება“ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, როლები შეიცვალა. მაშინ ოპოზიციური ველი სრულად ჰქონდა მონოპოლიზებული „ქართულ ოცნებას“ და ხელისუფლება კი — „ნაცმოძრაობას“, ახლა კი პირიქით არის. პოლიტიკური სივრცე არ გახსნილა.

არჩევნებამდე „ოცნებისა“ და ჩვენი გზები თანხვედრი არ იყო, მაგრამ, არ ვიცი, ახლა რა იქნება, რადგან, როდესაც ოპოზიციაში ხარ, გაქვს იმის ფუფუნება, რომ ისაუბრო იმაზე, რაც ხალხს მოსწონს, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნისას ამას ველარ გააკეთებ.

ახალმა ხელისუფლებამ ბატონი ზურაბ აბაშიძის დანიშვნით კარგი საქმე გააკეთა. მე მას უაღრესად დიდ პატივს ვცემ. მან იცის, საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, საქართველოს რა სჭირდება და მიხარია, რომ სწორედ ის აწარმოებს მოლაპარაკებებს, თუმცა **მგონია, რომ რუსეთთან რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევას ზურაბ აბაშიძე ვერ მოახერხებს, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ილუზიაა და თავს ვიტყუებთ, რადგან მაინც ნატოსკენ მივისწრაფვით.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„43 წლის ასაკში დამითხოვეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტელეეთერიდან, „პენსიაში გამიშვეს“. ძალიან გულსატკენი იყო ჩემთვის, რომ იმ ხელისუფლების გავლენით ზოგიერთი ჩემი კოლეგა აქტიურად შეეცადა ჩემი სახელის წაშლას მედიასივრციდან.“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლუბა ელიაშვილი: სააკაშვილს უნდოდა, რომ საერთოდ არ არსებულიყო მისგან გაუკონტროლებელი პრესა

**ლუბა ელიაშვილს, „TV-9“-ის დირექტორს, ქართული საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც თავისუფალი და მართალი ჟურნალისტიკისთვის მებრძოლ პროფესიონალს, შეუპოვარ ადამიანს. უფრო აღმატებულსაც.**
**მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სწორედ თავისუფალი ჟურნალისტიკის წინააღმდეგ „დიდი თურქობის“ განხორციელება მიხეილ სააკაშვილმა გაპრეზიდენტობამდე გაცილებით ადრე მაინც და მაინც ლუბა ელიაშვილის საავტორო პროგრამის წინააღმდეგ დაიწყო ტელეარხ „იბერიაში“, რაც ტელეექზეკუციის „პირველი გაელვება“ იყო.**

— სააკაშვილს უნდოდა, საერთოდ არ არსებულიყო მისგან გაუკონტროლებელი პრესა, — **კვერს მიკრავს ქალბატონი ლუბა.**

— პირველი კონფლიქტი „ახალგაზრდა რეფორმატორებთან“, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა, 1999 წელს მომიხდა. მაშინ პირველ „იბერიაში“ ვმუშაობდი. 26 მარტს მიხეილ სააკაშვილი ჩემთან ეთერში სტუმრად იყო.

**— ახალგაზრდა მიხეილი „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციას ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტში.**

— დიახ. ძალიან დამფრთხალი და შეწუხებული ჩანდა. მაშინ ძალიან გახმაურებული იყო „ჯეოსელთან“ დაკავშირებული კონფლიქტი თურქულ და ქართულ მხარეებს შორის. სააკაშვილი და მისი მეგობარი ოქრუაშვილი, თურქული კომპანიის ადვოკატი, ძალიან არ სწყალობდნენ ქართულ მხარეს. ეს დავა იმით დამთავრდა, რომ ქართველების 60-პროცენტიანი წილი 6 პროცენტამდე შემცირდა, რაშიც მაშინდელ „მიუკერძოებელ“ სასამართლოს დიდი წვლილი მიუძღვის. ამ თემას მიეძღვნა ჩემი გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ დავით ბერძენიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

**— პირდაპირი ეთერი იყო?**

— დიახ, პირდაპირი. გადაცემა რომ დამთავრდა, სააკაშვილი თავაუღებლად დირექტორთან — კახაბერ გაგლოშვილთან შევიდა და... იმანაც დამიძახა და „აცრემლებულმა“ მითხრა, იქნებ, შვებულებაში გახვიდეო. გამეცინა და ვუპასუხე, ეს ისეთი შვებულებაა, რომლის შემდეგ სამსახურში არ ბრუნდებიან-მეთქი.

„იბერია“ 1997 წლიდან 1999 წლამდე „რუსთავი 2“-ის ერთადერთი კონკურენტი იყო, მიუხედავად განსხვავებული პირობებისა, რომლებშიც ეს ორი მაუწყებელი იმყოფებოდა: „რუსთავი 2“-ზე საქართველოში შემოსული მედიაგრანტების 90 პროცენტი მოდიოდა.

ჩემთან ერთად არხიდან წამოვიდნენ ნინო ჟიჟილაშვილი, რეზო ჭიჭინაძე, ინა ცერცვაძე — რეჟისორი, მანანა მენთეშაშვილი, ბევრნი.

დარჩნენ ზალიკო უდუმაშვილი, დიანა ჯოჯუა, ზოგიერთი სხვაც.

ჩვენი წამოსვლის შემდეგ არხი დაიხურა.

2000 წელს ხელახლა გაიყიდა. ახალმა მფლობელმა კვლავ მიმიწვია, მაგრამ 2004-ის დასაწყისში იგივე ბიჭები უკვე ავტომატებით ხელში შემოვარდნენ „იბერიაში“.

ეს ყველაფერი „აღარ ახსოვთ“ „მედიაექსპერტებს“ და „თეორეტიკოსებს“, კოლეგებსაც, სამწუხაროდ.

2004-ში კვლავ დამიხურეს ტელეკომპანია. **ჩემი ჟურნალისტიკიდან წასვლა ხელისუფლების რომელიღაც გავლენიანი რგოლის ნება, მისი მძიმე და ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგი იყო ყოველთვის.**

**— ავტომატიანების თქვენთან შემოვარდნა იყო რეპეტიცია ავტომატიანი ნიღბოსნების შევარდნისა „იმედში“?**

— „იმედში“ ავტომატიანი სპეცრაზმელები რეზინის ტყვიებით შევარდნენ. ჩვენ შემთხვევაში შსს-ს და უშიშროებას ჯერ არ ჰქონდა ნაყიდი რეზინის ტყვიები. საბრძოლო ტყვიები ედოთ მჭიდებში.

რაც „იმედში“ მოხდა, ჩემთვის უცხო და მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ყველაფერი აქეთ მიდიოდა. ხელისუფლების აგრესიულობა აშკარა იყო.

სწორედ ამ დროს ითქვა, რომ მე ვარ უმართავი და ამიტომ არ შეიძლება ვმუშაობდე რომელიმე მედიასაშუალებაში.

**— სად იყო ნათქვამი, თუ საიდუმლო არ არის?**

— პირველი არხის ხელმძღვანელობასთან, ჩემი კოლეგების თანდასწრებით.

**— ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ?**

— ჰო. ასე ვიცი. დღეს, რა თქმა უნდა, ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ძალიან ბევრმა მითხრა მაშინ, რომ სწორედ ასე ითქვა.

აკრძალვის დონეები ზუსტად ჰქონდათ დაწესებული. მაგალითად, ეკა ხოფერიას არ აძლევდნენ პირდაპირ ეთერს. ჩემი გამოჩენა კი საერთოდ შეიძლებოდა.

ჩემი მეგობრის, აქუს — დავით აქუბარდიას, ტელევიზიის კარი იყო ჩემთვის ღია. ეს იყო და ეს.

**— შემდეგ დაიწყეთ პედაგოგიური საქმიანობა — ჟურნალისტიკის საფუძვლებს აზიარებდით ახალგაზრდებს... რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე, პირდაპირ ვიტყვი, აღდგა ქალბატონი ლუბა თავდაპირველ ჰიპოსტასში.**

**დემოკრატიის გამონათებასავით გამოჩნდა შარშან „ინფო-9“, „მეცხრე არხი“ და, რა თქმა უნდა, „მაესტრო“...**

— პედაგოგობის პერიოდში ჩემი სტუდენტების ძალებით გადავიღეთ ფილმი არჩევნების შესახებ, იმ არნახული დარღვევების შესახებ, რომლებსაც მაშინ ჰქონდა ადგილი.

**— საზოგადოებრივ აზრს ყურადღებიდან არ გამორჩენია ეს ფაქტი.**

— „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მაშინდელმა უფროსმა ნინა ხატისკაცმა თავისი ინიციატივით ათარგმნინა, დატიტრეს და დაგვეხმარნენ მის გავრცელებაში.

ამანაც გარკვეულად შეუწყო ხელი იმ შიშის დაძლევას, რომელიც მაშინ ხალხში იყო გამჯდარი.

**— ჟურნალისტების დიდ ნაწილშიც.**

— სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ტელესივრცეში პრინციპები შეიცვალა. ფასი დაედო გაჩუმებას...

**— სახელმწიფო აპარატში ჩვენი კოლეგების გადასვლაც აქტიურად დაიწყო.**

— არა მარტო აპარატში: დარბეული „იმედიდან“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაკონტროლებულ ტელეკომპანიებში მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე გადასვლაც. სიამოვნებით მიიღეს ხელისუფლების შეთავაზება ჟურნალისტების მიერ აღებული კრედიტების დაფარვის თაობაზე და ა. შ.

**— გავიყიდეთ?**

— ყველა არა. ჩემმა პედაგოგიურმა საქმიანობამ დამარწმუნა, რომ ახალგაზრდა თაობას, რომელიც მოდის (ზოგიერთი ჩემი სტუდენტი დღეს ჩემ გვერდით მუშაობს), არაფრის ეშინია, მზად არის, დაიცვას ჩვენი პროფესიის, საკუთარი და, შესაბამისად, ქვეყნის ღირსებაც. მათ კარგად იციან, თუ რით და როგორ უნდა დაამახსოვრონ თავი საზოგადოებას, რით და როგორ შეაყვარონ თავი ხალხს — მაყურებელს, მსმენელს, მკითხველს.

და რა იოლია ამ პატივისცემის დაკარგვა.

გახსოვთ, ალბათ, ნანუკა ჟორჟოლიანმა რომ დაპატიჟა ინგა გრიგოლია ეგვიპტეში გასასეირნებლად და ამაზე ცალკე გადაცემა გაკეთდა.

**— „თრიაქით მთვრალი“ მანდილოსნები.**

— საშინელი აგრესია წამოვიდა მაშინ ინგას მიმართ ხალხისგან: თავისი სიყვარული ვერ აპატია საზოგადოებამ ინგას, ძალიან რომ უყვარდა, იმიტომ. კოდუას ცოლის არნახულად ძვირ გადაცემაში ნებივრობამ აბსოლუტურად წაშალა ხალხზე, სამართლიანობაზე მზრუნველი ჟურნალისტის მისეული იმიჯი. სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი მოკლე და დაუფიქრებელი ნაბიჯია მხოლოდ...

43 წლის ასაკში დამითხოვეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტელეეთერიდან, „პენსიაში გამიშვეს“. ძალიან გულსატკენი იყო ჩემთვის, რომ იმ ხელისუფლების გავლენით ზოგიერთი ჩემი კოლეგა აქტიურად შეეცადა ჩემი სახელის წაშლას მედიასივრციდან.

რას ნიშნავს უმუშევრად, საარსებო სახსრების გარეშე არსებობა 9 წლის განმავლობაში გამოვცადეთ მე და ჩემმა მეუღლემ — შალვა შავგულიძემ, ადვოკატმა, რომლის შესაძლო კლიენტებს წინასწარ ეუბნებოდნენ, აიყვანეთ ამ კაცს დამცველად და საქმეს აუცილებლად წააგებთო.

**— ასე თანდათან მივადექით იმ რეალობას, რომელშიც ლუბა ელიაშვილი „TV-9“-ის დირექტორია. იწყება „მეცხრე არხის“ ახალი ცხოვრება. როგორად გესახებათ იგი?**

**ერთსაც გკითხავთ, მართალია თუ არა, რომ ერთ-ერთი აქაური ყოფილი ხელმძღვანელის ხელფასით ოცზე მეტი ახალი თანამშრომლის მიღება შეძელით?**

— ყოველ შემთხვევაში, დილის გადაცემა დავაკომპლექტეთ...

**— ახალი სახეები უკვე გამოჩნდნენ დილის პროგრამაში. ახალგაზრდებს აშკარად ეტყობათ, რომ პატივისცემა აქვთ ტელემაყურებლების.**

— პირველი, რაც მათ ვუთხარი, სწორედ ეს იყო.

ეთერი არის მაყურებლის, უპირველეს ყოვლისა, და ეს იციან ახალგაზრდებმა, რომლებიც მივიღეთ. შეიძლება ზოგჯერ რაღაც შეეშალოთ და ეშლებათ კიდეც, მაგრამ მაყურებელი მიუტევებს... გარდა იმ ერთი პატარა ჯგუფისა, რომელიც ჩასაფრებული უყურებს ჩვენს ეთერს.

**«ეთერი არის მაყურებლის, უპირველეს ყოვლისა, და ეს იციან ახალგაზრდებმა, რომლებიც მივიღეთ. შეიძლება ზოგჯერ რაღაც შეეშალოთ და ეშლებათ კიდეც, მაგრამ მაყურებელი მიუტევებს... გარდა იმ ერთი პატარა ჯგუფისა, რომელიც ჩასაფრებული უყურებს ჩვენს ეთერს»**

ჩვენი წამყვანები არ ამადლიან მაყურებლებს, რომ ეთერში მუშაობენ. გამოცდილება კი მოვა. მე ყოველთვის ვაძლევდი შანსს „ქუჩიდან მოსულ“ ადამიანებს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

არ მესმის, რას ნიშნავს პროფესიონალების დაყოფა ძველ და ახალ სახეებად, „შევარდნაძის ტიპებად“, რომელთა ახლოს გაკარებაც აკრძალულია...

**— პოლიტპატიმრებივით არიან — მისჯილი აქვთ აკრძალვა.**

— ნიჭიერები და პროფესიონალები მალევე ბრუნდებიან იმავე სივრცეში. ასე უნდა იყოს. ამის გათვალისწინებით, საქართველოში კადრების დიდი რესურსი არსებობს.

**— თუმცა გამოუყენებელია.**

— ძალიან დიდი რესურსია ახალგაზრდებისაც, რომლებსაც უმაღლესი ჟურნალისტური განათლება აქვთ მიღებული.

**— როგორც ვხვდები, „მეცხრე არხის“ ხელმძღვანელი ლუბა ელიაშვილი პირველ სიახლედ ახალი კადრების მოზიდვას ცდილობს.**

— არსებული ფინანსური რესურსი რის შესაძლებლობასაც მოგვცემს, ისე.

**— ეკრანზე რა გამოჩნდება?**

— დილის გადაცემა ხომ გამოჩნდა? გამოჩნდა ისიც, რომ დილის 8 საათიდან გადის ახალი ამბები. იმასაც მივაღწიეთ, რომ ღამის 12 საათზეც გადავცემთ ცოცხალ ახალ ამბებს.

„ნიუსი“ რჩება პრიორიტეტად, ხერხემლად, რომელზეც აეწყობა დანარჩენი მაუწყებლობა და რომელსაც ძირითადად უყურებს ტელეაუდიტორია.

ეს არხი რომ აღარ იყოს დოტაციური, მოდით, პირდაპირ ვიტყვი — ზედოტაციური, და ჩაჯდეს ნორმალურ ბიუჯეტში, რომელიმე „თოქშოუს“ ნაცვლად, რომელიც ნაკლებრეიტინგულია, შეიძლება რეიტინგული სერიალი გავუშვათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, არხი არ დაზარალდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის თვალსაზრისით.

ვფიქრობ, დილის გადაცემაში ჩავრთოთ მოკლე რუსული და ინგლისური ლოკალური ახალი ამბები.

ჩემი ოცნებაა ფართო აუდიტორიიანი თოქშოუები და ამას აუცილებლად გავაკეთებთ, განსაკუთრებით, — ადამიანურ თემებზე. ის, რასაც გადაცემა „ასი გრადუსი ცელსიუსი“ გვთავაზობდა, მარაზმად იყო ქცეული, რადგან არაპროფესიული იყო. ღრმა და კარგი განათლება წამყვანისათვის ყველა შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

მინდა, რომ სპორტის სეგმენტიც სერიოზულად დავიკავოთ.

რეგიონებში მაქსიმალურად შევინარჩუნეთ ჩვენი ბიუროები, რადგან იქიდან მოწოდებული ამბები საზოგადოებრივ მაუწყებლად ჩვენი არხის წარმოჩენის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

**— ბოლო შეკითხვა: ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმეჯერ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ არ სურს, „მეცხრე არხი“ ასოცირდებოდეს მის ოჯახთან. მოიხსნა ეს პრობლემა?**

— როგორც ვიცი, გრძელდება გზების ძიება ამ საკითხის გადასაწყვეტად. მართალი გითხრათ, არ შემიწუხებია დამფუძნებელი შეკითხვებით. ჩემი საზრუნავი და ტკივილია ეთერში გასვლა ჩვენი ახალი სტუდიიდან, რომელიც დილომში აშენდა და დიდი რესურსი დაიხარჯა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამონაგები არ ჩანს, ძალიან სწრაფად მინდა, რომ შედეგი მივიღოთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ვუსურვოთ მოჩქარე ქალბატონ ლუბა ელიაშვილს, რომ არ დაუგვიანდეს, რადგან მასთან ერთად ჩვენი საზოგადოებრიობაც მოუთმენლად ელოდება დიდ ბრძოლაგადანახადი „მეცხრე არხის“ ახალ კალაპოტში ჩადგომას.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინდა აქვე შევახსენო ბ-ნ ბიძინას, რომ იგი მაკკეინს, ბაიდენს, ჩეინისა და მათ მსგავსთ არ აურჩევია, იგი აირჩია სრულიად საქართველომ, რომელმაც მას — ივანიშვილს დაუკვეთა, პირველ რიგში სამართალი და სამართლიანი წეს-წყობილება დაამკვიდროს ქვეყანაში!**



## გივი ბერძენიშვილი:

# ავლაბრის რეზიდენცია მავზოლეუმი არაა, რომ იქ სააკაშვილის პოლიტიკური გვამი ბიუჯეტის ხარჯზე ინახებოდეს!

**ამა წლის 5 იანვარს საქართველოს მოსახლეობის აშკარა უმრავლესობა ამაოდ ელოდა სასწაულს, კერძოდ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ მისი თანამდებობრივი ხუთწლიანი უფლებამოსილება ამოიწურა, იხსნის რწმუნებას, ნიშნავს მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებს და დამშვიდობებისას გაიმეორებდა თავისი წინამორბედის, მასწავლებლისა და ნათლიმამის ფრაზას: „წავედი სახლში!“, მაგრამ მიშამ „ნურას უკაცრავადო“ ბრძანა და საზოგადოებას, ბოდიში და, ბრაწი უჩვენა!..**



**— რატომ არ წავიდა სააკაშვილი?** — ამ კითხვით მივმართე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მწერალს, სტალინის ეპოქის გამოჩენილ მკვლევარს, ორი აკადემიის (სამხედრო და ტექნიკური) აკადემიკოსს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს — **გივი ბერძენიშვილს.**

— ცნობილია, რომ 2008 წლის იანვარში გაყალბებული არჩევნებით მოსულმა სააკაშვილმა თავის „ჯიბის პარლამენტს“ უბრძანა, კონსტიტუციის იმ პუნქტისათვის, რომელშიც ჩაწერილია, პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით, მიეწერა დამატებით: „პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის ოქტომბერშიო“. ამით თვითმარქვია პრეზიდენტმა თვითნებურად, მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, ათი თვით გაიგრძელა უფლებამოსილება, რისი უფლება არც პარლამენტს გააჩნდა და, მითუმეტეს, მას!

**— ამ შემთხვევაში, რასთან გვაქვს საქმე, ბატონო გივი?**

— კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის მთავარი კანონის, უპატივცემულობასთან, მეტიც, კონსტიტუციის მასხრად აგდებასთან! მსგავსი „ნონსენსი“, ალბათ, არ მოიძებნება კაცობრიობის კონსტიტუციური განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში!

**— ბატონო გივი, მოსახლეობაში დაიწყო ხელმოწერები მოთხოვნით: „მიშა წადი!!!“. უკვე შეგროვილია მილიონამდე ხელმოწერა, მაგრამ სააკაშვილი არათუ გადადგა, არამედ თავის მომხრეებს, უფრო ზუსტად, „თანამეინახეებს“ უბრძანა, აქეთ შეეგროვებინათ ხელმოწერები, მოთხოვნით „მიშა არ წახვიდე“. ჩემი ცნობითაც, „ფეისბუქში“ რის ვაივაგლახით მოგროვდა ხუთასამდე „ხელმოწერა“ მისი „თანამეინახეებისა“. მოკლედ, მილიონამდე მოწინააღმდეგე და ხუთასამდე მომხრე ძალთა ძალზე არათანასწორი შეფარდებაა და ისმის კითხვა: რას ელოდება ახალი ხელისუფლება?**

— მართლაც, რა საჭიროა ყოველივე ეს ორომტრიალი „დემოკრატიულ, ცივილიზებულ“ სახელმწიფოში, როცა დღევანდელ პარლამენტს ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე შეუძლია ლეგიტიმურად გადაწყვიტოს ეს საკითხი?!

**— როგორ, ბატონო გივი?!**

— როგორ და, მოიწვიოს სხდომა და გააუქმოს მინაწერი, რომლის მიხედვითაც „პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს 2013 წლის ოქტომბერში“, როგორც ანტიკონსტიტუციური, უკანონო და ქვეყნის მოსახლეობის ნება-სურვილის საწინააღმდეგო! ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის, ვაიპოლიტოლოგის, ვაიკონსტიტუციონალისტის აზრიც (რადგან კონსტიტუციაში შესწორება საპრეზიდენტო არჩევნების ოქტომბერში ჩატარების შესახებ უფრო გვიან არის ჩაწერილი, უპირატესობა მას ენიჭებაო), აბსურდია!

და, აი რატომ:

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მინაწერი მიღებული იქნებოდა მოსახლეობის თანხმობით (რეფერენდუმი და სხვ.), მაშინ პარლამენტს უნდა გაეუქმებინა წინა ჩანაწერი (ხუთწლიანი ვადის შესახებ); მაგრამ, რადგან პარლამენტმა ეს არ გააკეთა და კონსტიტუციაში დატოვა ორი ურთიერთგამომრიცხავი პარაგრაფი, უპირატესობა ეძლევა პირველს, ხოლო მეორე (უფრო გვიანდელი) ითვლება კონსტიტუციურად უკანონოდ და ძალადაკარგულად! ასე რომ, ის მინაწერი, რომელიც, სააკაშვილის ბრძანებით, მისმა „ჯიბის პარლამენტმა“ კონსტიტუციას „მიაკერა“, არის ანტიკონსტიტუციური! ასე რომ, სააკაშვილი 5 იანვრიდან აღარ არის პრეზიდენტი და ამას არ სჭირდება არავითარი „გამიშვი და გაგიშვებ!“.

**— პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ახლახან განაცხადა, რომ „იმპიჩმენტის ან გადადგომის მოთხოვნის გაგება ძალიან უჭირთ დასავლეთშიო“. თქვენი აზრი ამის შესახებ...**

— ეს, მართლაც, სრულიად გაუგებარია ქართული საზოგადოებისთვის! ჯერ ერთი, **ქართული საზოგადოება** არ ითხოვს პრეზიდენტის არც იმპიჩმენტს და არც გადადგომას. იგი **ითხოვს, რომ პრეზიდენტმა, ამოწურა რა თავისი უფლებამოსილება 2013 წლის 5 იანვარს, შეასრულოს კონსტიტუციის მოთხოვნა, მოიხსნას უფლებამოსილება, დანიშნოს ახალი არჩევნები და წავიდეს სახლში, როგორც ეს ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში.** პრეზიდენტს რომ ებრძანებია პარლამენტისთვის, კონსტიტუციაში ჩაეწერა, მომავალი არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში კი არა, 2015 წლის დეკემბერში დანიშნეო, პარლამენტი ყურმოჭრილ მონასავით არ მოიქცეოდა?

მეორეც, საინტერესოა, დასავლეთში რატომ უკვირთ საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა.

რა, იგივე ამერიკელები დაუშვებენ მსგავს ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს! დაუშვებენ იმას, რომ მათმა პრეზიდენტმა ერთი დღით თვითნებურად გაიხანგრძლივოს თავისი უფლებამოსილება?!

ამ საკითხში ბ-ნი პრემიერი, სამწუხაროდ, ცდება. თუ ამერიკის შეერთებული შტატები, მართლაც დემოკრატიული ქვეყანაა, მისი ხალხი, პრეზიდენტი ყველაფერ ამას გაგებით შეხვდება. ისინი არასდროს წავლენ ქართული საზოგადოების, ქართული სახელმწიფოს საზიანო ქმედებებზე! „დემოკრატიის ციტადელმა“, წესით, არ უნდა დაუშალოს „დემოკრატიის შუქურაში“ მცხოვრებ ქართველ ხალხს, ქვეყანაში კონსტიტუციური, სამართლებრივი წესრიგის დამყარება განახორციელოს, პირიქით! ზემოთქმულის გაგება კი ნამდვილად გაუჭირდებათ მაკკეინს, ბაიდენს, ჩეინისა და მათ მსგავსთ, თუ რატომ, ეს, ალბათ, ყველამ იცის.

რაც შეეხება ბ-ნ პრემიერის შეშფოთებას, ნამდვილად უადგილოა! ამერიკელი ხალხი და მისი პრეზიდენტი ვალდებულნი არიან, მხარი სააკაშვილს კი არა, ქართველ ხალხს და მის მიერ დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტს და პრემიერს დაუჭირონ!

**მინდა აქვე შევახსენო ბ-ნ ბიძინას, რომ იგი მაკკეინს, ბაიდენს, ჩეინისა და მათ მსგავსთ არ აურჩევია, იგი აირჩია სრულიად საქართველომ, რომელმაც მას — ივანიშვილს დაუკვეთა, პირველ რიგში სამართალი და სამართლიანი წეს-წყობილება დაამკვიდროს ქვეყანაში!** სრულიად საქართველოს კი უფრო სერიოზული საკითხები აღელვებს:

რატომ გარბის ქვეყნიდან პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვა, ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები: ადეიშვილი, ახალაიები, შაშკინი, ზოდელავა, კუდის, სოდის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და ა. შ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირები თუ მხილებული არიან მძიმე დანაშაულში და „ინტერპოლის“ მიერ იძებნებიან, საინტერესოა, ამ დანაშაულს ისინი ვისი ბრძანებით სჩადიოდნენ? იქნებ, ეს მათი პირადი ინიციატივა და თვითშემოქმედება იყო? ამ საკითხმა არ უნდა დააინტერესოს პარლამენტი?! როგორც ჩანს, არ აინტერესებს!

და, თუ აინტერესებს, რატომ ერთხელ მაინც არ მიიწვია პრეზიდენტი და არ დაუსვა სათანადო შეკითხვები?.. თუ ეს ყველაფერი, რაც საქართველოში მოხდა, ქვეყნის პირველ პირს არ ეხება?!

როგორც ცნობილი გახდა, **ირაკლი ოქრუაშვილმა თავის ადვოკატთან საუბრისას ასეთი რამ განაცხადა: „დამირეკეს, ჟვანია გარდაიცვალაო. მაშინვე იქეთ გავემართე. ჟვანია იატაკზე მკვდარი იწვა, იქვე თავზეხელებშემოწყობილი სააკაშვილი იჯდა. ვიფიქრე, განიცდისთქო. ცოტა ხანში ის წამოდგა და თქვა: ძლივს არ მოვიცილეთ ეს ჭირიო!“.**

საკითხავია, ოქრუაშვილის ამ განცხადების მერე და მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ თვითმხილველები, მოწმეები იმისა, რომ საბურთალოს ქუჩაზე ცნობილ ბინაში ორი ცხედარი მიიტანეს, **ვალდებული იყო თუ არა მთავარი პროკურორი, ბ-ნი კბილაშვილი დაკითხვაზე მიეწვია პრეზიდენტი სააკაშვილი?!**

ან კიდევ: **რატომ არ ინტერესდება პროკურატურა პრეზიდენტის თვითალიარებით — აფრასიძეების ოჯახის ტრაგედიით, რომლის შესახებაც სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მან პირადად გასცა ბრძანება, დაებომბათ აფრასიძეების ადგილსამყოფელი და ამოეჟუჟათ ისინი?!**

ან კიდევ: პროკურატურა როცა აცხადებს, რომ გენერალ თეთრაძის, გენერალ კრიალაშვილის წამებით სიკვდილის საქმე გახსნილიაო, **რატომ არ ასაჯაროებს უშუალო დამკვეთისა და შემსრულებლების ვინაობებს?!**

ან კიდევ: **რატომ აქამდე არ გამოაქვს დღის სინათლეზე აკადემიკოს შარაძის ქალაქის ცენტრში, ქუჩაში, დღისით-მზისით დახვრეტის საქმე,** მას შემდეგ, რაც მკვლელობაში ბრალდებულმა ბარათელმა მთავრობის შეცვლის შემდეგ აღიარა, რომ მას ეს მკვლელობა არ ჩაუდენია, ხოლო მოკლულის ქალიშვილი ამტკიცებს, როგორც შვეიცარიაში ყოფნისას (სადაც იგი ემიგრაციაში იმყოფებოდა), ასევე საქართველოშიც, რომ მამამისი პრეზიდენტის ბრძანებით დახვრიტეს.

უამრავი უმძიმესი დანაშაულია გამოსაძიებელი და გასახსნელი, პოლიცია კი გუნავას ნარკოტიკის ბრალდებით აპატიმრებს! გუნავასათვის მართლაც რომ აღმოეჩინათ კილოგრამობით ნარკოტიკი, ამ მიზეზით აზრიან პოლიციას იგი არ უნდა დაეჭირა... თუ რატომ, ეს, ალბათ, განმარტებას არ საჭიროებს.

ამ დღეებში მასმედიაში გაჟღერდა ფრიად საინტერესო ამბავი. ფინანსთა მინისტრს, ბ-ნ ხადურს, ორი თვის მანძილზე საუკეთესო მუშაობისთვის პრემიის სახით გამოუწერია 7000 ლარი (ასე გამოაცხადეს ტელევიზორში). თუ ეს მართალია, რა ხდება?! ეს მთავრობაც იმავე დანაშაულს სჩადის, რასაც წინა, როცა ბარამიძემ თავისი მინისტრობის დროს ერთ წელიწადში 45 000 ლარი პრემია გამოიწერა „კარგი მუშაობისთვის“?!

იმავეს სჩადიოდნენ გუბერნატორი გოროზია, აბსოლუტურად ყველა მინისტრი და თანამდებობის პირი!

როგორც შემდგომ, პრესაში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გააჟღერა, თითქმის ყველა მათგანმა განაცხადა, რომ ხელფასი არ ჰყოფნის და... ამიტომო?

მინისტრს, რომელსაც 3500 ლარი აქვს ხელფასი, ბიუჯეტიდან კიდევ ერთ იმდენს იპარავს (თუ რაც ჰქვია მათ დანაშაულებრივ საქციელს), მაშინ, როცა მასწავლებლს, ექიმს, პროფესორს, აკადემიკოსს 200-400 ლარი აქვს ხელფასი და ზოგჯერ მასაც თვეობით ვერ იღებს; როცა ტყიბულის მეშახტეს თვეში 350-400 ლარს უხდიან და ისიც თვეობით ელოდება ხელფასს, ისმის კითხვა, როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ან საერთოდ, ამას, სადაც ვცხოვრობთ, სახელმწიფო ჰქვია? იქნებ, ჯუნგლებში ვცხოვრობთ?

საბჭოთა საქართველოში, რომელსაც ზოგიერთი ტელეწამყვანი მუდმივად ამასხარავებს, მინისტრს ხელფასი ჰქონდა 350 მანეთი და არავითარი პრივილეგია. პრემია, როგორც ასეთი, მინისტრისთვის არ არსებობდა! თუკი მინისტრი რაღაც განსაკუთრებული დამსახურებისთვის ჯილდოს იმსახურებდა, ამ საკითხს მინისტრთა კაბინეტი წყვეტდა და პრემიერი ბრძანებით აღნიშნავდა. ასეთია წესი ყველა ნორმალურ სახელმწიფოში, მაგრამ, მინისტრი რომ თავის ხელფასს თვითონ იორმაგებდეს ბიუჯეტის ხარჯზე, ამგვარი რამ დედამიწის ზურგზე არსად ხდება.

ასეა თუ ისე, სააკაშვილის მარტო ყოველდღიური გადაადგილება სახელმწიფო ხაზინას 50 ათასი(!) ლარი უჯდება! ეს ციფრი 365 დღეზე რომ გადავამრავლოთ, 18 მილიონ 250 ათასი ლარი გამოვა! ამ თანხით საკმაოდ ბევრი სოციალური პრობლემის მოგვარება შეიძლება! ამიტომ ახალმა მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელმა უნდა შეიგნონ, ავლაბრის რეზიდენცია მავზოლეუმი არაა, რომ იქ სააკაშვილის პოლიტიკური გვამი ბიუჯეტის ხარჯზე ინახებოდეს!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**



მიმაჩნია, რომ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც მთავარი ფინანსური დოკუმენტი, უნდა ასახავდეს იმ მოსალოდნელ ძვრებსაც, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყნის ფინანსური ბაზრის ინსტიტუციური სრულყოფისკენ.

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად ვიშოვოთ მაკარონის თესლი,

## ანუ როგორ დავძლიოთ ეკონომიკური მისტიციზმი

**ახალი წელი დადგა, ახალი ჰორიზონტები გამოჩნდა და ახალი გზამკვლევი გვჭირდება. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ პოლიტიკურ გამოცდილებას იძენს. გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკურ საკითხებზე კოაბიტაციისა თუ ინკლუზიური დემოკრატიის პირობებში გვიხდება. პოლიტიკოსების მიერ ამ ტერმინებით ჟონგლიორობა ცოტა იუმორისტულ ელფერს იძენს.**



ისეთი პერიოდი დაგვდგომია, რომ თანამშრომლობა პოლიტიკის სფეროში პირდაპირ მოითხოვს, რომ ერთ, ურთიერთგასაგებ და მისაღებ ენაზე ვილაპარაკოთ. მაშინ ნათლად გამოჩნდება „ჰუ იზ ჰუ“, ანუ, როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი ამბობს: „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“. სხვაგვარად დიალოგი კონსტრუქციულობას მოკლებული იქნება და თუ, დღეს უკვე მოჩანს ლოგიკური წინააღმდეგობები, ისინი ხვალ შეიძლება საბოტაჟის სახით გამოვლინდეს. **სათავე წინააღმდეგობებისა და საწყისი თანამშრომლობისა გამოთქმულ სიტყვებშია მოსაძებნი.**

მარტო ამ ბოლო ორ თვეში რამდენი უცხო სიტყვის სწავლა მოგვიხდა, რამდენი ციფრის ანალიზი დაგვჭირდა იმისთვის, რომ გავრკვეულიყავით მტყუან-მართალში. წავიწიეთ კი წინ? მეეჭვება.

ტელესივრცეში აბსურდის თეატრის მაგვარი რამ ხდება. **იმისათვის, რომ „დააბალანსონ“ გადაცემები, ტრიბუნას უთმობენ აშკარა დემაგოგებს და რეალობის გამყალბებლებს. მოედინება ნიაღვარი — გრძნობის ამწეწი და აზრის შეურაცხმყოფი.** სადაა ის ბავშვი, რომელიც მეფეს (მასმედიას) ეტყვის, შიშველი ხარო? ავიღოთ, მაგალითად, ტერმინი **ინკლუზიური დემოკრატია**, რომელიც წასვლისას დაგვიტოვა ამერიკელმა მალალჩინოსანმა **მათეუს მელიამ.** რა იგულისხმა ამ ტერმინში, ვინმემ ჰკითხა პატივცემულ სტუმარს? არა. და, შესაბამისად, ყველამ ისე გაიგო, როგორც სურდა. **სააკაშვილს მიაჩნია, რომ იგი პედაგოგიკაში ცნობილი ინკლუზიური ჯგუფების ფორმირების ამსახველი ტერმინია, დაუკავშირა კოაბიტაციას და დაყო საქართველო ხუთოსნებად (თავისიანებად) და ოროსნებად (მის მოწინააღმდეგეებად). სხვებს ამ ცნების მიმართ პრობლემები არ გასჩენია.** გავერკვეთ ტერმინოლოგიაში, ეს სირცხვილი არ არის.

საკითხს მეორე ასპექტიც აქვს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია. ზოგიერთის აზრი, ვგულისხმობ ძირითადად სააკაშვილსა და უგულავას, სხვებისათვის, მათდამი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული პირებისთვის, სახელმძღვანელო დებულებაა. შესაბამისად, მათი მოუზომავი გამონათქვამები საბოტაჟის „ხორცს ისხამს“, უარყოფითად ზემოქმედებს არა მარტო ადამიანთა ცნობიერებაზე, არამედ **აფერხებს ალმშენებლობით პროცესებს. ამიტომ მასმედიას დიდი სიფრთხილე მართებს ყავლგასული ლიდერების გამონათქვამების ტირაჟირებისას, თორემ თვითონ აღმოჩნდება საბოტაჟის ხელშემწყობი.** აბა, გავიხსენოთ, რას ჰგავდა პრეზიდენტის საახალწლო გამოსვლა — პირდაპირი შანტაჟი: **თქვენ ქვეყანას ცუდად მართავთ, უფსკრულისკენ მიექანებით და, თუ დამიჯერებთ, გადაგარჩენთ. თუ არა, მთავარსარდალი მე ვარ აქედან გამომდინარე შედეგებითო**. ასეთი, უცხოელ დამკვირებლებზე გათვლილი გამოხდომები ძალიან ფრთხილად უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას, ვინაიდან, ერთის მხრივ, დამთრგუნავია, მეორე მხრივ, — საშიში, რადგან შეუძლია ხალხის სპონტანური აქტიურობის პროვოცირება.

**ტერმინების სწორად გაგებაზე ერთ ცნობილ ამბავს გავიხსენებ. მახვილგონიერმა სტუდენტებმა სიტყვა წყალი „გაამეცნიერულეს“ და დაწერეს „დიჰიდროგენის მონოქსიდი“, ე. ი. ორი წყალბადის ერთი ჟანგბადიო, ასე ვთქვათ, „გაშიფრეს“ წყლის ქიმიური ფორმულა, რომელსაც დაურთეს მისი უარყოფითი თვისებების ჩამონათვალი: ალპობს, ჟანგავს, აჭაობებს ნიადაგს, ახრჩობს ადამიანს და ა.შ. ამის საფუძველზე მოითხოვეს, შეიქმნას დიჰიდროგენ მონოქსიდის, ანუ წყლის გამოყენების სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, ან სრულად აიკრძალოს მისი მოხმარება. ამბობენ, ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის პარლამენტის დეპუტატებმა ამ წინადადების მხარდასაჭერად დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება.**

ვუსმენ ოპონენტებს და ვრწმუნდებით, რომ სიტყვების საშუალებით რეალობის მისტიფიკაციას ცდილობენ: გვარწმუნებენ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, „ქართული ოცნება“ თავისი ჭარბი დაპირებების გამო „ხაფანგში გაება“, ევროპა და ამერიკა წუხს, რომ საქართველო დემოკრატიის პრინციპებს ამრუდებს, უგულავა უფრო ზრუნავს თბილისელებზე თავისი ვაუჩერებით, ვიდრე მთავრობა და ა. შ. ეს ყველაფერი ტირაჟირებულია სხვადასხვა ინტონაციითა და გადმოცემის ნაირ-ნაირი ფორმით. **ასეთ სიტუაციაში ყველამ ცხადად და გასაგებად უნდა გავიაზროთ რეალობა, შევიმეცნოთ საზოგადოებრივი სატკივარი და, რაც მთავარია, ვუერთგულოთ საკუთარ იდეალებს. ვენდოთ, იმ ხალხს, ვისაც ხმა მივეცით. კრიტიკულები ვიყოთ, მაგრამ — „შიგნიდან“, იმ ვარაუდით, რომ გავაუმჯობესოთ მიღწეული და არა ეჭვი შევიტანოთ ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევის გულწრფელობაში. „შიგნიდან“ — ე.ი. „ქართული ოცნების“ პოზიციიდან, თორემ „გარედან“ კრიტიკა თავზე საყარია, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო დაპირებების კუთხით.**

ავთანდილ მარგიანის ერთი ნაამბობი გამახსენდა. თურმე ბატონი ვასილ მჟავანაძე სვანეთის სოფელ მულახში ესტუმრა თავისი თანაკურსელის, ომში დაღუპული მფრინავის მამას, ღრმად მოხუცებულ, უსინათლო ადამიანს. მჟავანაძე ხმაზე უცვნია: „შენ ვასო ხარო“. „მითხარი, რაც გინდა და ყველაფერს გაგიკეთებო“, — ეუბნება თვალზე ცრემლმომდგარი მჟავანაძე, — შენ რაც გჭირდება, ის მთხოვეო“. მოხუცსაც უთხოვია: „კარგი იქნება, თუ მაკარონის თესლს გვიშოვიო“. დღეს ბევრი ამ მოხუცს დაემსგავსა. სხედან და ფიქრობენ, რა მოითხოვონ.

**ხელისუფლება სამართლიანობას დაგვპირდა და ასრულებს კიდეც. ის რომ თითოეულ ჩვენგანს ცალი ფეხი ციხეში აღარ გვაქვს, არ არის მიღწევა? ან ის, რომ ადეიშვილი აღარ აზის ბიზნესს და არ განსაზღვრავს, ვინ სად და რისთვის დახარჯოს თავისი გამომუშავებული ფული, პატარა საქმეა? მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ტრაგიკომიკური ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თვითონვე დაიჯერა საკუთარი მისტიური დაპირებები, ანუ ის დაპირებები, რომლებიც მათ ნაცვლად სააკაშვილმა აღუთქვა ხალხს, ე.ი. დაიბრალა.**

**სახელმწიფო „სოციალური უზრუნველყოფის სამსახური“ არ არის, მას უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვს გადასაწყვეტი, ვიდრე ის ამოცანები, რომლებიც გულმოწყალეობის ღირებულებათა სისტემიდან მომდინარეობს.**

ბიძინა ივანიშვილი პროცესებს საღად აკვირდება და გადაწყვეტილებასაც სერიოზული განსჯის შემდეგ იღებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში გვაქვს, **მაგრამ არის კონკრეტიკა, რომელსაც გაცნობიერებისა და მოქმედების ეფექტიანობის მექანიზმების შესამუშავებლად პროფესიონალთა პოზიციების შეჯერება სჭირდება. მაგალითებისათვის შორს არ წავალ, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საშუალებით, მართალია, ცოტა სხვა კონტექსტში, მაგრამ ვურჩიეთ მთავრობას და პარლამენტს, რომ გადასინჯულიყო ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის დადგენის წესები და არსებული ნორმატივები. ეს 2013 წლის ბიუჯეტში უნდა ასახულიყო. სამწუხაროდ, არ მოგვისმინეს. ჩემი პირადი მიმართვებითაც არაფერი გამოვიდა. ბიჭებს სასაცილოდ არ ეყოთ — „იაკობიძეს იდეები აწუხებსო“. ალბათ, ჩემი შეხედულებებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ძირითადად (ლომის წილით) ჩემი ბრალია, მაგრამ ის, რომ საქარველოს ფინანსური ბაზრის რაციონალიზაციის, მის რეალურ სექტორში მსხვილი გადამმუშავებელი სამრეწველო საწარმოების კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების, აგრარული სფეროს გაჯანსაღების, ქვეყნის საპენსიო მოწყობის და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ ჩემი დიდი ხნის ნაფიქრი და გამოტანჯული აზრები, ალბათ, რაღაცაში გამოსადეგია, ამაშიც დარწმუნებული ვარ და ამიტომ მინდა არსებობდეს თანამშრომლობის რაღაც სისტემა, რომელიც „ფუჭი საქმიანობის“ განცდას მოგვიხსნის.**

მგონია, რომ ჩვენს ხელისუფლებას ხელს არაფერი უშლიდა, ძველ ტიკში ახალი ღვინო რომ არ ჩაესხა. მხედველობაში მაქვს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. კერძოდ, ხომ შეიძლებოდა გადაგვესინჯა თვით ბიუჯეტის ძველი განმარტება, რომელიც თავისი „ორგინალურობით“ ღიმილს იწვევს: **„პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილებების ერთობლიობა“.** ვინც ამაში იუმორს ვერ ხედავს, მას იუმორის გრძნობა კი არა, სახელმწიფო ფინანსების არაფერი გაეგება. რას ნიშნავს ეს „სხვა გადასახადები“, როდესაც კანონში ჩამოთვლილია ყველა არსებული გადასახადი? რატომ არ განმარტეს, რა არის სარეზერვო ფონდი? კი, გადაჯგუფდა შემოსავლები ხარჯების საჭიროების მიხედვით, ეს მარტო მოსახლეობის სოციალური დაცვის საჭიროების გამო კი არ მოხდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, აღდგა სამართლიანობა და, თუ გნებავთ, ვაშინგტონის კონსესუსის მოთხოვნები იქნა გაზიარებული. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს გაეწია ანგარიში. ტყუილად ხომ არ უწოდა საერთაშორისო მონეტარული ფონდის წარმომადგენელმა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს „პრუდენციული“ — გააზრებული, შეჯერებული, ჭკვიანური. ყოველივე ეს, არგუმენტებია, რომელთაც ვერ იყენებენ. ამიტომ ვსაყვედურობ მთავრობას, რატომ ვერ გაიაზრა სათანადოდ საკუთარი მიღწევები. ის, რაც შექმენი, სახელდებას მოითხოვს, თუ მისი გამოთქმა ვერ შეძელი, გაგიჭირდება, მოსახლეობას გააგებინო სწორი აზრი.

**მსოფლიო მონეტარული ფონდის წევრობა ჩვენგან მოითხოვს, რომ გვქონდეს ერთი, თავისუფლად კონვერტირებადი ფულადი ერთეული, ქვეყანაში ფულის მოძრაობა მიმდინარეობდეს თავისუფალი გადარიცხვების წესით. თუ ამ პირობებს დავიცავთ, მაშინ იგი ვალდებულებას აიღებს, რომ წარმოქმნილი საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს დაგვიფარავს, ე.ი. დაგვეხმარება, შეიქმნას პირობები ლარის საცვლელი კურსის სტაბილურობისთვის. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ბანკების განვითარების ისეთი ფორმა, რომელშიც ამჟამად ჩვენი ბანკები იმყოფება — ისინი საკუთრივ იმ ამოცანებს, რომლებიც შექმნეს, არაფრად აგდებენ და საკრედიტო საქმიანობიდან სასესხო და ფულის მიმოქცევის მომსახურე ორგანოებად გადაიქცნენ. გამოდის, რომ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის აუცილებელმა კავშირმა მსოფლიო გლობალურ გარემოსთან განაპირობა ფინანსური სექტორის განვითარების ცალმხრივობა. ვერ შევძელით ჩვენი ეკონომიკური პროცესების განვითარების, ჩვენი ეროვნული ეკონომიკის თავისთავადობის განმსაზღვრელი მექანიზმების გენერირება და დამკვიდრება.** მსოფლიო პრაქტიკა, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკის გამოცდილება, გვიჩვენებს, რომ **ვერც ერთი ქვეყანა, რომელიც ასე ცალმხრივად ანვითარებს საკუთარ ფინანსურ სისტემას, შედეგს ვერ აღწევს, ანუ ფინანსური ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორისთვის ხელშემწყობი ფაქტორი ვერ გახდა. ამიტომ ვალდებული ვართ, გადავდგათ ნაბიჯები ქმედითი და ეფექტიანი სადაზღვევო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩვენთან შესაქმნელად.** ამ ინსტიტუტების რაციონალური მოწყობა ხელისუფლების მძლავრი ჩარევის გარეშე შეუძლებელია. ეს მოითხოვს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე სახელმწიფო უწყებათა შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას. ამიტომ **მიმაჩნია, რომ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც მთავარი ფინანსური დოკუმენტი, უნდა ასახავდეს იმ მოსალოდნელ ძვრებსაც, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყნის ფინანსური ბაზრის ინსტიტუციური სრულყოფისკენ.**

არ შეიძლება უსერიოზულესი საკითხები მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტის განხილვის საგნად დარჩეს. დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ფულად და ფინანსურ სივრცეში საქართველოს დრეიფი შეჯერებულია უამრავ პრობლემასთან, მაგრამ ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებზე აგებული მექანიზმები, რომლებზეც მოგახსენებდით, ისე ვერასოდეს ავაწყობთ ეროვნულ ფინანსურ სისტემას.

**დავით იაკობიძე**,
**პროფესორი**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავრობა, რომელიც საზოგადოებრივი საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხს აყენებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკითხოს ერს (ხალხს), სურს მას ამ საკუთრების გასხვისება უცხოელებზე თუ არა.**

# არ გავყიდოთ მიწა

**2006 წლიდან მიმდინარეობს მცირემიწიან საქართველოში უცხოელების ჩამოსახლებისა და მათ მიერ მიწის შეძენის პროცესი. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთ-შეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგადკულტურული ფონისა და აქსეოლოგიური ფონის მხრივ, მითუმეტეს — ენის მხრივ.**

## ხელისუფლება 2003-2012 წლებში ახორციელებდა სახელმწიფოს მიზანმიმართულ ნგრევას, ანუ დივერსიას

იცლება სტატუსდაკარგული ქართული სოფელი, ქართველ ერს ძირი ეთხრება. მიმდინარეობს ქართველი ერის გენოციდი. პირველად ქვეყნის ისტორიაში ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას, მოიშალა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა, **სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას.** ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს (ინდოელები, ჩინელები და სხვ.) შორის.

საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოპოვების მოწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველი ხალხის ისტორიულმა ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული საფუძვლების შექმნა და განვითარება.

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

სააკაშვილის მთავრობა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისებისა და ქართველი გლეხობის სოფლიდან აყრის პროცესს უნიათოდ ნიღბავდა ფსევდოლიბერალური (რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ლიბერალიზმთან) იდეოლოგიით და მოსაზრებით, თითქოს შემოსულნი საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტია ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოს მოსახლეობის შეცვლაში — ქართველების განდევნაში ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით და ახალი, უცხო მოსახლეობის შემოყვანაში, რომელიც სავსებით გულგრილი იქნება საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი, მაშასადამე, — ადვილად მიმართვადი საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ. ხალხის „სასიკეთოდ" მიღებულ ამგვარ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი ისტორიის მანძილზე მიწათმფლობელობის სფეროში არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის აქტი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512", რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე.



ყოველივე ეს შედეგია იმ დანაშაულებრივი პოლიტიკისა, რომელსაც ეწოდა საქართველოს მმართველი ხელისუფლება 2003-2012 წლებში და რომელიც პრაქტიკულად მხილებულია იმაში, რომ

— **იგი იმყოფებოდა შეთქმულების შემადგენლობაში არჩევნების ტოტალური გაყალბების გზით ხელისუფლების უწყვეტი უზურპაციის მიზნით;**

— **იგი ახორციელებდა სახელმწიფოს მიზანმიმართულ ნგრევას, ანუ დივერსიას;**

— **იგი აწყობდა საქართველოს მოსახლეობის შეგნებულ ეკონომიკურ გენოციდს** იმ მიზნით, რომ ქართველი მოსახლეობისთვის ეიძულებინა ემიგრაციაში წასვლა, ხოლო სამაგიეროდ მასობრივად (და საქართველოსთვის — დემოგრაფიულად მომაკვდინებელი მასშტაბით) შემოეყვანა ახალი მოსახლეობა ახლო და შორი უცხოეთიდან.

„ნაციონალური მოძრაობის" აგრარული პოლიტიკის სტრატეგია ემყარებოდა იმის არგათვალისწინებას (არცოდნას ან არცოდნის სიმულაციას), რომ:

— **ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;**

— **თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით:** თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან, ერის საყოველთაო ინტერესების სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს დაუქვემდებარა;

— საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

— ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა.

— სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც" იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის — თავისი სახელმწიფოს — დაცვის სახით იცავდა.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის იმისას, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება, თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, რიგი არაბეთის სახელმწიფოები, ისრაელი, ირანი, თურქეთი) გამოირჩევიან დიდი ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალით, უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. **საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად არის მცდელობა, ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ**, **თანაც გვმოძღვრავენ და გვამშვიდებენ, „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენო". არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს! ეს საშიში პროცესი შედარებით წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია.** ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდაუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია, ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება.

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩე-

**ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს**

# საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი (კოდექსი).



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, პოლონეთში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას, ფერმერის სტატუსის ქონას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

**მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა, ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).**

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ **არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას**.

**მთავრობა, რომელიც საზოგადოებრივი საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხს აყენებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკითხოს ერს (ხალხს), სურს მას ამ საკუთრების გასხვისება უცხოელებზე თუ არა.** ამ შემთხვევაში დემოკრატიული ქვეყნების „დემოსი“ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს, მთავრობა კი, რომელსაც ხალხის აზრი ამ საკითხში ნამდვილად აინტერესებს, კი არ ეწინააღმდეგება მას, არამედ ვალდებულია, უზრუნველყოს რეფერენდუმის ჩატარება.

საქართველოში დღეს უცხოელებთან მიმართებაში დასაშვებად მიმაჩნია გრძელვადიანი (41-წლიანი) გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენება, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია გამოყენებული.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა. შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, — ქართველ ერს შორის.

დასასრულ, ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვა (ან სასოფლო-სამეურნეო მიწის 99 წლით იჯარით გაცემა) არის **კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის** გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი გაფრთხილების ფორმით უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება **ნაქურდალის ყიდვის გამო,** აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

გლეხკაცს — ქართული მიწის მთავარ მეურვეს **(ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი. — ილია ჭავჭავაძე)** — შეუძლია არამარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.

საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი და შეაჩეროს (აკრძალოს) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოში არიან დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობენ არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირები. ამ მოთხოვნის შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს ააცილებს მას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მიისწრაფის ევროკავშირისკენ და იმედია, რომ ახლო მომავალში გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. ცხადია, წევრობა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებს, მათ შორის — კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მიწის საკუთრების საკითხშიც. **საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი (კოდექსი).**

**პაატა კოღუაშვილი,**
**პროფესორი**

## საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი და შეაჩეროს (აკრძალოს) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება

## ირაკლი ალასანია: ქართული სამხედრო ძალები ავღანეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებენ

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ქართული სამხედრო ძალები ავღანეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ, არამედ „მიიღებენ მონაწილეობას ტრეინინგებსა და განათლებაში. ჩვენ უკვე ვმონაწილეობთ ნატოსთან ერთად დაგეგმარების პროცესში, თუ როგორი მისია ჩამოყალიბდება, ამის მიხედვით ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს სტატეგიას, თუ რა ფორმით და ვისთან ერთად დავეხმარებით ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს“.**

ახალი მთავრობა, როგორც ჩანს, თამაშის ახალ წესებსაც სთავაზობს აშშ-ს, მაგრამ რამდენად მისაღებია თავად ნატოსთვის ასეთი ცვლილებები?

ISAF-ის ოპერაციაშია მონაწილე 40-მდე ქვეყნიდან საქართველო ჯარისკაცთა რაოდენობით მე-12 ადგილზეა.

ნატოს წევრობა საქართველოსთვის, დიდი ხანია, აუხდენელი ოცნებაა. ოცნების მთავარი მიზანი კი რუსეთისგან თავდაცვაა, რომელსაც, ლეგენდის თანახმად, ნატოს ჯარები უზრუნველყოფენ, თუმცა **2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო, რომ სტრატეგიული პარტნიორის რეზევრში დიდი ოდენობით პამპერსისა და წყლის მარაგია, ხოლო ჯარისკაცები კი იმდენად უჭირთ, რომ პირიქით — საქართველოდან მიჰყავთ ავღანეთში.** სხვის ომში ჩაბმულმა საქართველომ არაერთი ჯარისკაცი დაკარგა და, როგორც ჩანს, მსხვერპლი არაფრისმთქმელიც არ აღმოჩნდა და 2012 წლის ოქტომბრის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ ღიად რჩება კითხვები: **ნუთუ სტრატეგიულ პარტნიორს აქამდე არ შეეძლო, უსისხლოდ ჩაება ოპერაციაში ქართული სამხედრო ძალები? თუ შეეძლო რატომ არ გააკეთა?**

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო მუსლიმანურ შურისძიებაზე საუბრობს (კინემატოგრაფის მეშვეობითაც კი), საქართველოს პრეზიდენტი ოდითგანვე შემწყნარებლობით გამორჩეულ ქართველებს ავღანეთში საომრად უშვებს. ჩვენი პრეზიდენტის მდგომარეობა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობასთან მდებარე ქანდაკებას ჰგავს. იგი ცდილობს, ორ პლანეტას ჩაეჭიდოს, მაგრამ დიდ პლანეტაზე იმდენად მოუხერხებელ პოზაში დგას, რომ, სულ მცირე, მოქმედებითაც შესაძლოა წაბორძიკდეს და მთელი მსოფლიო თავზე დაემხოს. სხვათა შორის ნიშანდობლივია, რომ ეს ქანდაკება შადრევნის ფუნქციასაც ასრულებს...

ნატოს ოპერაციაში უსისხლო მონაწილეობამ, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეები აღაფრთოვანა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ქართული ოცნების ასრულებამდე სულ ცოტა დარჩა, აგრეთვე, ძალიან დიდი ქულები დაიწერა თავად თავდაცვის მინისტრმაც. თუმცა ძალიან გაუგებარია, რატომ დათანხმდა ამგვარ წინადადებას თავად სტრატეგიული პარტნიორი, რომლის თქმითაც საქართველოში ახალი ხელისუფლების მიერ პოლიტიკური დევნა ხორციელდება. **დავუშვათ და შემდეგ სამიტზე დღის წესრიგიდან გაქრება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, ვის დაბრალდება ეს — ჰუმანურ მეოცნებეებს თუ ექსცენტრიულ პრეზიდენტს, რომელიც ახალ წელს ავღანეთში შეხვდა?**

## ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ბიუსტის გვერდით მერაბ კოსტავას ბიუსტი დაიდგმება

**წლეულს, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რომელიც ასევე საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, დაბადების დღეც არის, ზუგდიდში დაიდგმება მერაბ კოსტავას ბიუსტი, რომელიც ჯერ კიდევ 8 წლის წინ გააკეთა ზუგდიდელმა მოქანდაკემ ბადრი სხულუხიამ. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ბიუსტის დადგმა, რადგან ვერ მოიძიეს საამისო თანხა — 20 000 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წელს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარის, ალექსანდრე ჭაჭიას, ინიციატივით, ძალისხმევითა და დაფინანსებით ზუგდიდის ცენტრში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბიუსტი დაიდგა, რომლის ავტორი ასევე ბადრი სხულუხია გახლდათ და რომელიც ერთადერთი ბიუსტია ზვიად გამსახურდიასი საქართველოში.**



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ (ფრაქცია ყოფილი „ნაციონალების“ მიერ შეიქმნა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ) თავმჯდომარის, ლაშა ქობალიას, განცხადებით, მან და მისმა ფრაქციამ, როგორც იქნა, მოიძიეს საამისო თანხა, რომ ეს იდეა განხორციელდეს. **„ახლა მთავარია, შევარჩიოთ შესაფერისი ადგილი, სადაც მერაბ კოსტავას ბიუსტი დაიდგმება. მიმდინარეობს საყოველთაო სახალხო განხილვა, რომელშიც მონაწილეობენ ზუგდიდის საზოგადოების წარმომადგენლები“,** — აღნიშნა ლაშა ქობალიამ.

სავარაუდოდ, მერაბ კოსტავას ბიუსტი ქალაქის ცენტრალურ ბულვარში ზვიად გამსახურდიას ბიუსტის გვერდით დაიდგმება. ამისათვის კი ზვიადის ბიუსტი რამდენიმე მეტრით გვერდით უნდა გადაიდგას, რათა მერაბისა და ზვიადის ბიუსტებს შორის მოექცეს 11-მეტრიანი სტელა ჯვარი.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენს ხარჯავს აშშ ყოველწლიურად პლანეტის ოკუპაციაზე თავისი ბაზების მშენებლობითა და ჯარების განლაგებით? რამდენს ხარჯავს ის ყველა ქვეყანაში გლობალური დასწრების უზრუნველსაყოფად?**

# 170-მილიარდიანი ძარცვის ანგარიში,

## ანუ როგორ ანაზღაურებენ ამერიკული გადასახადების გადამხდელები პენტაგონის მოძრაობას «დაიპყარი პლანეტა»

**მუშა ექსკავატორები გრუხუნებენ და ცარიელი სატვირთოები ბანს აძლევენ. ადამიანთა ყვირილი ახშობს ელექტრობურღების ბღუილს და ხერხების წრიპინს. ცხრამეტი უზარმაზარი ამწე მიმოფანტულია მთელი ლანდშაფტის მასშტაბით, რომლის უკანაც იტალიის სამხრეთი ალპების ხედი მოჩანს. 100 ერთეულზე მეტი მიწის მთხრელი ტექნიკა, 250 მუშა და სამშენებლო ინფრასტრუქტურის ქსელი მოდებულია მთელ პერიმეტრს, რომელზეც სულ მალე 34 ახალი შენობა წამოიჭიმება. ეს არის 145 აკრის ფართობის სამშენებლო მოედანი „პატარა ამერიკისათვის“, რომელიც ვიჩენცაში, ვენეციის მახლობლად მდებარე არქიტექტურით სახელგანთქმულ პატარა ქალაქში, გაჩნდება. ეს ქალაქი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია. სულ მალე კი აქვე იქნება დელ მოლინი — ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო ბაზა, რომელიც უკვე 2013 წელს მზად იქნება გერმანიიდან 2000 ჯარისკაცის მისაღებად.**



უნდა აღინიშნოს, რომ 1955 წლიდან ვიჩენცაში მდებარეობს კიდევ ერთი მსხვილი ამერიკული ბაზა — ედერლეს ბანაკი. ეს ბაზები იმ ათასზე მეტ ამერიკულ ბაზათა შორისაა, რომელთაც აშშ მთელი დედამიწის კონტროლირებისთვის იყენებს და რომელთა შორის, ცხადია, არ იგულისხმება ის 4 ათასი ბაზა, რომლებიც თავად ამერიკის შტატებშია მიმოფანტული. სხვათა შორის, სამხედრო ობიექტების ეს კომპლექსი ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევაა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ძლევამოსილების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს.

ცივი ომის პერიოდში ასეთი ბაზები გახდა საფუძველი „მოწინავე სტრატეგიისათვის“, რომელიც საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევას და მის საზღვრებთან ამერიკული სამხედრო ძალების მაქსიმალურად მიახლოებას გულისხმობდა. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ან სხვა მოწინააღმდეგე ზესახელმწიფო არ არსებობს, პენტაგონს გადაწყვეტილი აქვს, მთელი დედამიწა მოფინოს უამრავი, შედარებით მომცრო ზომის ბაზებით და ამავე დროს შექმნას რამდენიმე საყრდენი ბაზაც, ისეთი, როგორიც დელ მოლინია.

ამერიკის მოქალაქეები იშვიათად ფიქრობენ ამ ბაზებზე და მით უმეტეს იმაზე, თუ რამდენი ფული მიდის გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან და ნასესხებიდან სწორედ ამ ბაზების მშენებლობისა და შემდგომი შენახვისათვის. დელ მოლინი და მასთან დაკავშირებული ბრიგადის შტაბის, ყაზარმების ორი კომპლექსის, ბუნებრივ გაზზე მომუშავე სითბური ელექტროსადგურის, ორი სკოლის, გამაჯანსაღებელი ცენტრის, სასადილოს და მინი სავაჭრო ცენტრის მშენებლობები გადასახადების გადამხდელებს არანაკლებ ნახევარი მილიარდი დოლარი დაუჯდებათ.

**რამდენს ხარჯავს აშშ ყოველწლიურად პლანეტის ოკუპაციაზე თავისი ბაზების მშენებლობითა და ჯარების განლაგებით? რამდენს ხარჯავს ის ყველა ქვეყანაში გლობალური დასწრების უზრუნველსაყოფად?**

**აიძულა რა კონგრესმა, გამოეჩინა საზღვარგარეთ თავისი ხარჯები, პენტაგონმა დაასახელა თანხა — 22.1 მილიარდი დოლარი წელიწადში.**

აღმოჩნდა, რომ **მსოფლიოში გარნიზონების მშენებლობის კონსერვატიული შეფასებაც კი ყოველწლიურად 170 მილიარდ დოლარამდე აღწევს. სინამდვილეში კი ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, გაცილებით მაღალი იყოს.** 2001 წელს „ტერორთან გლობალური ომის“ დაწყებიდან გარნიზონების პოლიტიკის ხარჯები, უცხოეთში ამერიკის დასწრების ხარჯები 1,8 ტრილიონიდან 2,1 ტრილიონამდე გაიზარდა.

მაინც რამდენს ხარჯავს ამერიკა?

კანონის თანახმად, პენტაგონმა ყოველწლიურად უნდა შეადგინოს „ცნობა უცხოეთში ხარჯების ღირებულების შესახებ“ (OCS), რომელშიც მიუთითებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ სამხედრო მოღვაწეობის ღირებულებას ყველაფრის ჩათვლით. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ყველა ხარჯის ანგარიშს, რომელიც გაწეულ იქნა სამხედრო მშენებლობებისთვის, მიმდინარე რემონტებისთვის და ობიექტების მომსახურებისთვის, ასევე ერთი მილიონი ამერიკელი სამხედროსა და თავდაცვის სამინისტროს პერსონალის (თავიანთი ოჯახებიანად) შენახვისთვის — სკოლების, ჩეკების, სახლების, სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობების, პერსონალისა და მასალების საზღვარგარეთ გადაზიდვისა და უკან დაბრუნების და კიდევ სხვა უამრავი ხარჯის ჩათვლით.

**კანონის თანახმად, პენტაგონმა ყოველწლიურად უნდა შეადგინოს «ცნობა უცხოეთში ხარჯების ღირებულების შესახებ»**

**უკანასკნელი OCS 2012 ფინანსური წლისათვის, რომელიც 30 სექტემბერს დასრულდა, დოკუმენტურად ადასტურებს 22,1 მილიარდი დოლარის ხარჯს, თუმცა, კონგრესის მითითებით, აქ არაა გათვალისწინებული არც ერთი დოლარი 118 მილიარდზე მეტიდან, რაც ამავე წელს ავღანეთისა და სხვა ომების წარმოებაზე დაიხარჯა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

თუმცა 22,1 მილიარდი დოლარი მნიშვნელოვანი თანხაა, რომელიც შეესაბამება იუსტიციის, ან სოფლის მეურნეობის სამინისტროების ბიუჯეტს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტის ლამის ნახევარს უტოლდება, ის მაინც მკვეთრად განსხვავდება ეკონომისტ ანიტა დენსკის შეფასებისგან, რომელშიც 250 მილიარდი დოლარია ასახული. ამ თანხაში შედის საერთო სამხედრო დანახარჯები, მაგრამ მათი გათვალისწინების გარეშეც საბოლოო მაჩვენებელი 140 მილიარდს უტოლდება, რაც 120 მილიარდით მეტია იმ ციფრზე, რომელიც პენტაგონმა დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ რეალურად პლანეტის ოკუპაციის ხარჯების ზუსტი გათვლა და იმის დადგენა, თუ რამდენს „მალავს“ პენტაგონი შეუძლებელია, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა მაინც სცადეს ამ „უშედეგო“ საქმისთვის ხელის მოკიდება და არაერთი წელიც მოანდომეს იმ საბუღალტრო ანგარიშების გაშიფვრას, სადაც 1 მილიარდი დოლარი შეიძლება მხოლოდ რიცხვების დამრგვალების დროს გაქრეს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ხარჯების საბოლოო ჯამი, შესაძლოა, საკმაოდ ზუსტად გამოიყურებოდეს, ძალიან მალე შესამჩნევი ხდება, რომ ქვეყნები, რომლებშიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები, უკვალოდ გაქრნენ. სულ მცირე 18 ასეთი ქვეყანა და ტერიტორია პენტაგონმა საკუთარ ანგარიშში საერთოდ არ მოიხსენია.

განსაკუთრებით საოცარია კოსოვოსა და ბოსნიის გაქრობა. სამხედროებს იქ მსხვილი ბაზები აქვთ, უკვე ათ წელზე მეტია, იქ დისლოცირებულია ასობით სამხედრო, მაგრამ პენტაგონის სხვა ანგარიშში ამ ბაზების შესახებ ნათქვამია, რომ მხოლოდ 2012 წელს მათზე 313 მილიონ 800 ათასი დაიხარჯა. ახალი ანგარიში ასევე არ ახსენებს ჰონდურასისა და გუანტანამოს ბაზების ხარჯების დაახლოებით მესამედს, ანუ დაახლოებით 85 მილიონ დოლარს.

ამის შემდეგ პენტაგონის ანგარიშში სხვა უცნაურობები იწყება: ისეთ ადგილებში, როგორიცაა ავსტრალია და ყატარი, როგორც პენტაგონი აცხადებს, მას აქვს სახსრები სამხედროებისათვის ხელფასების გასაცემად, მაგრამ არ აქვს ფული „ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის“, რათა გაიყვანოს ელექტროობა, გამოკვებოს ხალხი ან გააკეთოს მიმდინარე რემონტი. ამ ხარჯების დამატებით შეფასება 36 მილიონი დოლარით გაიზრდება.

დასაწყისისთვის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს: 436 მილიონი პენტაგონის ანგარიშში გაუთვალისწინებელი ქვეყნებისა და ხარჯებისათვის.

ეს სულაც არაა ბევრი 22 მილიარდთან შედარებით და სულაც ხურდა ფულია პენტაგონის მთელ ბიუჯეტთან მიმართებაში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

კონგრესის მითითებით, პენტაგონი ასევე არ ითვალისწინებს ამერიკის მივიწყებულ ტერიტორიებზე — პუერტორიკოზე, გუამეში, ამერიკულ სამოაში, მარიანის ჩრდილოეთ კუნძულებზე და ამერიკულ ვირჯინიის კუნძულებზე არსებული ბაზების ხარჯებს. ეს უცნაურია, რადგან პენტაგონი ამ მიწებს საზღვარგარეთად მიიჩნევს. როგორც ეკონომისტი დენკსი აცხადებს, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ „აშშ ამ ტერიტორიებს ინახავს უპირველეს ყოვლისა სამხედრო მიზნებისათვის და სამხედრო ძლევამოსილების პროექცირებისთვის“. გარდა ამისა, ეს ბაზები ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით უცხოურია.

ყველაზე მოკრძალებული გათვლებით ეს არის დამატებითი 3 მილიარდი დოლარი პენტაგონის ანგარიშის საერთო ხარჯებში.

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მეტად კვაზი- ▶

ბლიცი

## თბილისი 10 რაიონად დაიყოფა

**დედაქალაქი 10 რაიონად დაიყოფა. ამასთან დაკავშირებით თბილისის მერია დღეს საკრებულოს ახალი ინიციატივით მიმართავს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, რაიონების დაყოფა მარტივად მოხდება. მაგალითად, ვაკე-საბურთალოს ნაცვლად ვაკისა და საბურთალოს რაიონები იქნება, იმავე პრინციპით მოხდება სხვა რაიონების დაყოფაც.

**„დაყოფის ეს პრინციპი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ არ მოხდება ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა, რადგან გამგეობის მომსახურების ცენტრები დაყოფის შემდეგ უკვე ორ რაიონს მოემსახურებიან“,** — აცხადებენ მერიაში.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების უკეთ გადაწყვეტასა და დარეგულირებას, მასში მოსახლეობის ჩართულობის დონის უფრო ამაღლებას და შესაბამისად, თბილისელების საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ინტერესების კიდევ უფრო ეფექტურად დაკმაყოფილებას. მერიის ახალი ინიციატივა თბილისის მერმა საზოგადოებას დღეს გააცნო და ქალაქის მთავრობის წევრებთან ერთად აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საზღვარგარეთ მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა შეღავათებისათვის წელიწადში საშუალოდ 11,7 მილიარდი დოლარი იხარჯება. კიდევ 538 მილიონი დოლარი სჭირდება სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახლების მშენებლობას.



**პენტაგონი, როგორც აღმოჩნდა, არც კი ახსენებს დაახლოებით 861 მილიონ დოლარს, რომელსაც საზღვარგარეთის «საზღვაო» და «საჰაერო ხიდებისთვის» და სხვა «სამობილიზაციო» საჭიროებებისთვის ხარჯავს**

ამერიკული ტერიტორიები მართლაც მივიწყებული კუნძულოვანი სახელმწიფოების სახით წყნარ ოკეანეში — მარშალის კუნძულები, მიკრონეზიის ფედერაციული შტატები და პალაუ. მას შემდეგ, რაც აშშ-მა ამ კუნძულებზე, როგორც „ნდობის სტრატეგიულ ტერიტორიებზე“ კონტროლი დაამყარეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ის სარგებლობს უფლებით, შექმნას იქ სამხედრო ობიექტები, რომელთა შორისაა ბირთვული პოლიგონიც კი, რონალდ რეიგანმა კი მარშალზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პოლიგონი შექმნა.

**ეს ყველაფერი კეთდება ყოველწლიური გადასახადის სანაცვლოდ კუნძულოვანი ტერიტორიების სამმართველოს მხრიდან, რაც კიდევ 571 მილიონ დოლარს გულისხმობს და იძლევა ხარჯების საერთო რაოდენობას: 3,6 მილიარდი დოლარი წყნარი ოკეანის კუნძულოვანი ქვეყნებისა და ტერიტორიებისათვის.**

თუ ოკეანეებზე ვისაუბრებთ, კონგრესის ინსტრუქციით, პენტაგონი ანგარიშიდან გამორიცხავს ხარჯებს საზღვარგარეთ სამხედრო-საზღვაო ხომალდების შენახვის ხარჯებს. მაგრამ სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები, წყალქვეშა ნავები და საზღვაო ქვეითთა კორპუსი სინამდვილეში ოკეანეში გადიან ბაზებით, რომლებიც მხარს უჭერენ ზღვებსა და მათ სიღრმეებში მძლავრი სამხედრო დასწრების უზრუნველყოფას. ძალზე კონსერვატიული შეფასებით, ამ ხარჯების გათვალისწინება საერთო თანხას 3,8 მილიარდი დოლარით ზრდის.

ამის შემდეგ მოდის იმ გემების წინასწარი მომზადების ხარჯები, რომლებიც მთელი მსოფლიოს წყლებში არიან დისლოცირებულნი. ეს გემები უნდა განვიხილოთ, როგორც ზღვაზე მარაგების ბაზები, რომლებიც გადავსებულია იარაღით, სამხედრო ტექნიკით და სხვა მასალებით. და არ დაგავიწყდეთ არმიისათვის წინასწარ დაწყობილი ყველანაირი მარაგი. **ყველა ეს ხარჯი ერთად წელიწადში 604 მილიონს უახლოვდება.** გარდა ამისა, **პენტაგონი, როგორც აღმოჩნდა, არც კი ახსენებს დაახლოებით 861 მილიონ დოლარს, რომელსაც საზღვარგარეთის „საზღვაო“ და „საჰაერო ხიდებისთვის“ და სხვა „სამობილიზაციო“ საჭიროებებისთვის ხარჯავს. საერთო ჯამში ანგარიში იზრდება 5,3 მილიარდი დოლარით.**

პენტაგონის ანგარიშიდან ძალზე უცნაურად გაქრა კიდევ ერთი ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა **ჯანდაცვის ხარჯები. საზღვარგარეთ მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა შეღავათებისათვის წელიწადში საშუალოდ 11,7 მილიარდი დოლარი იხარჯება. კიდევ 538 მილიონი დოლარი სჭირდება სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახლების მშენებლობას.** არ უნდა დაგვავიწყდეს ბაზებზე შოპინგიც. სწორედ გადასახადების გადამხდელები აფინანსებენ იმ საკულტო სავაჭრო ცენტრებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამხედრო ბაზებზეა განთავსებული. ეს სავაჭრო ცენტრები უფასოდ იღებენ შენობას, მიწის ნაკვეთს, საკომუნალო მომსახურებებს და უფასოდ გადაზიდავენ ტვირთებს საზღვარგარეთის ნებისმიერ წერტილში. გარდა ამისა, მათი ოპერაციები არ იბეგრება. ამრიგად, ჯანდაცვა, სამხედროების სახლების მშენებლობები და მათი სავაჭრო ცენტრების სუბსიდირება ხარჯებს 12,6 მილიარდი დოლარით ზრდის.

პენტაგონის კიდევ ერთი გამონაკლისი სხვა ქვეყნებში იმ მიწის იჯარის გადასახადია, რომლებზეც ამერიკული გარნიზონებია განლაგებული. ზოგიერთი ქვეყნები, ისეთები, როგორიცაა იაპონია, ქუვეითი, სამხრეთი კორეა, აშშ-ს იქით უხდიან ფულს მისი გარნიზონების სუბსიდირებით. ამ თანხამ 1,1 მილიარდ დოლარს მიაღწია. ბაზების საკითხთა ექსპერტის კენტ კოლდერის განცხადებით, **2012 წელს გავრცელდა შემთხვევები, რომელთა დროსაც აშშ-მა ამა თუ იმ ქვეყანას ბაზების განთავსებისათვის ფული გადაუხადა.**

შეთანხმებათა საიდუმლო ხასიათისა და ბაზებზე მოლაპარაკებებში რთული პოლიტიკური კომპრომისების გათვალისწინებით, ამ გარიგებების ზუსტი ღირებულების დადგენა შეუძლებელია. მით უმეტეს, პენტაგონის მიერ დაფინანსებული კვლევები აჩვენებს, რომ საგარეო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მთელი მოცულობის 18% ბაზებზე წვდომის მისაღებად იხარჯება. ეს ჩვენს საანგარიშო თანხას დაახლებით 6,3 მილიარდი დოლარით ზრდის. ამას ემატება 1,7 მილიარდი დოლარი ნატოში გადასახადის სახით სამხედრო ობიექტების მშენებლობისა და შეძენისათვის და საერთო ჯამში თანხა 7,9 მილიარდით იზრდება.

**მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში ასახული უნდა იყოს საზღვარგარეთ წარმოებული ყველა სამხედრო ოპერაციის ხარჯი, პენტაგონმა გამოტოვა ნარკოტიკებთან ბრძოლის ოპერაციის 550 მილიონიანი ხარჯი და ჰუმანიტარული დახმარების 108 მილიონიანი ხარჯი. გარდა ამისა, პენტაგონი 24 მილიონ დოლარს ხარჯავს ეკოლოგიურ პროექტებზე ბაზებისგან დაბინძურების შემცირებისა და მონიტორინგის მიზნით, სახიფათო ნარჩენების უტილიზაციაზე. ასე რომ, საერთო ხარჯი ამ პროექტებზე 682 მილიონ დოლარს შეადგენს.**

**პლანეტის ოკუპაციის ანგარიშებში პენტაგონმა ასევე არ მოიხსენია უცხოეთში საიდუმლო ბაზებისა და საიდუმლო ოპერაციების ხარჯები, რაც, მოკრძალებული და ხელმისაწვდომი გათვლებით, 7,9 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

ამის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ცსს-ს გასამხედროებული ბიუჯეტი და ფინანსური ღონისძიებები, რომლებიც მოიცავენ საიდუმლო ბაზებს სომალიში, ლიბიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში და დრონების საშუალებით მის მკვლელობათა პროგრამას. ამ ოპერაციების ხარჯები და ცსს-ს გასამხედროებული ბიუჯეტი 13,6 მილიარდს შეადგენს.

და ბოლოს, **ყველაზე გრანდიოზული ხარჯი, რომელსაც პენტაგონი და კონგრესი ზემოხსენებულ ანგარიშში არ ითვალისწინებენ: 550 სამხედრო ბაზაც ავღანეთში და 505 სამხედრო ბაზა ერაყში, ამ ქვეყნიდან აშშ-ის გასვლამდე, ანუ 2012 ფინანსური წლის პირველი სამი თვის განმავლობაში. ეს დამატებით 104,9 მილიარდ დოლარს მოიცავს და ამ თანხაში არაა გათვალისწინებული კონტრაქტით მომუშავე უამრავი თავისუფალი აგენტის ანაზღაურება.**

მაშ ასე, პენტაგონის დაანგარიშებულმა 22,1 მილიარდმა დოლარმა 169,96-ს, ანუ დაახლოებით 170 მილიარდს მიაღწია.

მაგრამ, იმედია, ყველა ხვდება, რომ ეს არაა პლანეტის ოკუპირების საბოლოო ფასი, საბოლოო ღირებულების დათვლა შეუძლებელია. გარდა საბუღალტრო ნაპრალებში ჩამალულისა, პენტაგონის ბიუჯეტში კიდევ ბევრი ანგარიშებში აუსახავი თანხაა.

**იმ 16 ქვეყნის ხარჯი, რომლებშიც განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები და რომლებიც მთლიანადაა ამოღებული ანგარიშიდან, დაახლოებით 350 მილიონ დოლარს შეადგენს.** მხოლოდ კოლუმბიაში 2000 წლიდან მოქმედებს 8,5 მილიარდით ფინანსირების გეგმა, იემენში, ისრაელში, უგანდასა და სეიშელის კუნძულებზე დახარჯული და პენტაგონის მიერ დეკლარირებული 5 მილიონი კი რეალობასთან მისაახლოებლად კიდევ არაერთ მილიონს დაიმატებს.

**პლანეტის ოკუპირებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დახარჯულ ფულს ზუსტად ვერავინ ითვლის, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს თანხა წელიწადში 200 მილიარდ დოლარზე ნაკლები არ იქნება.**

სხვათა შორის, ეს არის მხოლოდ აშშ-ის მთავრობის ბიუჯეტის ხარჯები. ამერიკის ეკონომიკისთვის საერთო ეკონომიკური ხარჯები კიდევ უფრო მეტია. დაფიქრდით, სად მიდის ამ ბაზებზე გადასახადების გადამხდელთა ფულიდან გაცემული სამხედრო მოსამსახურეობის ხელფასები, როდესაც ისინი ჭამენ და სვამენ ადგილობრივ ბარებში, ყიდულობენ ტანსაცმელს, ქირაობენ ადგილობრივ სახლებს და ასე შემდეგ? ეს არის ის, რასაც ეკონომისტები „გვერდით მოვლენებს“ ან „მულტიპლიკატორის ეფექტს“ უწოდებენ. ამერიკელი სამხედროების ხელფასი, ანუ ამერიკული გადასახადების გადამხდელების ფული მიდის ქვეყნების ეკონომიკაში, სადაც განლაგებულია ესა თუ ის ბაზა.

ხარჯი უფრო მეტია, თუ გავითვალისწინებთ შეღავათებს. სამხედრო ხარჯები ყოველ მილიონ დოლარზე ქმნის ნაკლებ სამუშაო ადგილს, ვიდრე იგივე მილიონი — განათლებაში, ჯანდაცვაში ან ენერგოეფექტურობაში დაბანდების შემთხვევაში. რაც კიდევ უფრო უარესია, სამხედრო ხარჯები პირდაპირ ითვალისწინებს მოგებას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიდან, ეს ინვესტიციები სულაც არ უწყობს ხელს კერძო სექტორის გრძელვადიანი პროდუქტიულობის ზრდას ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მიმართვის გზით.

უნდა გავიგოთ პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ცნობილი გამონათქვამი: ყოველი აშენებული ბაზა საბოლოო ჯამში ქურდობას ნიშნავს. მართლაც, დაფიქრდით იმაზე, თუ რას მოიტანდა ის ნახევარი მილიარდი დოლარი, რომელიც დალ მოლინში დააბანდეს, მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში. როგორც ექსპერტები ამბობენ, ერთი სამხედრო ბაზის ღირებულება არის 260 000 ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვის სამედიცინო დახმარება მთელი წლის განმავლობაში.

გარდა ამ ყველაფრისა, ბაზები კიდევ ქმნიან „გვერდით მოვლენებს“ ფინანსური და არაფინანსური ხარჯების სახით, რომლებიც ამ ბაზების მიმღებ ქვეყნებს აკისრიათ. მაგალითად, 2004 წელს გადასახადების ტვირთის გადანაწილებისას მიმღები ქვეყნებიდან თითეულმა 4,3 მილიარდი დოლარი შეიტანა ნატურალური ფორმით ამერიკული ბაზების მხარდასაჭერად. მილიარდობით დოლარის დახარჯვის შეთანხმებაზე დამატებით ოკინავადან გუამში საზღვაო ქვეითებისა და მათი ოჯახების გადასაყვანად იაპონიის ხელისუფლებამ კიდევ ერთ მილიარდამდე დახარჯა. კიდევ არაერთი მილიონი იმავე ხელისუფლებამ ხმოვანი დაბინძურების გამო მოგებული სარჩელების ავტორებს გადაუხადა. ზუსტად ანალოგიურად 1992-დან 2003-წლამდე პერიოდში აშშ-სა და კორეის ხელისუფლებებმა 27,3 მილიონი დოლარი გადაიხადეს ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო ზარალის ასანაზღაურებლად. მხოლოდ სამწლიან ვადაში ამერიკელმა სამხედროებმა კორეაში 1246 დანაშაული ჩაიდინეს, მათ შორის — არაერთი მძიმე.

ოკინავას მოსახლეობა ახლახან გამოხატავდა აღშფოთებას ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილი გაუპატიურებათა მრავალეპიზოდიანი სერიის გამო. ეკონომიკური ზარალი მხოლოდ ამძიმებს ამ ქვეყნების მოსახლეობათა ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დანაკარგებს.

ამერიკელ სამხედროებს შორის ბევრია ისეთი, რომლებიც ხშირად გადადიან სამუშაოდ და შესაბამისად საცხოვრებლადაც სხვა ადგილას. მათ არ შეუძლიათ, ყველგან წაიყვანონ თავიანთი ოჯახები. ოჯახის გარეშე ცხოვრებამ მნიშვნელოვნად გაზარდა განქორწინებების, ოჯახური ძალადობის, ნარკომანიის, სექსუალური ძალადობისა და თვითმკვლელობათა მაჩვენებლები.

**სინამდვილეში, 170 მილიარდი დოლარი, რომელსაც ყოველწლიურად იხდიან ამერიკელები მათი ხელისუფლების მიერ პლანეტის ოკუპაციის მცდელობების დასაფინანსებლად, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ამ მზაკვრობის ფინანსურ ხარჯებს და საერთოდ არ ასახავს იმ ადამიანურ დანაკარგებს, რომელსაც, ცხადია, პენტაგონი თავის ანგარიშებში საერთოდ არ ითვლის.**

forum.polismi.org

## ნოდარ ხადური: ბიზნესგარემო დღეს არის გაცილებით უკეთესი, ვიდრე ოქტომბრამდე იყო



**„ერთი რამ მინდა გითხრათ გულწრფელად: საქართველოში ბიზნესგარემო დღეს არის გაცილებით უკეთესი, ვიდრე ოქტომბრამდე იყო. თუ კი კომპანიები დაიხურა და პრობლემები შეექმნათ, ეს თავად ამ კომპანიების მენეჯმენტის ბრალია და ჯობდა, რომ საკუთარ მენეჯმენტზე და საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე ეფიქრათ და არა სხვა რამეზე“,** — განაცხადა ნოდარ ხადურმა ტენდერში მონაწილე „ლიდერი“ კომპანიების დახურვაზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის კომპანიები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს სხვადასხვა ტენდერში იმარჯვებდნენ, დღეს კრიზისში არიან. გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი კომპანია გაკოტრდა კიდეც.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლახან ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ევროპის კავშირს სურს, ხელი შეუწყოს და წვლილი შეიტანოს რუსეთთან ერთად მსოფლიო ხელისუფლების შექმნის საქმეში. ჰერმან ვან-რომპეიმ ევროკავშირ-რუსეთის 30-ე სამიტზე განაცხადა: „ერთად მუშაობით ევროკავშირსა და რუსეთს შეუძლიათ გადამწყვეტი წვლილი შეიტანონ გლობალურ მმართველობაში და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში“.**

# საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო ამხელს, როგორ შეიქმნება მსოფლიო ხელისუფლება 2013 წელს

**საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო, რომელიც 1921 წელს გლობალური ელიტის მიერ შეიქმნა, აქვეყნებს იმ პრობლემების ჩამონათვალს, რომლებიც, ორგანიზაციის აზრით, აუცილებლად უნდა გადაილახოს, რათა 2013 წელს მსოფლიო ხელისუფლება შეიქმნას. ორგანიზაციამ შეაჯერა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოთხი გლობალისტის აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებები უნდა უძღოდეს წინ 2013 წელს მსოფლიო ხელისუფლების ჩამოყალიბებას. საოცარია, მაგრამ გლობალური ელიტის ეს წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ გლობალური ხელისუფლება ვერ შეიქმნება, თუ 2013 წელს შვიდი მთავარი პრობლემა არ გადაიჭრება.**



ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. მსოფლიოს ესაჭიროება პოსტერთპოლარულ მსოფლიოში ყველაზე რთულად გადასაჭრელი პრობლემებისათვის პასუხისმგებლობის დაწესების ერთიანი სისტემა. ამრიგად, იმისათვის, რომ მსოფლიო ხელისუფლება რეალობა გახდეს, ჩინეთმა გაცილებით უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს გლობალური ძალის ამპლუაში;

2. მსოფლიო ხელისუფლების დამყარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტების განმტკიცება, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და დიდი ოცეული;

3. მთავარი ძალის ცენტრები უნდა მიიზიდონ ნაკლებად შესამჩნევმა ქვეყნებმა, რათა მსოფლიო პოლიტიკური ლანდშაფტის როგორც მსხვილმა, ისე მომცრო მოთამაშეებმა მოახერხონ ხელის შეწყობა „ქსელური მმართველობის“ პრინციპის რეალიზაციისათვის. საბოლოო ჯამში ყველა ქვეყნისათვის 2013 წელს მსოფლიო ხელისუფლების შექმნის გასაღებს წარმოადგენს სრულიად ახალი მენტალიტეტისა და ფუნქციონირების ახლებური მექანიზმის დანერგვა;

4. გლობალურ დონეზე ვაჭრობა უფრო მეტად რეგულარული პროცესი უნდა გახდეს. 2013 წელს სახელმწიფო სუბსიდიის გამოყოფის საკითხები უნდა განიხილებოდეს გლობალურ დონეზე და არა რეგიონულ ან ორმხრივ დონეებზე;

5. მსოფლიომ უნდა დაიწყოს ძალისხმევის გამოვლენა რეგიონულ დონეზე გლობალური დღის წესრიგის საერთო მოქმედებების ჩარჩოში. გლობალური სისტემების ჩიხში მოქცევით შეშფოთებული მმართველობები, მრავალი ქვეყანა თუ რეგიონი ახლა ადგება რეგიონალიზაციისა და სუბრეგიონალიზაციის გზას, რითაც იხსნება ჩვენი ხედვა სულ უფრო მეტი რეგიონული და სუბრეგიონული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებთან დაკავშირებით. თუ ეს ტენდენცია დროულად არ შეიცვლება, რეალურად არანაირი მსოფლიო ხელისუფლება არ იარსებებს;

6. ინტერნეტი უფრო რეგულირებადი უნდა გახდეს. ითვლება, რომ ხელისუფლებებმა უნდა შეინარჩუნონ ინტერნეტში ინფორმაციის თავისუფალი დინებები და შეზღუდონ კიბერაგრესიის რაოდენობა;

7. ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება გამოწვევაა მსოფლიო ხელისუფლების პრინციპებისათვის. გარდა ამისა, ამ რეგიონის პრობლემებთან გამკლავებისთვის საერთაშორისო საზოგადოების უუნარობა, შესაძლოა, გახდეს საბაბი მსოფლიო ხელისუფლების იდეის განადგურებისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭომ მსოფლიო ხელისუფლების შექმნის ეს გეგმა სწორედ მაშინ გამოაქვეყნა, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები ნელ-ნელა აღვივებენ ინტერესს ამავე სტრუქტურისადმი.

**ახლახან ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ევროპის კავშირს სურს, ხელი შეუწყოს და წვლილი შეიტანოს რუსეთთან ერთად მსოფლიო ხელისუფლების შექმნის საქმეში. ჰერმან ვან-რომპეიმ ევროკავშირ-რუსეთის 30-ე სამიტზე განაცხადა: „ერთად მუშაობით ევროკავშირსა და რუსეთს შეუძლიათ გადამწყვეტი წვლილი შეიტანონ გლობალურ მმართველობაში და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში“.**

საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს, ევროკავშირისა და ვატიკანის მსგავსი ინსტიტუტების მხრიდან მსოფლიო ხელისუფლების შექმნისკენ ბიძგი იმის სახიფათო სიგნალებია, რისიც მსოფლიოს, უკვე მრავალი წელია, ეშინია და რაც, შესაძლოა, სწორედ წელს განხორციელდეს.

newscom.md

# ამერიკელები ავღანეთიდან იჯარის გადაუხდელად იპარებიან



**ავღანეთში აშშ-ის ბაზისგან ნაგვის გორები და ტექნიკის ნამსხვრევები დარჩა, ასევე გაჭიანურებული დავა მიწის იჯარის გამო. პროვინცია კუნარიდან წასვლის შემდეგ ამერიკელებმა აღჭურვილობის წარმოუდგენელი რაოდენობა, იჯარის გადაუხდელი ანგარიშები და იმ ტერიტორიისთვის გამწვავებული დავა შეწყვიტეს, რომელიც, ადგილობრივი ჩინოვნიკებისა და ახალი მეიჯარეების მტკიცებით, ავღანეთის ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვით იმუქრება.**

იმის ერთადერთი ნიშანი, რომ ამერიკის ჯარი სამუდამოდ ტოვებს სამხედრო ბაზას, შუაღამისას სატვირთო მანქანების რიგის გრუხუნი იყო. გამთენიისას ადგილობრივმა მოსახლეობამ აღმოაჩინა, რომ საგუშაგო აორთქლდა, შენობები ააფეთქეს, ხოლო ის, რაც ადრე მიუწვდომელი სამხედრო ბანაკი იყო, ნამსხვრევების გორებად იქცა.

ნახევრადჩამონგრეულ კედლებზე დასავლური კონდენციონერების რიგები ეკიდა, სატვირთო კონტეინერის გვერდით ეგდო უზარმაზარი გენერატორი, ახლომახლო კი დალეწილი მანქანები იდგა. მთელ ამ ნაგავში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვერაფერი იპოვეს ისეთი, რაც ოდნავ მაინც წააგავდა მეიჯარისთვის გამოწერილ ჩეკს. ეს მეიჯარე კი ირწმუნება, რომ ტერიტორიაზე მრავალწლიანი განლაგებისთვის ამერიკელებს მისი ასეულათასობით დოლარი მართებთ.

**„ისინი აქ ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ერთი წლის იჯარა გადაიხადეს“,** — განაცხადა ხაჯი ნაჯიბულა ხანმა, რომელიც ამ მიწაზე გაიზარდა, სწორედ იმ სახლში, რომელიც მოგვიანებით ამერიკელ ჯარისკაცებს ემსახურებოდა. მისი თქმით, აშშ-ის არმიის რაზმის მეთაურმა დაარწმუნა, არ მოეთხოვა იჯარის გადახდა ამერიკელებისთვის.

ამ ადგილიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, რაიონ ნარაის ცენტრში, ამერიკელი ჯარისკაცების წასვლა გაცილებით ცივილიზებული გზით მოხდა და გაერთიანებულ ბაზაზე კონტროლი მთლიანად ავღანეთის არმიას გადაეცა.



მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა აქაც ძალზე გაბრაზებულია, რადგან ბაზა ამ რაიონის მკვიდრი 90 ოჯახის კუთვნილ მიწაზე აშენდა.

**ეს ხალხიც ირწმუნება, რომ ამერიკელებმა რამდენიმე წლის განმავლობაში არ გადაიხადეს იჯარა. გარდა ამისა, ამ ადამიანებს ეშინიათ, რომ ველარასდროს იხილავენ საკუთარ მიწებს, რომლებზეც უკვე მყარად დაფუძნდნენ ავღანეთის სახელისუფლო ჯარები.**

რაიონის გუბერნატორი გული რახმანი შეეცადა, საქმეში ჩარეულიყო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. „ორგანიზება გავუკეთე ავღანეთის ეროვნული არმიისა და უხუცესების შეხვედრას. ახლა ჯარები აქ რჩებიან, ხალხი კი ბრაზობს და ითხოვს ფულს, რომელიც არმიას მართებს, მაგრამ ამ მოთხოვნას ყურს არავინ უგდებს“.

ავღანეთში მიწა ძალზე მტკივნეული საკითხია. ომის პერიოდში მრავალი ოფიციალური დოკუმენტი განადგურდა. მიწის მფლობელების ნაწილი დაიხოცა, ნაწილი კი ლტოლვილად იქცა და სხვა ტერიტორიებს შეაფარა თავი. მათი მიწები დაიკავეს ადამიანებმა, რომლებსაც ამ მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ.

**საშუალო სკოლის დირექტორი ხაჯი უსმანი, რომელიც ნარაეში მდებარე ბაზის ტერიტორიაზე ორი ჰექტარი მიწის მფლობელია, სათავეში ჩაუდგა თავისსავე მსგავს დაზარალებულებს და მიაღწია იმას, რომ ქაბულში ამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიება დაიწყო, მაგრამ, მისი განცხადებით, არმია ძველებურად განაგრძობს მათი მოთხოვნების იგნორირებას. მიწის მფლობელები კი უკვე თალიბანში შესვლით იმუქრებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ მშობლიურ სოფელს ხელისუფლება აკონტროლებდა და მის მკვიდრთ ამ ორგანიზაციაში გაერთიანება არასდროს სდომიათ.**

ახლა მიწის მფლობელებს ზარალის თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურებას ამერიკელთა დატოვებული ნაგვის გდარჩევით და იქიდან რაიმე ვარგისიანის გამორჩენით სთავაზობენ. მაგრამ, გუბერნატორმა ხანამ აღიარა, რომ ეს აღჭურვილობა გაღატაკებულ სოფელში არავის არაფრად უღირს.

**ავღანეთის ტერიტორიაზე არის უამრავი დაჟანგებული საბჭოთა ტანკი და სხვა სახის სამხედრო ნაგავი, მაგრამ 2001 წლიდან უცხოური ჯარები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ იქ კვალი არ დაეტოვებინათ.**

ის, რომ ამერიკელებმა კუნარში თუნდაც არასამხედრო აღჭურვილობა დატოვეს, ძალზე უცნაურია და იმ პრობლემაზე მიანიშნებს, რომელიც ამ რაიონს ელის. ნარაე პროვინციის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობს. ამ ღატაკი და იზოლირებული ადგილიდან მეამბოხეები იოლად შეძლებენ ქვეყანაში შეღწევას პაკისტანის საზღვრიდან ან ნურისტანის მშფოთვარე პროვინციიდან, სადაც ბოევიკები მთელ სოფლებს აკონტროლებენ.

საერთაშორისო ძალების წარმომადგენლები ამ სიტუაციის კომენტირებაზე უარს აცხადებენ.

The Guardian

ამერიკელი სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ახლა ამერიკა განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ბავშვებზე ძალადობის მაჩვენებლით. მხოლოდ 2011 წელს აშშ-ში სახელმწიფო ორგანოებში შევიდა 3,4 მილიონი განცხადება 6 მილიონზე მეტ ბავშვზე ძალადობის გამო.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კანონი და წესრიგი: რას აკრძალავენ აშშ-ში 2013 წელს?

**2013 წელს აშშ-ში ძალაში შედის ასობით ახალი კანონი. ამ კანონებიდან ზოგიერთი ძალზე უჩვეულოა. ამერიკელმა ჟურნალისტებმა უკვე გამოაქვეყნეს რამდენიმე მათგანი, რომლებმაც მათი განსაკუთრებული განცვიფრება გამოიწვია.**



ახალი კანონების თანახმად, ამერიკაში მოქალაქეებს ამიერიდან კანონი გადაუწყვეტს, თუ რამდენი კატა შეიძლება ჰყავდეთ სახლში და აქვთ თუ არა უფლება, რომ თავიანთ სამსახურებრივ უფროსს ფეისბუქში საკუთარი გვერდის მისამართი მისცენ.

2013 წლიდან კონექტიკუტის შტატში ძალაში შედის კანონი, რომლის თანახმადაც მოქალაქეებს უფლება არ ექნებათ, გარეული ღორების კოლტები განდევნონ.

შტატში, სადაც ამ ცხოველებზე ნადირობა ძალზე პოპულარული საქმეა, ეს დიდ პრობლემად იქცა. ადგილობრივი მედია წერს: „თუ დაუოკებელი სურვილი გაქვთ, „ღრუტუნები“ დააფრთხოთ, მოგიწევთ ამ გასართობის 2012 წელში დატოვება“.

**კალიფორნიაში პატიმრებთან სექსი აკრძალეს.**

ცნობილია, რომ ამერიკის ციხეებშიც აქამდეც არ უშვებდნენ კამერებში გუშაგებს, რათა სექსუალური ძალადობა აეცილებინათ თავიდან. მაგრამ, ვინაიდან კალიფორნიაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბადრაგსა და პატიმარს სექსი ამ უკანასკნელის სასამართლოში გადაყვანისას ჰქონდათ, შტატის საკანონმდებლო კრებამ საჭიროდ ჩათვალა, პირდაპირ კანონში დაეფიქსირებინა ზემოხსენებული აკრძალვა.

**ამავე შტატში ოფიციალურად აეკრძალა ყველას, თავის დაქირავებულ თანამშრომლებს სამსახურში აყვანისას სოციალურ ქსელებში მათი მისამართები მოსთხოვოს.** როგორც გაირკვა, დამქირავებლები ხშირად ითხოვდნენ ამ ინფორმაცის, რათა სამსახურში ასაყვანი ადამიანის მონაცემებს მათ ინტერნეტ-გვერდებზე გაცნობოდნენ, რაც, შტატის კანონმდებელთა აზრით, პიროვნების თავისუფლების უხეში დარღვევაა და ამიერიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებაც.

**კალიფორნიაში ყველაზე საოცარი საკანონმდებლო აკრძალვა გახდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების სანაგვე ყუთებში ჩატენვა მათი ჰეტეროსექსუალებად ქცევის მიზნით.**

როგორც ჩანს, ამ კანონის მიღებამდე კალიფორნიაში ეს ძალზე გავრცელებული პრაქტიკა იყო.

**ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ იარაღის ტარების ლიცენზია ან სანადირო ბილეთი, აეკრძალათ ხალხში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენა.** არადა, იარაღის ტარების უფლება, როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, ამერიკაში 8 წლის ბავშვებსაც კი აქვთ.

**ილინოისის შტატში აიკრძალა პედოფილი სანტა-კლაუსები.** ძალაში შესული კანონის თანახმად, ადამიანებს, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს პედოფილიის გამო, ეკრძალებათ, დღესასწაულებზე თოვლის პაპის ფორმა ჩაიცვან და ბავშვებს მიუახლოვდნენ. მათ ასევე ეკრძალებათ ბავშვებისათვის კანფეტების დარიგება ჰელოუინის დღესასწაულზე.

რაც უნდა საოცარი იყოს, **ილინოისმა ოფიციალურად, კანონით აკრძალა ნეკროფილია.** ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ შტატში ამ დრომდე არ არსებობდა კანონი, რომელიც გარდაცვლილებთან სექსუალურ კონტაქტს დანაშაულის სტატუსს მიანიჭებდა.

**კანზასის შტატში აიკრძალა სახლში ოთხზე მეტი შინაური ცხოველის ყოლა.** ამ შტატში ძალზე ბევრი უსახლკარო კატაა, ამიტომ ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მათგან მხოლოდ ოთხი შეიძლება ცხოვრობდეს ერთ სახლში.

**მასაჩუსეტსის ქალაქ კონკორდში აიკრძალა წყლის პატარა პლასტიკატის ბოთლები.** გარემოს დაცვის მიზნით, ქალაქში სასმელი წყალი აღარ გაიყიდება პატარა ბოთლებითა და ცალობით. ამიერიდან ამ ქალაქში ქუჩაში თუ ვინმეს მოსწყურდა, დიდი ბოთლების მთელი შეკვრა უნდა იყიდოს.

**ვაშინგტონის შტატის სნოხომიშის ოლქში აკრძალეს ცხენის ხორცი.** გურმანებს ამ დელიკატესის მისართმევად სხვა შტატებში მოუწევთ სადილობა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ექსპერტები, არაერთი წელია, დავობენ იმაზე, შეიძლება თუ არა ცხენის ხორცის საკვებად გამოყენება, მაგრამ ამერიკელები ამ საკითხს მარტივად უდგებიან და თვლიან, რომ ცხენის ხორცის წარმოება ამერიკელებისთვის არაერთ სამუშაო ადგილს შექმნის და ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საერთოდ, ამერიკა სახელგანთქმულია უცნაური, სასაცილო და საოცარი კანონებით და ამ მარგალიტების არაერთი ნაკრები გამოქვეყნებულა კიდეც მასმედიაში.

მაგალითად, **ალაბამაში** აკრძალულია ქოლგის გაშლა, თუ სადმე ახლომახლო ცხენი დგას, რათა ცხოველი არ დაფრთხეს.

**ალიასკაზე** აკრძალულია მძინარი დათვის გაღვიძება ფოტოგანათებით, თუმცა ამავე დათვებზე ნადირობა აკრძალული არაა.

**არიზონაში** შეიძლება 25 წლით დაგაპატიმრონ მის გამო, რომ კაქტუსი მოწყვიტეთ. როგორც ირწმუნებიან, ეს კანონი კაქტუსის რომელიღაც იშვიათი სახეობის გადასარჩენად მიიღეს თავის დროზე.

**კალიფორნიაში** ცხოველებს ეკრძალებათ ადამიანების თანდასწრებით შეჯვარება, ამ საქმისთვის მათ კვების ობიექტებიდან, სკოლებიდან და რელიგიური დაწესებულებებიდან სულ მცირე 1500 ფუნტით დაშორებული ადგილი უნდა შეარჩიონ.

**ფლორიდაში** ექიმს არ აქვს უფლება, პაციენტს ჰკითხოს, აქვს თუ არა იარაღი, ჰავაის მკვიდრნი კი შესაძლოა დაჯარიმდნენ, თუ ერთ ნავს მაინც არ ფლობენ.

**აიოვაში** თუ ვინმეს სახალხოდ კოცნით, კოცნა ხუთ წუთზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს.

**კანზასში** აკრძალულია შიშველი ხელებით თევზის დაჭერა, მასაჩუსეტსში კი — საავადმყოფოების პაციენტთა ლუდით გამასპინძლება.

**ნევადაში** მამაკაცს ეკრძალება, სამ ადამიანზე მეტს (საკუთარი თავის ჩათვლით) გაუმასპინძლდეს ალკოჰოლური სასმელით და ეს დღეში ერთ ჯერზე მეტად გააკეთოს.

**ნიუ-მეხიკოში** ქალებს ეკრძალებათ წვერის გაუპარსავად საზოგადოებაში გამოჩენა. ასევე აკრძალულია ქალაქის სასაფლაოზე ნადირობა.

**ოჰაიოს შტატში აკრძალულია ვეშაპებზე ნადირობა, ოღონდ მხოლოდ კვირა დღეებში.**

**ტეხასის შტატში** აკრძალულია ადამიანის თვალის გაყიდვა.

ვინაიდან ამერიკისთვის ამგვარი კანონების ჩამონათვალი ლამის უსასრულოდ გრძელდება, წლევანდელი ათიოდე მარგალიტი საკანონმდებლო ბაზას ბევრად ვერ შეუცვლის იერს.

rus.ruvr.ru

## შსს-დან თანამშრომლები საკუთარი სურვილით მიდიან

**შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, სამინისტროდან თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლება არ მომხდარა და ისინი სამსახურიდან საკუთარი პატაკის საფუძველზე წავიდნენ. ამის შესახებ განცხადება მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა.**

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სამინისტროში რეფორმები უკვე დაწყებულია და უახლოეს პერიოდში თანამშრომელთა გადამზადებაც მოხდება.

**„არასწორია იმის თქმა, რომ თითქოს ისინი ჩვენ გავათავისუფლეთ. თანამშრომლები სამსახურიდან საკუთარი პატაკის საფუძველზე წავიდნენ. რაც შეეხება მიღებას, მე დავამტკიცე თანამშრომელთა მიღების ახალი წესი და უკვე დავიწყეთ გადამზადების პროგრამა. მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების კრიტიკისა, გაურკვეველია, რატომ უყურებენ სკეპტიკურად ამ სიახლეს და ამ გაუმჯობესებას. სამინისტროში რეფორმები დაიწო, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ უნდა დაწყებულიყო“,** — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი ღარიბაშვილი.



## სააკაშვილმა პერსონალურად გამოითხოვა პედოფილების საქმეები და შეიწყალა ისინი

**ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე სააკაშვილი ამნისტიის შესახებ კანონპროექტზე ვეტოს დადებით დაიმუქრა.** „როდესაც ასეთ პატიმრებს უშვებ, ეს ან ჩემს ჯინაზე კეთდება, ან პირდაპირ რუსეთის დაკვეთით. მე დავადებ ვეტოს ამას და იმასაც, რომ ყველა სხვა დანაშაულში გაჰყავთ პედოფილია, რომელიც არ იკურნება. ყველა სხვა დანარჩენი ჯანდაბას, მაგრამ პედოფილიის ნაწილს ვადებ ვეტოს. გადალახონ ეს ვეტოც და აიღოს პასუხისმგებლობა პარლამენტმა, რომ ციხიდან უშვებს პედოფილებს, მკვლელებს და კანონიერ ქურდებს, მაგრამ მე საღ აზრზე ამას ხელს არ მოვაწერ“.

# აშშ-ში ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის ეპიდემიაა

**უკანასკნელ ათ წელიწადში ამერიკაში უფრო მეტი ბავშვი მოკლეს, ვიდრე ერაყისა და ავღანეთის ომებში — ამერიკელი ჯარისკაცი. ბრიტანულმა გამოცემა „გარდიანმა“ გასული წლის მიწურულს გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ბავშვებზე ძალადობის ეპიდემია აშშ-ში“.**



ამერიკისთვის ბავშვის სიცოცხლის უგულებელყოფა ნორმაა?

**აშშ რეკორდსმენია 2011 წელს ბავშვებზე ძალადობის რაოდენობით.**

**ამერიკაში გარდაცვლილი ბავშვების 78% კვდება ოჯახებში მათი სიცოცხლის უგულებელყოფის მიზეზით**, ანუ ისევე, როგორც დიმა იაკოვლევი მოკვდა. ეს რუსეთიდან ნაშვილები ბიჭი ამერიკელმა მშვილებელმა მრავალი საათის განმავლობაში მანქანაში ჩაკეტილი დატოვა მცხუნვარე მზის გულზე.

დეკემბერში გამოქვეყნდა ახალი ეროვნული ანგარიში „Child Maltreatment 2011“, რომელიც 2011 წელს ამერიკელი ბავშვებისადმი ძალადობის ფაქტებს ასახავს ქვეყნის ყველა შტატში. ციფრები ბავშვებზე ძალადობის ეპიდემიაზე მიანიშნებს. **ამერიკაში ყოველ ათ წამში ერთხელ გაისმის განგაშის ზარი ბავშვის ან რამდენიმე ბავშვის წინააღმდეგ ძალადობის გამო.**

**ყოველდღე ამერიკაში ძალადობის შედეგად ხუთი ბავშვი კვდება. მათი 80% 5 წელზე ნაკლები ასაკისაა.**

**სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ახლა ამერიკა განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ბავშვებზე ძალადობის მაჩვენებლით. მხოლოდ 2011 წელს აშშ-ში სახელმწიფო ორგანოებში შევიდა 3,4 მილიონი განცხადება 6 მილიონზე მეტ ბავშვზე ძალადობის გამო.**

ეროვნული ანგარიშის დიაგრამები და სტატისტიკური მონაცემები შოკის მომგვრელია.

იმისთვის, რომ ასახოს, თუ როგორ ხოცავენ ამერიკელები თავიანთ ბავშვებს, „გარდიანი“ აქვეყნებს ერთ-ერთი დაზარალებულის მკურნალი ექიმის სიტყვებს, რომელიც ბავშვს დანით მიყენებული ანალური ჭრილობებისა და სხეულის იმ მძიმე დაზიანებებისგან კურნავდა, რომელიც მას მდუღარე ზეთში ფეხების ჩაყოფის, მთელი ღამით ყინვაში საკიდზე პერანგით კონწიალის შემდეგ მიადგა.

atnews.org

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავიდა რამდენიმე თვე. ზინოვიევი შეხვდა და ესაუბრა ინტელიჯენს სერვისის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც უთხრა, რომ „ისინი (ანუ დასავლეთის ძალები) საბჭოთა ტახტზე დასვამენ „თავიანთ კაცს“. ეს ვარაუდი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.**

საბჭოთა კავშირის დანგრევა რომ გლობალური მოვლენა იყო, განვლილმა დრომ დაადასტურა. დღევანდელი გადასახედიდან ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ კოლოსის მსხვრევის გარდაუვალობის მიზეზი იმპერიის სათავეში უნიჭო, შემთხვევით აღზევებული პატარა კაცების მისვლითაც იყო განპირობებული. სტალინის წასვლით დამთავრდა ტიტანების ეპოქა. იყო სხვა სერიოზული მიზეზებიც, რა თქმა უნდა, მაგრამ „საქართველო და მსოფლიოს“ ახალი რუბრიკა წინა ნომრებში სწორედ ამ თემით დავიწყეთ.
ეს ციკლი მრავალრიცხოვანი უცხოური პუბლიკაციების, საბჭოთა არქივების განსაიდუმლოებული მასალების მიხედვითაა შედგენილი.



# ასე იმსხვრეოდა ფოლადი

## ვინ დასვა მიხეილ გორბაჩოვი ტახტზე?

ამ შეკითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ჯერ კიდევ არავის გაუცია. ხოლო რაც უთქვამთ, ახალი და ახალი შეკითხვების საფუძველი გამხდარა.

როგორ მოხდა, რომ 1985 წლის მარტში, როცა ავადმყოფი გენერალური მდივნების პლეადა ერთმანეთის მიყოლებით მიიცვალა, როცა საბჭოთა კავშირის საბედისწერო ჟამი დადგა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია პროვინციელი ფუნქციონერი სტავროპოლიდან მიხაილ გორბაჩოვი.

ერთობ საეჭვო საკადრო გადაწყვეტილება იყო.

**პუბლიკაცია, რომლითაც დღეს გავაგრძელებთ შარშან დაწყებულ ციკლს „ასე იმსხვრეოდა ფოლადი“, სათაურში გამოტანილ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა.**

**არავითარი პრეტენზია ჭეშმარიტებაზე, არავითარი კატეგორიულობა მტკიცების. მხოლოდ ფაქტების ლოგიკური ჯაჭვი და დასკვნების მკითხველისთვის მინდობა.**

## „დასვით თქვენი კაცი ამ თანამდებობაზე...“

რუსი ანალიტიკოსები, მათ შორის ალექსანდრე ოსტროვსკი, საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობენ ცნობილი საბჭოთა დისიდენტის — **ალექსანდრ ზინოვიევის** მიერ გადმოცემულ ერთ ფაქტს.

1979 წელს, როცა ემიგრაციაში მყოფ ზინოვიევს შეეკითხნენ, საბჭოთა სისტემის რომელ ადგილს მიიჩნევს ყველაზე სუსტად, მან უპასუხა: **ყველაზე სუსტია ის ადგილი, რომელიც მიჩნეულია ყველაზე საიმედოდ, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აპარატი, მისი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, ამ უკანასკნელში კი — გენერალური მდივანი. „დასვით თქვენი კაცი ამ თანამდებობაზე, — ამბობდა ზინოვიევი აუდიტორიის თავშეუკავებელ სიცილში, — და იგი რამდენიმე თვეში დაანგრევს პარტიულ აპარატს... დაიწყება ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემის რღვევის ჯაჭვური რეაქცია“. და როგორც ამის შედეგი, დაიშლება მთელი საზოგადოება.**

გავიდა რამდენიმე თვე. ზინოვიევი შეხვდა და ესაუბრა ინტელიჯენს სერვისის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც უთხრა, რომ „ისინი (ანუ დასავლეთის ძალები) საბჭოთა ტახტზე დასვამენ „თავიანთ კაცს“. ეს ვარაუდი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მართალია, არც ზინოვიევი, არც რუსი ანალიტიკოსები არ ასახელებენ გორბაჩოვის გვარს, მაგრამ რამდენიმე თვეში გენერალური მდივნის თანამდებობაზე სწორედ მიხაილ გორბაჩოვი აღმოჩნდა.

ვითომ გორბაჩოვი იყო „იმათი კაცი“? საეჭვოა. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დიდ ბრიტანეთს საბჭოთა „პერესტროიკიდან“ არაფერი ისეთი არ მიუღია, რაც ლოგიკურად დაადასტურებდა ინგლისის სპეცსამსახურების მონაწილეობას გორბაჩოვის დაწინაურებაში.

მაგრამ ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ გორბაჩოვის კავშირს აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს) და მასონურ მოძრაობასთან.

**ზოგიერთი კი ისე შორს მიდის, რომ გორბაჩოვის ფაშისტებთან კავშირზე მიგვითითებს (!). სკკპ ცკ-ის მეორე მდივნის — ეგორ ლიგაჩოვის ყოფილ თანაშემწეს — ლეგოსტაევს ეკუთვნის ვერსია, „თითქოს ოკუპაციის პერიოდში მიშა გორბაჩოვმა გერმანულ ხელისუფლებას თანამშრომლობის წერილობითი ვალდებულება დაუდასტურა“, რომელიც „გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ მოკავშირეთა ხელში აღმოჩნდა“ და „შანტაჟის“ საშუალებად იქცა.**

ფანტაზიის ნაყოფია, რადგან არავითარი, ირიბი საბუთიც კი არსად ჩანს „თავისუფალ ფრენაში“ მყოფი ამ ვერსიების დამადასტურებელი. ასეთ მოარულ ხმებს ჩვენი პუბლიკაცია, ცხადია, გვერდს აუვლის. რაც არ ნიშნავს, რომ პრობლემა — დასავლეთის ადგილი მიხაილ გორბაჩოვის აღზევებაში მოხსნილად შეიძლება ჩაითვალოს. პირიქით, ეს თემა საგანგებო შესწავლის საგანი უნდა გახდეს, თანაც ორი მხრიდან — რუსეთისა და დასავლეთის ანალიტიკოსების ერთობლივი მონაწილეობითა და ძალისხმევით.

საბჭოთა პერიოდის ისტორიის შემსწავლელი მეცნიერები, განსაკუთრებით, პარტისტორიკოსები ყურადღებას მიაქცევენ გორბაჩოვის სტუდენტურ წლებს, მის ურთიერთობას უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც იმდროინდელ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაო რაოდენობით იყვნენ: 1953 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე რამდენიმე ათეული უცხოელი სწავლობდა.

სხვათა შორის, გორბაჩოვის თანაკურსელი იყო ჩვენი თანამემამულე **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** რომელმაც საზოგადოებრივი კარიერა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნობიდან დაიწყო. ამ სტრიქონების ავტორს საშასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ერთობლივი საქმიანობის პერიოდში და შემდგომაც, როცა იგი შევარდნაძის პრეზიდენტობისას ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრად, შემდეგ — საბერძნეთში საქართველოს ელჩად მუშაობდა. მძიმე ცხოვრებისგან დაუმსახურებლად დაჩაგრული, იგი 2012 წელს გარდაიცვალა.

ისლანდიაში (თუ ქვეყანა არ მეშლება) ელჩად დანიშვნის გარდა, გორბაჩოვი საშა ჩიკვაიძეს პატრონობდაო, ვერ ვიტყვი.

სამაგიეროდ მიხაილ სერგეევიჩი მეგობრობდა ჩეხ სტუდენტთან — **ზდენეკ მლინარჟთან** (1930-1997). მათი ურთიერთობისთვის როგორც უნივერსიტეტში, ასევე სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ.

არადა, საინტერესოა.

გორბაჩოვის ბიოგრაფი ა. ს. გრაჩოვი ამტკიცებს, რომ 1955 წლიდან 1985 წლამდე მიხაილ სერგეევიჩს და მლინარჟს პრაქტიკულად არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამ ხნის მანძილზე ისინი მხოლოდ ერთხელ, 1967 წელს შეხვდნენ ერთმანეთს, ისიც შემთხვევით. არაფერი ამაში გასაკვირი არ არის და მიუკერძოებელი მკითხველი ადვილად ენდობოდა ბიოგრაფს, ერთი შეუსაბამობა რომ არა. იგივე გრაჩოვი იმოწმებს გორბაჩოვის სიტყვებს, რომლებიც მას 1994 წელს გაზეთ „კომსოკოლსკაია პრავდასთვის“ უთქვამს: „ზდენეკი ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი იყო, ვიდრე რომელიმე ჩვენიანი“. 2002 წელს კი მიხაილ სერგეევიჩი დაადასტურებს: „მე მყავდა მეგობარი ზდენეკ მლინარჟი. ჩვენ ვმეგობრობდით მისი სიცოცხლის ბოლომდე“.

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ 1955 წლიდან გორბაჩოვი და მლინარჟი ახლო მეგობრებად რჩებოდნენ, მაგრამ ამ ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვას ამჯობინებდნენ.**

**რატომ?**

საამისო მიზეზი გორბაჩოვისთვის შემდეგი სერიოზული გარემოებები იყო, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს: 1955 წლიდან 1963 წლამდე ზდენეკ მლინარჟი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მუშაობდა, 1963-1967 წლებში იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი საკითხების კომისიის მდივანი, 1968 წელს კი ცენტრალური კომიტეტის მდივნად და პრეზიდიუმის წევრად ირჩევენ და „პრაღის გაზაფხულის“ ერთ-ერთი ბელადი ხდება. სწორედ ამის გამო იმავე წლის ნოემბერში მას დაკავებული თანამდებობებიდან გადააყენებენ, 1977 წელს კი პარტიიდან გარიცხავენ. 1977 წელს ზდენეკ მლინარჟი ხელს აწერს „ქარტია-77“-ს და იძულებული გახდება, თავი ვენას შეაფაროს.

დამეთანხმებით, რომ ასეთ „მეამბოხე“ მეგობართან ურთიერთობა საბჭოთა ფუნქციონერისთვის მართლაც დასამალი იყო. გორბაჩოვის ბიოგრაფი გრაჩოვიც შეეცადა, არ გაეცა ეს საიდუმლო, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ არც იცოდა: რაც ჩასძახეს, იგივე ამოსძახა. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი საკითხია.

**მთავარი ისაა, რომ, როგორც კი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიხაილ სერგეევიჩი გენერალურ მდივნად აირჩია, მან დაუყოვნებლივ მიიწვია მლინარჟი მოსკოვში, მაგრამ...**

**მაგრამ ფარულად შეხვდა.**

**ამ შეხვედრაში, ალბათ, იყო ისეთი რამ, რისი აფიშირებაც არ სურდათ. მაგრამ რა?**

გორბაჩოვის ახალგაზრდულ წლებს უკავშირდება უცხოელებთან ურთიერთობის კიდევ ერთი ფაქტი. 1961 წელს იგი მონაწილეობს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმში. საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით (შესაძლოა, არა მარტო ამ ცკ-ის დავალებით) იგი მიმაგრებული იყო იტალიის დელეგაციას. აქ ჩაეყარა საფუძველი მის კავშირს იტალიელ კომუნისტებთან, მაშასადამე, იმ მოძრაობასთან, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა ევროკომუნიზმი.

გამოგიტყდებით, ძალიან მჭლე ფაქტია, პრაქტიკულად არაფრის მთქმელი. იმ პერიოდში დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენლები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მსოფლიო ფორუმებზე. ლენინგრადში გამართულ სტუდენტთა მსოფლიო კავშირის ფორუმში საქართველოდან მეც ვმონაწილეობდი, მეც მყავდა იტალიელი მეგობარი კომუნისტები, მათ შორის ერთთან, რომელიც შემდგომში იტალიის სენატორი გახდა, წლების განმავლობაში — 1961 წლიდან სამოცდაათიანი წლების ბოლომდე — ვურთიერთობდი, ვსტუმრობდით ერთმანეთს რომშიც და თბილისშიც, მაგრამ ამისთვის კუდი არავის გამოუბამს.

თუმცა გორბაჩოვისა გორბაჩოვმა იცის.

1971 წელს მიხაილ სერგეევიჩი პირველად ეცნობა „კაპიტალისტურ სამყაროს“ — ჩადის იტალიაში. „შემდეგ გზას იკვალავს საფრანგეთისკენ, ბელგიისკენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისკენ“.

**უცხოელებთან კონტაქტი ჩვეულებრივ რუტინულ საქმედ იქცევა სტავროპოლის მხარის პარტიულ ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში. უმთავრესად მას სტუმრობდნენ ცენტრალური ევროპის მეგობარი ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. ჩადიოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც, უწინარეს ყოვლისა, ინგლისური ფირმის** ▶

## «ვარძელაშვილი არაკაცია, ადრე ლომი იყო, ახლა კურდღელია — ხან სად იმალება, ხან სად...»

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი კასპის გამგებლის მხრიდან შეურაცხყოფის უპასუხოდ დატოვებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ოლეგ იაძეს ნუცუბიძის №21-ში ელოდება.**

კასპის გამგებელმა ლადო ვარძელაშვილს „ხალათიანი ქეთინო“ და „კურდღელი“ „პირველი რადიოს“ ეთერში უწოდა და განაცხადა, რომ, „თუ სადმე შეხვდება, ყველაფერზე პასუხს აგებინებს“.

„შემოვიდა აივნიდან და წამოვიდა შეურაცხყოფის მეორე ტალღა, ცხვირწინ მიტრიალა პისტოლეტი და მითხრა: „ღირსი ხარ, ცხვირ-პირი მიგინგრიოო“. ცხვირ-პირის მინგრევა მაშინ ნახე, თუ სადმე გადავეყარე. ეს გინდა, მუქარად მიიღოს: მე მას მივეცი კაცურად საქმის გარკვევის საშუალება და შევთავაზე, მოებოდიშებინა ჩემთვის და მაშინ შეიძლებოდა, მეც ეს აგრესია დამეოკებინა, მაგრამ მობოდიშება კაცების ხვედრია. ის კიდევ არაკაცია, ადრე ლომი იყო, ახლა კურდღელია — ხან სად იმალება, ხან — სად, არ მიძებნია, მაგრამ, თუ გადავეყარე, მაშინ...“ — განაცხადა ოლეგ იაძემ რადიოეთერში საუბრისას.



# თუ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ დირექტორს — რობერტ მაიკლ ტეიტსს ვერწმუნებით, „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ენთუზიაზმით შეეგება 1983 წლის დასაწყისში გორბაჩოვის, როგორც ანდროპოვის პროტეჟეს, გამოჩენას“.

დაშლის ანატომია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ „ჯონ ბრაუნის“, გერმანული ფირმა „ლინდეს“ და ამერიკული „იუნიონ კარბაიდის“ ხელმძღვანელები და მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობდნენ ქიმიური ქარხნის დაპროექტებასა და მშენებლობაში. ინგლისური ბანკი „მორგან გრენფელი“ აფინანსებდა ამ პროექტს.**

საერთაშორისო კონტაქტები გახშირდა მას შემდეგ, რაც გორბაჩოვი საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. მიმომხილველები ყურადღებას მიაქცევენ ერთ ყოფით საკითხს, რომელიც მოსკოვში გადმოსვლასთან დაკავშირებით გორბაჩოვების ოჯახის წინაშე დადგა, კერძოდ, მისი ცოლის — რაისა მაქსიმოვნას შრომითი მოწყობის სახით. მას შესთავაზებენ ადგილს მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მოულოდნელად ქალბატონი რაისა განაცხადებს, რომ ეეჭვება, მისი ქმარი დიდხანს დარჩეს ცეკას მდივნის თანამდებობაზე და, სავარაუდოდ, რომელიმე ქვეყანაში ელჩად გაამწესებენ. ამიტომ, ფილოსოფიაში ლექციების წაკითხვის ნაცვლად, მას გადაწყვეტილი აქვს, შეისწავლოს ინგლისური ენა.

დიდად მნიშვნელოვანი არც ამ ფაქტის ქვეტექსტი უნდა იყოს. ზოგიერთი დაკვირვებული მიმომხილველის აზრით, ეს ქვეტექსტი ახირებაა, დაჟინებაა ქალის, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ გახშირდებოდა მისი მეუღლის საზღვარგარეთული მივლინებები, რომლებსაც იგიც არ უნდა გამოჰკლებოდა და ცეკას მდივნის განათლებული ცოლის როლის მოსარგებად ემზადებოდა.

მიხაილ გორბაჩოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეს პერიოდი პარტიულ ორბიტაზე ტრიალს უფრო ჰგავს, სადაც მარშრუტსა და მიმართულებას პარტაპარატის ტრადიციული ქარები განაპირობებენ და განსაკუთრებული ამაში არაფერია.

## მას ყურადღება მიაქციეს

მთავარია იმის დადგენა, როდის მიაქციეს ყურადღება ახალგაზრდა პარტიულ ლიდერს საზღვარგარეთ.

თუ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ დირექტორს — **რობერტ მაიკლ ტეიტსს** ვერწმუნებით, **„ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ენთუზიაზმით შეეგება 1983 წლის დასაწყისში გორბაჩოვის, როგორც ანდროპოვის პროტეჟეს, გამოჩენას“** *(რ. გეიტსი, „ჩრდილიდან“).*

რით იყო გამოწვეული მთავარი მზვერავისა და მისი კოლეგების ენთუზიაზმი და სიხარული?

ბევრის მთქმელია დახასიათება **„ანდროპოვის პროტეჟე“.** ანდროპოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ცხადია, ვის და რატომ გაუწევდა პროტექციას.

ეგებ, უფრო მნიშვნელოვანი იყოს გეიტსის ჩანაწერის მომდევნო წინადადება: **„ჩვენ მის შესახებ ბევრი რამ ვიცოდით“.**

იცოდნენ იმიტომ, რომ ინტერესდებოდნენ, მაგრამ არა მარტო გორბაჩოვით, არამედ სსკპ მთელი ხელმძღვანელობით. ეს აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთი სერიოზული მიმართულება იყო. არა ერთი და ორი ავტორის დამოწმება შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ თეთრ სახლში და, უპირველესად, ლენგლიში პოლიტბიუროს წევრების შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იცოდნენ, რაზეც ცენტრალური კომიტეტის წევრებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

შორს რომ არ წავიდეთ, **ალენ დალესის** წიგნი „ჯაშუშობის ხელოვნება“ გადავფურცლოთ, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოიცა. ავტორი აღიარებს: **„დასავლეთის დაზვერვის სამსახურები (ეს კარგადაა ცნობილი კომუნისტებისთვის)... ყურადღებით ადგენდნენ დოსიეებს კომპარტიის ყველა რანგისა და დონის წევრებზე — უმაღლესიდან უმდაბლესამდე, და გულმოდგინედ აფიქსირებენ მათ მოქმედებასა და გამოსვლებს, ფაქტებს პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან“.**

დიდი მიხვედრილობა არაა საჭირო იმის დასადგენად, რომ აშშ-ის დაზვერვა ასეთი გლობალური და ყველაფრისმომცველი ჯაშუშობისთვის არ გაცდებოდა, მაგრამ არც ის უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, რომ ამერიკის სპეცსამსახურების მოქმედების არეალი ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრს მოიცავდა.

ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური სადაზვერვო

მიხეილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანი ხელს აწერენ შეთანხმებას საშუალო და მოკლე მანძილის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. 1987 წ. 8 დეკემბერი. ვაშინგტონი.



> **არა ერთი და ორი ავტორის დამოწმება შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ თეთრ სახლში და, უპირველესად, ლენგლიში პოლიტბიუროს წევრების შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იცოდნენ, რაზეც ცენტრალური კომიტეტის წევრებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ**

სამმართველოს კართოთეკაში მიხაილ გორბაჩოვის სახელი და გვარი 1968 წელზე არაუგვიანეს უნდა დაფიქსირებულიყო, იმ დროიდან, როცა იგი პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩიეს.

მართალია, ალენ დალესი თავის წიგნში გვერდს უვლის საკითხს, თუ რატომ, რა მიზნით ცდილობდნენ, „მონდომებით შეეგროვებინათ“ დეტალური მონაცემები „პარტიის ყველა რანგისა და დონის“ წევრებზე, მაგრამ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ვგონებ, ძნელი არ უნდა იყოს.

**ასეთი მონაცემები სჭირდებოდათ, ჯერ ერთი, იმისთვის, რათა შეძლებოდათ დაედგინათ საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა დაჯგუფების არსებობა და გაეანალიზებინათ შესაძლო საკადრო გადაადგილებები, რათა ჰქონოდათ ზუსტი წარმოდგენა, თუ კერძოდ ვისთან ექნებოდა აშშ ადმინისტრაციას კონტაქტები; მაშასადამე, სწორად წარემართათ ამ პერსონებთან ურთიერთობა; მეორე, პარტიულ და საბჭოთა რიგებიდან გადაებირებინათ მათთვის საჭირო ფუნქციონერები.**

გადაბირებაში ჩვენი მკითხველები, როგორც წესი, ჯაშუშობასა და აგენტობას გულისხმობენ, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, უმეტესად ასე არ არის.

„პერესტროიკის“ პერიოდში შემოვიდა განსაზღვრა **„გავლენის აგენტი“**. ეს ფორმულირება 30-იან წლებში ცნობილი არ იყო, მაგრამ მასისთვის უფრო გასაგებ „ხალხის მტრებში“ ასეთი მიმართულებით გადაბირებული ადამიანებიც იგულისხმებოდნენ. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის პროფესიონალები განმარტავენ, რომ ასეთ აგენტებს უმეტესწილად პერსპექტივის გათვალისწინებით გადაიბირებდნენ. მათ საკმარისი მონაცემები უნდა ჰქონოდათ პარტიულ სახელმწიფო სტრუქტურებში კარიერული ზრდისთვის, გავლენიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად, ასევე, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამეთაურო პოსტებზე მოსახვედრად.

**„შუა 60-იანი წლებისთვის, — იხსენებს უშიშროების ყოფილი გენერალი ალექსანდრე სიდორენკო, — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებში დაიწყო შემოსვლა პირველმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და აშშ-ის სხვა სპეცსამსახურები გადავიდნენ ეგრეთ წოდებული გავლენის აგენტების გადაბირებაზე“.**

**ეს იყო ახალი საფეხური „ჩანერგილი აგენტურის“ ევოლუციური განვითარების.**

ცნობილი არ არის, თუ კონკრეტულად რა ინფორმაციას ფლობდა აშშ-ის დაზვერვა გორბაჩოვის შესახებ 1983 წლისთვის და კერძოდ რომელმა ინფორმაციამ დააინტერესა ამ სტრუქტურის ხელმძღვანელობა. მაგრამ ცხადია, იყო რაღაც ისეთი, რისი გამოყენებაც აშშ-ის პოლიტიკისთვის პერსპექტიულად სასარგებლო იქნებოდა — პირდაპირ თუ ირიბად.

როდის დაინტერესდა ამ ინფორმაციით აშშ-ის სპეცსამსახურები? მიმომხილველები იმოწმებენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის — არჩი ბრაუნის ერთ-ერთ პუბლიკაციას, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ, როგორც კი შეიტყო 1980 წლის 22 ოქტომბერს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად მიხაილ გორბაჩოვის არჩევის შესახებ, მან ეს უმალვე შეაფასა, როგორც **„ექსტრაორდინალური პოტენციური მნიშვნელობის მქონე“** ფაქტი.

ოქსფორდი, ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ცნობილია, როგორც აშშ-ის სპეცსამსახურების სამჭედლო, ამიტომ არჩი ბრაუნის განცხადება უფრო მეტია, ვიდრე რიგითი პროფესორის დაკვირვების შედეგი და ნუ გამოვრიცხავთ, რომ სპეციალური ინსტიტუტების ანალიტიკური კვლევის შედეგი იყოს.

ძალიან მარტივი იქნება, თუ ამგვარ შეფასებას ავხსნით იმით, რომ 1978 წლიდან 1980 წლამდე პრაქტიკულად უცნობი პროვინციელი ფუნქციონერი, პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხდება, შემდეგ — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, დაბოლოს — პოლიტბიუროს წევრი. **არჩი ბრაუნი წერს, რომ გორბაჩოვმა მისი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1978 წელს, როცა სკკპ ცკ-ის მდივანი გახდა. ხოლო მისდამი ინტერესი განსაკუთრებით გაეზარდა მას შემდეგ, რაც იგი (ბრაუნი) 1979 წლის ივნისში შეხვდა ზდენეკ მლინარჟს — გორბაჩოვის სტუდენტობის მეგობარს, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, „პრაღის გაზაფხულის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო.**

**ისევ ის საიდუმლო ფიგურა.**

**არმაზ სანებლიძე**

**გაგრძელება იქნება**

მარგარეტ ტეტჩერი და მიხეილ გორბაჩოვი მოლაპარაკებაზე მოსკოვში, 1987 წ.




## საქართველოში შევარდნაძის დროინდელი კრიზისი დაბრუნდა

**საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი დაიწყო. აღნიშნული განცხადება ვანო მერაბიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

**droni.ge-ს ინფორმაციით, ექსპრემიერის განცხადებით, ქვეყანაში შევარდნაძის დრო ბრუნდება და სახელმწიფო ბიზნესმენებს გადასახადების წინასწარ გადახდას აიძულებს.**

საქართველოში არსებული სავალალო ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზად მერაბიშვილმა შემდეგი სამი ფაქტორი დაასახელა:

1. ხდება ბიზნესების შევიწროება. ყოველდღე მიმდინარეობს მათი შემოწმება. შსს-ს ყოფილი მინისტრის განმარტებით, დღესდღეობით ბიზნესმენებს შსს-ც კი ამოწმებს. **„ჩემი მინისტრობის დროს შსს-ს ბიზნესკომპანიების შემოწმება აკრძალული ჰქონდა“,** — განაცხადა მერაბიშვილმა;

2. შეჩერდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა და ბიუჯეტში შემოსავლების შემცირება;

3. მთავრობას არ გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონკრეტული გეგმა.

მერაბიშვილისავე განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ უახლოეს მომავალში საზოგადოებას კონკრეტულ ციფრებს წარუდგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკის უკუსვლას უფრო თვალსაჩინოს გახდის.



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ატომის «სოკო» ნაგასაკის თავზე, 1945 წ.

კაცობრიობის სისასტიკის უტყუარი მტკიცებულება. ფოტო გადაღებულია ამერიკის საჰაერო სამხედრო ძალების მიერ. ფოტოგრაფი უცნობია. 1945 წლის 6 აგვისტოს პირველმა ატომურმა ბომბმა ხიროსიმაში მცხოვრები 80 000 იაპონელი მოკლა, ხოლო 3 დღის შემდეგ ნაგასაკში ჩამოვარდნილი ბომბის სხივების სიმხურვალემ რამდენიმე ათას გრადუსს მიაღწია, რადიაციამ ირგვლივ ყველაფერი გაანადგურა, საერთო ჯამში კი შეიწირა 150 000 ადამიანი.



# ფოტოები, რომლებმაც შეძრა მსოფლიო



## ფოტოგრაფიის პირველი პირმშო

1826 წელს ფრანგმა ჟოზეფ ნიკიფორ ნიეფსიმ თავისი სტუდიის ფანჯრიდან შექმნა ხედის რეპროდუქცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ფარდულის დაქანებული სახურავი და მსხლის ხე. ხის ტოტებს შორის ცის კამარა და მტრედების სახლი მოჩანდა.

ეს უხეში და გაურკვეველი გამოსახულება კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში პირველ წარმატებულ ფოტოსურათს წარმოადგენდა. ნიეფსიმ ამ სურათს ჰელიოგრაფია (მზე-მხატვრობა) უწოდა. პირველი ფოტოს გამჟღავნებას 8 საათი დასჭირდა.

1793 წელს ნიკიფორემ და მისმა ძმამ კლაუდმა პირველად წარმოიდგინეს ფოტოგრაფიული პროცესი. მომდევნო წლების განმავლობაში ნიკიფორე ექსპერიმენტებს ატარებდა სინათლეზე მგრძნობიარე სხვადასხვა მოწყობილობებსა და კამერებზე.



## სიცოცხლეზე ხელმოჭიდებული ნაყოფი

ამერიკაში ოპერაციის დროს გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ფოტო. 21 კვირის ნაყოფმა დედის საშვილოსნოდან გამოყო პაწაწინა ხელი და ქირურგის თითს ჩაეჭიდა.



## პირველი ნაბიჯები მთვარეზე, 1969 წელი

თუკი წყაროთა გარკვეულ ნაწილს დავეყრდნობით, Neil Armstrong-ი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარეზე გაისეირნა.



## «დედამიწის ამოსვლა», 1968 წელი



## შიმშილი

ჯეიმს ნაჩტვეის ფოტო გადაღებულია 1992 წლის ნოემბერში. ბარდერაში, სომალში, დედას შიმშილისგან მკვდარი შვილის ცხედარი მიაქვს.



## ავღანელი ლტოლვილი გოგონა

ფოტო გადაღებულია მსოფლიო რეპორტაჟული ფოტოგრაფიის ლეგენდად აღიარებული სტივ მაკკარის მიერ.

მისი ფოტოხელოვნების შედევრად ავღანელი ლტოლვილი გოგონას ფოტოა მიჩნეული. სტივ მაკკარიმ 13 წლის შარბათ გულა პაკისტანის ქალაქ ნასირ-ბაგში, ლტოლვილთა ბანაკში შენიშნა. ავღანეთში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ გოგონას მშობლები დაეღუპა და ნათესავებთან ერთად თავშესაფარში ცხოვრობდა.

1984 წელს პუშტუნელმა შარბათ გულამ, მსოფლიოში სახელი გაითქვა. პირველად ეს ფოტო ჟურნალ National Geographic-ის გარეკანზე დაიბეჭდა და ამავე ჟურნალის საუკეთესო ტოპ-ასეულში მოხვდა. გულას მომაჯადოებელ მზერას, გახუნებული და ალაგ-ალაგ დამწვარი თავსაბურავი მატებდა ელფერს. ამის შემდეგ ამ ფოტომ ლია ბარათებსა თუ სხვადასხვა გამოცემის ფურცლებზე გადაინაცვლა.

როდესაც 17 წლის შემდეგ ფოტოგრაფმა გოგონა მოძებნა და უკვე 30 წლის გულამ ფოტოს დახედა, უკმაყოფილო დარჩენილა, რომ გაცვეთილ თავსაბურავში იყო აღბეჭდილი. ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე თვეში შარბათ გულა გათხოვილა. მას ოთხი შვილი შეეძინა, რომელთაგან ერთ-ერთი დაეღუპა.



## «შიმშილი სუდანში»

კევინ კარტერი ოთხ ფოტოჟურნალისტთან ერთად მუშაობდა აფრიკაში და ეძებდა ფოტოსენსაციებს. მან 1994 წელს ამ ნამუშევარმა პულიტცერის პრემია და მსოფლიო აღიარება მოუტანა. სურათზე ასახულია შიმშილისგან მოკუნტული და სიკვდილის პირას მისული სუდანელი გოგონა. კევინ კარტერი საკვების გამცემი პუნქტიდან მოშორებით მიმოდიოდა, როდესაც ტირილის ხმა შემოესმა. იქვე მინდორზე დაინახა შიმშილისგან ძალაგამოცლილი და მოკუნტული გოგონა, რომელიც სიკვდილის პირამდე მისული ჩუმად ტიროდა. ფოტოგრაფმა კამერა მოიმარჯვა და გადაღება დააპირა, როდესაც ბავშვთან ახლოს სვავი მოფრინდა. კევინმა შესანიშნავი ფოტოს გადაღების შანსი გამოიყენა, შეარჩია პოზიცია და ასე შექმნა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე გახმაურებული სურათი. კადრში მოსჩანს მტაცებელი ფრინველი, რომელიც გოგონას დასაკორტნად მის სიკვდილს ელოდება. ფოტომ მთელი ცივილიზებული მსოფლიო შოკში ჩააგდო.

როცა ფოტოგრაფს ჰკითხეს, რატომ არ დაეხმარა გოგონას და საკვების გაცემის პუნქტში არ მიიყვანა, კევინმა უპასუხა: ჩემი მოვალეობა ინფორმაციის მოწოდებაა და არა ვინმეს დახმარებაო. ამ ამბის ერთადერთი მოწმე ფოტოგრაფი ჟოაო სილვა იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ სურათზე დედის მიერ გაეროს დახმარების პუნქტიდან საჭმლის მოპოვებისას ცოტა ხნით მიგდებული ბავშვია გადაღებული, სვავი კი კადრში შემთხვევით აღმოჩნდა.

მიუხედავად წარმატებული ფოტოკარიერისა, ფოტოგრაფს დეპრესია განუვითარდა (სავარაუდოდ, სუდანის შემზარავი ამბის მოგონებების ფონზე) და 33 წლის ასაკში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვნეს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ფოტოსურეალიზმი

**ფოტოგრაფმა ფილიპ ჰალცმანმა სახელი გაითქვა ორიგინალურად გადაღებული ფოტოებით, რომლებზეც ჰაერში ამხტარ ადამიანებს იღებდა. ფოტოგრაფი თვლიდა, რომ ნახტომში ყველაზე კარგად ჩანს ადამიანის ნამდვილი სახე.**

ამ სურათის გადასაღებად ფოტოგრაფს 6 საათი, დამხმარეებით სავსე ოთახი, რამდენიმე ათეულჯერ ჰაერში გასროლილი კატები და წყლიანი ვედროები დასჭირდა. ფოტოს უკანა ფონზე ჩანს სალვადორ დალის დაუმთავრებელი ნახატი.



## შტორმის შემდეგ

**პატრიკ ფარელის მიერ გადაღებული ფოტო ჰაიტის ტრაგედიისას, 2008 წელს.**




## «თეთრები და ფერადები»

**ჩრდილოეთ კაროლინა, 1950 წელი. დისკრიმინაციის ადრეული გამოვლინებები. სურათი, რომელიც მიუთითებს სოციალური სეგრეგაციის უსამართლობაზე, ფართოდ ცნობილი გახდა, როგორც სიმბოლო ცვლილების აუცილებლობისა.**



## ოპერაცია «ლომის გული»

**ფოტოჟურნალისტმა დეან ფიცმაურიკმა ამ ფოტოსთვის 2005 წელს პულიტცარის პრიზი მიიღო. ოპერაცია „ლომის გული“ მოგვითხრობს 9 წლის ერაყელი ბიჭის ისტორიას, რომელიც ძალიან მძიმედ დაიჭრა აფეთქებისას ერაყის ომში – თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი კონფლიქტის დროს.** ბიჭი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ათობით მძიმე ოპერაცია გაუკეთდა. სიკვდილთან მამაცური ბრძოლისა და დიდი გამბედაობის გამო მას ზედმეტსახელად „ლომის გული“ უწოდეს.



## ომაირა სანჩესი

**1985 წლის 13 ნოემბერი. ვულკანის ამოფრქვევა ნევადო დელ რუისში (კოლუმბია). თოვლი დადნა და 50 მეტრის სისქის ტალახის, მიწის და წყლის მასამ ყველაფერი მიწასთან გაასწორა. დაღუპულთა სიამ 23 000-ს მიაღწია. ამ კატასტროფამ მთელი მსოფლიო შეძრა, სწორედ ამ ფოტოს დამსახურებით, რომელზეც პატარა გოგონა სახელად ომაირა სანჩესია გამოსახული. ის მახეში გაება – ყელამდე ტალახში ჩაფლულ ბავშვს ფეხები ჩამონგრეული სახლის ბეტონის კონსტრუქციაში მოყვა. მაშველები ამაოდ ცდილობდნენ ჭუჭყიანი წყლის ამოტუმბვას და ბავშვის გათავისუფლებას. 3 დღის განმავლობაში ვერავინ შეძლო მისი ფეხების ბეტონის ფილებიდან გათავისუფლება და გოგონას ამოყვანა.**

ომაირას ამბავი შუქდებოდა ტელევიზიით, მასთან მიდიოდა ხალხი, იგი კი გამუდმებით ითხოვდა დახმარებას. ასე გაგრძელდა სამი დღე, ვიდრე ომაირა რამდენიმე ვირუსით არ დაინფიცირდა, რის შედეგადაც განგრენა და ჰიპოთერმია განუვითარდა.

როგორც ჟურნალისტი კრისტინა ეჩანდია იხსენებს, რომელიც ამ დროის განმავლობაში ომაირას არ მოშორებია, გოგონა მღეროდა და ირგვლივ მყოფთ ესაუბრებოდა. მას ეშინოდა და წარამარა წყალს ითხოვდა. მესამე ღამეს ჰალუცინაციები დაეწყო. საბოლოოდ აგონიურ მდგომარეობაში ტელეკამერებისა და ფოტოობიექტივების თვალწინ დაიღუპა. ეს ფოტო გადაღებულია ფრანკ ფურნიერის მიერ ომაირას სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე.

## ოჯახური ძალადობის მსხვერპლი



**ვანდალიზმის შემზარავი ფაქტი — 19 წლის ბიბი აიშას ქმარმა ცხვირი და ყურები მოაჭრა, რადგან გაუსაძლის პირობებში მყოფმა ოჯახის მიტოვება გაბედა და ამით ქმრის სახელი შეარცხვინა.**

აიშას ტანჯვა მაშინ დაიწყო, როცა საკუთარმა მშობელმა იგი 16 წლის ასაკში მომავალი ქმრის მამასა და 10 ძმას გადასცა, სადაც 2 წელი ციხეში მყოფივით გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მეუღლე არც უნახავს, რადგან პაკისტანში იბრძოდა. მუდმივ ტანჯვასა და შეურაცხყოფას აიშამ ველარ გაუძლო და გაიქცა. იგი დაიჭირეს და ოჯახში ძალით დააბრუნეს. იმ დღეს პირველად ნახა ქმარი, რომელიც შინ მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ ოჯახის შემარცხვენელი ცოლი თალიბანთა სასამართლოსთვის გადაეცა. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ქმარმა აღასრულა და დასახიჩრებული ახალგაზრდა ცოლი მთებში მომაკვდავი დააგდო, სადაც უგონო მდგომარეობაში მყოფი შემთხვევით იპოვეს და ამერიკაში წაიყვანეს სამკურნალოდ. აიშა მიიჩნიეს ავღანეთში ოჯახური ძალადობისა და მონობის ქვეშ ჩუმად მყოფი ათი ათასობით ქალის სახედ.



## ავღანელი ლტოლვილი ბიჭუნა მტვრის ქარბუქს ემალება

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრიტანელი ქათამი 8-მდე ითვლის

**ბრიტანელი ქათამი მეტსახელად კეროლ ვორდერმანი 8-მდე ითვლის. 47 წლის დიასახლისი ჰელენ ჯონსი გაოგნებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ მისი ქათამი ბანქოს ქაღალდზე ნისკარტით იმდენჯერ აკაკუნებდა, რამდენ გამოსახულებასაც ხედავდა. მისი თქმით, კეროლი ჯერჯერობით მხოლოდ 8 გამოსახულებას არჩევს, თუმცა, დიასახლისი გონიერ ფრინველს ავარჯიშებს და იმედოვნებს, რომ მეტ წარმატებას მიაღწევს.** როგორც ჰელენი ამბობს, ქათამთან სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა „მეცადინეობის“ მიმართ ინტერესი არ დაკარგოს. დიასახლისი ფრინველს საშუალოდ 2-3 წუთის განმავლობაში ავარჯიშებს. თითოეული სწორი პასუხისთვის კეროლი ჯილდოს იღებს. კეროლის მიბაძვას სხვა ქათმებიც ცდილობენ, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.



# უკანასკნელი 20 წლის საუკეთესო გრიმები

**ამ მსახიობების ცნობა ძნელია და ეს გრიმის სპეციალისტების დამსახურებაა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ პროფესიის წარმომადგენლებმა შემდეგი შედევრებით ისახელეს თავი:**









ფილმ „საათში“ შესრულებული როლისთვის **ნიკოლ კიდმანმა** „ოსკარი“ მიიღო. მსახიობმა ითამაშა მძევალი, ვირჯინია ვულფის როლი, რისთვისაც ზედნადები ცხვირი გაუკეთეს.

**ლეონარდო დიკაპრიოს** FBI-ს დირექტორის, ჯონ ედგარ გუვერის, როლისათვის ფილმში „დჯ. ედგარი“ გაუკეთეს კონტაქტური ლინზები, კბილის პროტეზები და ლატექსის ხუნდები.

**ჯენიფერ ლოურენსი** და **რებეკა რომეინი** Mystique-ს როლისთვის ფილმში „იქს ადამიანები“ იკეთებდნენ გრიმს, რომელიც ყოველი გადაღების წინ რამდენიმე საათის განმავლობაში კეთდებოდა.

**ჯოზეფ გორდონ-ლევიტმა** ითამაშა ახალგაზრდა ბრიუს ვილისის პერსონაჟი ფილმში „Looper“. გრიმის მეშვეობით ჯოზეფი მაქსიმალურად მიემსგავსა ბრიუს ვილისის პერსონაჟს.

**მარკ უოლბერგმა** ფილმში „ღამე ბუგის სტილში“ ითამაშა პორნოვარსკვლავ დირკ დიგლერის როლი.

**შარლიზ სტერონს** მაქსიმალურად მისამსგავსებლად სერიული მკვლელი ეილინ უორნოსის როლისთვის გაუკეთეს კბილის პროტეზები, ცხიმიანი თმა და ამოწიწკნილი წარბები.

**ტომ კრუზი** ფილმში „Tropic Thunder“ ჰოლივუდურ ნაძირალად გადაიქცა. საამისოდ იგი გაამელოტეს, გახადეს მსუქანი და ბანჯგვლიანი.

**სელმა ბლერს** როლისთვის ფილმში „A dirty shame“ გაუკეთეს იმდენად დიდი მკერდი, რომ შემდეგ მსახიობი იხსენებდა, როგორ ელოდებოდა მთელი დღე იმ ბედნიერ მომენტს, როდესაც ამ სიმძიმეს მოხსნიდნენ.

ოსკარზე ნომინირებული ლეგენდარული „დიკ ტრეისი“ დაამახსოვრდა მაყურებელს ბანდის მეთაურით, რომელშიც არც თუ ისე ადვილად ამოსაცნობია **ალ პაჩინო.**

**მაიკ მაიერსმა** ითამაშა ერთდროულად რამდენიმე როლი: დოქტორი ბოროტების ფილმში „ოსტინ პაუერსი“. ბევრმა არ იცის, რომ მას ოსტინ პაუერსის გარდა ამავე ფილმში შესრულებული აქვს სქელი ნაძირალას როლი.

დევიდ ლინჩის ფილმში „ადამიანი-სპილო“ ჩანს ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური გრიმი. ნიღბის ქვეშ იმალება მსახიობი **ჯონ ჰარტი.**

**მერილ სტრიპმა** ითამაშა ინგლისის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის როლი ფილმში „რკინის ლედი“. ამ გრიმის წყალობით მისი როლი ოსკარის მფლობელი გახდა.

**რობინ უილიამსის** ყველაზე ნათელი როლი გახდა ძიძის როლი ფილმში „მისის დაუტფაიერი“, რომლის გრიმის გენიალურობა ალბათ ყველას საკუთარი თვალით აქვს ნანახი.

**ჰელენ ბონემ** კარტერმა შეასრულა პრიმატის როლი ფილმში „მაიმუნების პლანეტა“.

**სტივ მარტინმა** არამარტო დაწერა სცენარი და გახდა აღმასრულებელი პროდიუსერი სირანო დე ბერჟერაკეს ისტორიაში, არამედ მან შეასრულა გრძელცხვირა პერსონაჟის როლიც ფილმში „როქსანა“.

# სასწაულები ასანთის ყუთებით

მოქანდაკე პატრიკ აქტონი ქმნის შენობების მინი მოდელებს ასანთის ყუთებით და წებოს საშუალებით. იგი ამ საქმით დაინტერესდა ჯერ კიდევ 1977 წელს, როდესაც თავისი პირველი მოდელი შექმნა. ამის შემდეგ კი რამდენიმე კომპანიისაგან შეკვეთებიც მიიღო. დღეისათვის მას შექმნილი აქვს 60-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთაგან თითოეული შედგება 400 000 – 600 000 ასანთის ყუთისგან.











## ევკალიპტის ცისარტყელა

„ცისარტყელას ხე“. ასე უწოდებენ უმშვენიერეს მცენარეს, რომელიც ძალიან გავს ცისარტყელას. ეს ხე იზრდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ცნობილია, რომ დეკორატიული მიზნებისათვის გააშენეს. მისი სიმაღლე 36 მეტრს აღწევს. ევკალიპტის ცისარტყელა ძირითადად ჰავაის კუნძულებზე ხარობს.






ქრონოგრაფი
უცნაური სამყარო და მეთოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიგანტური ბოსტნეული

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბოსტნეულის მოყვანით დაკავებული ადამიანები მუდამ იწონებენ თავს საშუალოზე დიდი ნაყოფით, რომელიც მათ ბოსტანში ხარობს. მაგრამ გასულ წელს მოყვანილი ყველაზე დიდი ნაყოფებისთვის კი ნამდვილი ფესტივალი მოეწყო. ამ მასშტაბების ხახვებს, სტაფილოებსა თუ სოკოებს სხვაგან ვერსად ნახავდით. ფოტოებზე ბედნიერი მებაღეები თავიანთ მოსავალთან ერთად არიან ასახულნი.










# კროსვორდული რეკორდები

**დღეისთვის კროსვორდების შევსებაში პირველ ადგილს იკავებს როჟ ბოუკარტი ბელგიიდან. თავის 65 წლის იუბილეზე მან გინესის რეკორდების წიგნს შესთავაზა მსოფლიოში ყველაზე დიდი კროსვორდი, რომლის ზომებია 31 მეტრი სიგრძეში, 53 სანტიმეტრი სიგანეში და მოიცავს 50 400 სიტყვას. კროსვორდის შედგენაზე მას 4 წელი დასჭირდა. კროსვორდის კითხვების წიგნი კი 2734 ფურცლიანია.**



მინიმალური დრო გაზეთ „თაიმსის“ კროსვორდის შევსებისთვის – 3 წუთი და 45 წამი დასჭირდა ინგლისელ რონ დინს BBC-ს ორგანიზებულ ჩემპიონატზე 1970 წლის დეკემბერში.

1966 წლის მაისში ლონდონის გაზეთ „თაიმსის“ ოფისში ფიჯის კუნძულიდან მიიღეს წერილი, რომელშიც ქალი წერდა, რომ მან ახლახან შეავსო 673-ე გამოშვების კროსვორდი, რომელიც დაიწერა 1932 წლის 4 აპრილს. ამ ფაქტის შემდეგ კროსვორდის შევსების ყველაზე დიდ დროდ დაფიქსირდა 34 წელი.

ყველაზე პროდუქტიული კროსვორდის შემქმნელი გახლავთ როჯერ ფ. სკვაიერსი. კვირაში იგი 35 კროსვორდს გამოსცემს გაზეთებისთვის.

კროსვორდების მაქსიმალური რაოდენობა აქვს შედგენილი ადრიან ბელს. 1930 წლის იანვრიდან 1980 წლამდე მან გაზეთ თაიმსისთვის 4 520 კროსვორდი შეადგინა.

თურქმა კროსვორდის მოყვარულებმა შეადგინეს კროსვორდი ფართობით 21 კვადრატული მეტრი. მისი სიდიდე შედგება 200 საშუალო კროსვორდისგან.

კროსვორდის შევსების შეჯიბრი არის ყველაზე ძნელი ინტელექტუალური შეჯიბრი მსოფლიოში. საათნახევრის განმავლობაში მონაწილეებმა უნდა შეავსონ 5 კროსვორდი: ორი ინგლისურ ენაზე, ორი სხვა ევროპულ ენაზე და ერთი შერეული, მაგალითად ინგლისურ-ფრანგული ან ინგლისურ-გერმანული....

**მსოფლიოში არის კროსვორდის 24 ნაციონალური სახეობა. მათგან ყველაზე პოპულარულია იაპონური და სკანდინავიური, მათ შემდეგ კი მოდის ესტონური და უნგრული კროსვორდი. სხვათა შორის, არსებობს სამგანზომილებიანი და უსაზღვრო კროსვორდები.**

# «ყველაზე სწრაფი ადამიანი»

**მსოფლიოში ყველაზე სწრაფმა მევიოლინემ ბენ ლიმ „ყველაზე სწრაფი ზეადამიანის“ ტიტული მოიპოვა. მან Flight of the Bumblebee წამში 15 ნოტის სიჩქარით დაუკრა და ბრიტანულ ტელეარხ Discovery-ის ტელეშოუ Superhuman Showdown-ში ახალი რეკორდი დაამყარა.**



ანონიმმა ჟიურის წევრებმა და მეცნიერებმა 32 წლის მუსიკოსს სხვა ორ კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიანიჭეს. მკვლევარები ელექტრომაგნიტურ იმპულსებს იყენებდნენ, რომ პრეტენდენტების ტვინის აქტივობას დაკვირვებოდნენ.

მევიოლინე ბენ ლი მსოფლიოს ყველაზე სწრაფ მევიოლინედ ზედიზედ სამჯერ აღიარეს. **„ასეთი სისწრაფის მისაღწევად, არაერთი საათი ვარჯიში დამჭირდა“,** — ყვება რეკორდსმენი.

ბენ ლი ვიოლინოზე ხუთი წლიდან უკრავს, 16 წლისა პრემია „წლის ახალგაზრდა ჯაზ-კომპოზიტორზე“ იყო ნომინირებული. იგი პირველი მევიოლინეა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. შარშან, ავარიის შემდეგ, მევიოლინემ საკუთარი თითები 3 მილიონ ფუნტად დააზღვია.

რეკორდსმენმა Flight of Bumblebee მთლიანად 58,05 წამში შეასრულა.



# უბუმბულო ქათმები

ისრაელში გამოიყვანეს ქათმების ახალი ჯიში ბუმბულის გარეშე. იგი ადაპტირებულია გარემოს მიმართ, იზრდება სხვა ჯიშებზე სწრაფად და ხორცი შეიცავს ჩვეულებრივზე ნაკლებ კალორიებს.




# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

# ოპერის თეატრის ორკესტრთან გიორგი იაშვილი დაუკრავს

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 20 იანვარს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს.**

**კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია. შესრულდება ფრანც შუბერტის მერვე სიმფონია, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კონცერტი №5 ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, ქრისტოფ ვილიბალდ გლიუკის მელოდია ოპერიდან "ორფეოსი და ევრიდიკე", ჟიულ მასნეს მედიტაცია ოპერიდან "ტაისი". სოლისტის ამპლუაში წარსდგება საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ახალგაზრდა ქართველი მევიოლინე გიორგი იაშვილი. კონცერტს წარუძღვება დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**



**გიორგი იაშვილი** დაიბადა თბილისში, მუსიკოსთა ოჯახში. მისი პირველი პედაგოგები იყვნენ დედა — ვირტუოზი, სახელგანთქმული მევიოლინე, პროფესორი ნანა იაშვილი და ბაბუა, საქართველოში სავიოლინო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ლუარსაბ იაშვილი.

მოგვიანებით, მაესტრო კლაუდიო აბადოს რეკომენდაციით გიორგიმ სწავლა გააგრძელა ვენაში, პროფესორების ზ. ბრონისა და ჰ. შულცის ხელმძღვანელობით. გიორგი იაშვილის ნიჭიერება არაერთმა მუსიკოსმა აღნიშნა, მათ შორის, იეგუდი მენუჰინმა, ისააკ სტერნმა, მსტისლავ როსტროპოვიჩმა.

გიორგი იაშვილი სოლისტის ამპლუაში ხშირად გამოდის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში (ნიუ-იორკის ლინკოლნ ცენტრი, სიდნეის ოპერის თეატრი, ბერლინის ფილარმონია, კიოლნის, მიუნხენისა და მოსკოვის კონსერვატორიები); მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში — Schleswig Holstein, Aix en Provence, Salzburg and Vienna Summer. გიორგი იაშვილი თანამშრომლობს ზუბინ მეტასთან, ვალერი გერგიევთან და პლასიდო დომინგოსთან; მონაწილეობდა სახელოვანი მევიოლინეების, მათ შორის, ლიანა ისაკაძის პროექტებში.

გიორგი მრავალი საინტერესო პროექტის ორგანიზატორია, რომელთაგან აღსანიშნავია ნიუ-იორკში 1998 წელს გაეროს შტაბ-ბინაში გამართული კონცერტი „მუსიკისა და ხელოვნების განვითარებისათვის".

2006 წელს გიორგი ორკესტრში კონცერტმაისტერად მიიწვია მაესტრო ლორინ მააზელმა. ასევე საგულისხმოა მისი მოღვაწეობა ვალენსიის ოპერაში ზუბინ მეტასთან.

2007 წელს მუსიკოსის სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა მაქსიმ შოსტაკოვიჩის პროექტში, სადაც შესრულდა დიმიტრი შოსტაკოვიჩის კვარტეტები.

გიორგი არის კამერული ორკესტრის — "Solistes des Arts" ის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ეს ორკესტრი, რომელშიც გაერთიანდნენ ლორინ მააზელისა და ზუბინ მეტას ორკესტრების წამყვანი ახალგაზრდა მუსიკოსები, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად არის მიჩნეული.

2010 წელს გიორგი იაშვილი მონაწილეობდა V საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" კონცერტებში თბილისსა და ახალციხეში, ასევე ლიანა ისკაძის ფესტივალში „ღამის სერენადები" ბათუმში.

ამჟამად, გიორგი იაშვილი თანამშრომლობს ბავარიის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან, რომლის ხელმძღვანელია ცნობილი დირიჟორი მარის იანსონსი.

**საინტერესო პროგრამა და მუსიკოსთა მაღალი საშემსრულებლო დონე კონცერტის წარმატების საწინდარია. ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს და ისიამოვნეთ.**




# კობა დავითაშვილის ინიციატივით აზარტული თამაშების რეკლამირებაზე შეზღუდვები დაწესდება

**აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამირებაზე, მათ შორის მის სამაუწყებლო რეკლამაზე, შესაძლოა, შეზღუდვები დაწესდეს.**

შესაბამისი საკანონდებლო ინიციატივით დეპუტატი კობა დავითაშვილი გამოდის, რომლის მიერ მომზადებულ კანონში „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ" შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე იქნება ინიცირებული.

**წარმოდგენილი პროექტით, აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამაზე, გარდა წამახალისებელი გათამაშებისა, შეზღუდვები დადგინდება. ასევე განისაზღვრება ჯარიმის ოდენობა აღნიშნული დარღვევისთვის.**

# ამნისტიით გათავისუფლებული პატიმარი ორ დღეში გარდაიცვალა

**„მუხროვანის ამბოხში" ბრალდებული და პოლიტპატიმრის სტატუსით 13 იანვარს გათავისუფლებული ირაკლი თოფურიძე გარდაიცვალა.**

ამის შესახებ, უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ, info9.ge-ს ინფორმაციით, ოკუპაციის მუზეუმთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კაკაბაძის განცხადებით, თოფურიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას უკვე ძალიან მძიმე იყო და იგი ფაქტობრივად მიცვალებული გამოიყვანეს. 13 იანვარს ამნისტიით 190 პოლიტიკური სტატუსის მქონე პირი გათავისუფლდა.

# მეგის ქარდავა ვიდეომასალაში ასახული ფაქტების ორგანიზებას აბსურდულს უწოდებს

**მეგის ქარდავას ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, მეგის ქარდავა პროკურატურის განცხადებას და ვიდეომასალაში ასახული ფაქტების ორგანიზების ბრალდებას აბსურდულს უწოდებს.**

for.ge-ს ინფორმაციით, ადვოკატის თქმით, პროკურატურის მიერ ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ, ქარდავას ესაუბრა, რომელიც კატეგორიულად უარყოფს აღნიშნული ვიდეომასალის გადაღების ორგანიზებას.

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, პროკურატურამ ქარდავას ბრალი გუშინ სულ სხვა ეპიზოდის მიხედვით წარუდგინა და აღნიშნულ კადრებზე ბრალდება არ არის წარდგენილი.

„დანაშაული არის წამების ორგანიზება და არა გაუკულმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის ორგანიზება. გუშინ ქარდავასთვის წარდგენილი ბრალდება ეხება სულ სხვა ეპიზოდს, კერძოდ, პატიმარს. მეგის ქარდავას პოზიცია არის ის, რომ სისულელეა ასეთი რამ ადამიანს დააბრალო. ვიღაც თანამშრომელი თუ ვინმეს ულებდა და ამაში ფულს იღებდა, ეს არ შეიძლება მეგის ქარდავას დავალებული იყოს. არ შეიძლება ყველაფერი ამ ადამიანს დააბრალონ. ქარდავა მიიჩნევს, რომ აბსურდულია ეს ყველაფერი და პროკურატურა ყველაფერს აკეთებს, რომ მოუგროვოს უაზრო ბრალდებები", — განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პირების მიერ მოქალაქეთა მიმართ ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

პროკურატურის ცნობით, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, მეგის ქარდავას დავალებითა და ორგანიზებით, ამავე დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები აგროვებდნენ ინფორმაციას სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ მამაკაცებზე, ფარულად და უკანონოდ იღებდნენ მათი პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალას, რის შემდეგაც აშანტაჟებდნენ მათ და სპეციალურ სამსახურებთან ფარულ თანამშრომლობას აიძულებდნენ.

# ივანიშვილის სომხეთში დაგეგმილი ვიზიტი მაია ფანჯიკიძის განცხადების გამო არ გადაიდება



**17 იანვრისთვის სომხეთში დაგეგმილი პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების გამო არ გადაიდება.**

როგორც პრემიერის პრესსამსახურში განმარტავენ, ბიძინა ივანიშვილი სომხეთში გაემგზავრება და დაგეგმილ შეხვედრებს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის სომხეთში დაგეგმილი ვიზიტი მაია ფანჯიკიძის მიერ გაკეთებული განცხადების გამო გადადებულიყო.

როგორც ცნობილია, **საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ არის შესაძლებელი.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009